ანეული

ლიტერატურული ჟურნალი

N2, 2018

მარადიული სატკივარი

დიდი დანაკლისი

რევაზ იანიშვილის სახელობის ლიტერატურული კონკურსი

კლოდ მონე

ნათელა იანქოშვილი
ეხ. ია 63

ცირა რაზმაძის ფერწერული ნამუშევრები

ჟურნალ „ანეულის“ შემომწირველები:
თამარ შაიშმელაშვილი, ივანე ჯაფარიძე, როზა ინანიშვილი

კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეულის“
რეკვიზიტებია:
ს/ს „საქართველოს ბანკი“, ბანკის კოდი: BAGAGE 22
ანგარიშის ნომერია: GE 81 BG 0000000 306158900

ნინო ბარბაშვილი – „ბერძენების: „სპარსულისა“ და „ქართულის“ მნიშვნელობა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“

პაატა სურმანიძის პოეზია

გულნაზ გვალია – „შინა ხეთაგურის ჩინური პენგატორნიკა“

ნოდარ პაპუაშვილი – „არც სიყვარული არ მაპატიეს, არც სიყვარულის ნიჭი“...

„ეულ აფრასავით შთენილი“ – გიორგი ლალიაშვილის ნარცი ნათელა იანჯოშვილზე

სერგეი ესენინის ერთი ლექსი – თარგმნა თამაზ თევდორაძემ

ალეკო გელთაძის პოეზია

რონალდ გიორგაძე – „გზა სიარულმა დალია“?!

ერთი ლექსი
გეგი გამყრელიძე – „თქვენ ხართ ხალხი“



ანეული

№ 2. (№21) ივნისი. 2018 წელი

ლიტერატურული ჟურნალი

სიტყვა–ალამი

ნინო ქუთათელაძე მხოლოდ ერთად 3

სსოვნა

ივანე ჯაფარიძე დიდი დანაკლისი 4

სისინო ჯეირანიძე ჯუმბერ ჯიშკარიანს 5

ბიოხბი მელუა გამოსათხოვარი 6

მარინა დოლენჯაშვილი მღვიმის თერაპიული კურსი შედეგიანი აღმოჩნდა 6

ერთი ლექსი იმერი ხერველი ალადინების სამეფოში 5

პროზა

თემურ ელენტი მურადა 7

ჰოლანდ ბიოხბაძე გზა სიარულმა დალია?! 9

პოეზია

თამილა ჯაფარიძე 14

პაატა სეხმანიძე 16

წერილები

მაყვალა გეხმანოზაშვილი ადამიანის სხეულისა და სულის მთლიანობის ჰიმნი 18

ნინო ტარყაშვილი ტერმინების:,,სპარსულისა'' და ,,ქართულის'' მნიშვნელობა ,,ვეფხისტყაოსანში''.... 21

პოეზია

მიხეილ ღანიშაშვილი ეგეთაია ჩემ დედა 24

მარიამ ჯოზმანიშვილი 25

მსაგერობა ინტერვიუ ცირა რაზმაძესთან 28

თეატრი ნინო ჩხიტვიშვილი მარადიული სატკივარი 30

პოეზია

ეკატერინე გაგელავა 33

მანანა ზერაშვილი 35

ჩანაწერი მანანა ზერაშვილი მწყემსის წერილი 37

პროზა

მარიამ ზედგინიძე დაორთქლილი გისოსები 38

ძველანაგის საჯარო სკოლამ თემურ ჩალაბაშვილს უმასპინძლა 40

პროზა ზერაბ ტაზიშვილი კაკო 41

წერილები

გელნაზ გვალია ,,ჩინური პენტატონიკა'' 42

ნოდარ პაპუაშვილი ,,არც სიყვარული არ მაპატიეს,არც სიყვარულის ნიჭი'' 45

თარგმანი სერგეი ესენინი – თარგმნა თამაზ თევდორაძემ 47

პოეზია ალეკო გელთაძე 48

მოსაგონარი ,,ერთი ძაფი მეც ვიქნები საუკუნო ქსოვაში'' 51

გაგი მამალაძის ეთერ ლექსი თქვენ ხართ ხალხი 52

დემიტრი ბიოხბი უთითაშვილი 53

ინტერვიუ ნანა გიორგაძესთან ,,მთავარია, ყოველი დღის მადლიერი იყო'' 55

პოეზია ირინა ტაბალუა 60

ხაშმში რევაზ ინანიშვილის დღე მესამედ აღინიშნა 61

ეთერ ყიფიანი შემოდგომის მთვარე ქვიშხეთში 62

თეძრელი ბიოხბი ღალიაშვილი ეულ აფრასავით შთენილი 63

პოეზია სალომე ბოგოლაძე 65

სსოვნა და იუმორი

ლეიზა ბოჩორვა-ხვიჩია ,,ღირდა ამქვეყნად მოსვლა''....67

მიხეილ ღანიშაშვილი ბებოჩემი და იმისი საციქველ-ჯამ-ჭურჭელი 71

ISSN 1987-9717

ჟურნალი-საგანმანათლებლო საზოგადოება „ანეული“

ჟურნალ „ანეულთან“ ახსებული
ლიტერატურული გაერთიანება:

თამარ მიქაძე
ლილა ქიტოშვილი –
სახლთხუცესიშვილი
თემურ ჩალაბაშვილი
მანანა ჩიტიშვილი
ნინო ჩხიკვიშვილი
თამაზ ხმალაძე
ივანე ჯაფარიძე
ჯუბა ლებელი
ჯუმბერ ჯიშკარიანი

მთავარი redaქტორი

თამარ შაიშმელაშვილი

პასუხისმგებელი redaქტორი

სოფიო ჯაფარიძე

ლოგოს ავტორი

ბიოხბი ზურაბიანი

გარეკანზე: სიხა ხაზმაძის ფერწერული ნამუშევარი – „ძველი თბილისი“

redaქციის ტელეფონი: 551 00 50 58

redaქციის ინტერნეტფოსტა: aneuli@mail.ru

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალებზე პასუხისმგებელია ავტორი

ნინო ჯუთათელაძე

მხოლოდ ერთად

ჩვენ უნდა ვიყოთ ძალიან ერთად,
იმაზე მეტად, ვიდრე გვჭირდება,
ჩვენ თუ აქედან ავხედავთ ზეკარს,
თქვენ ჩამოგვძახეთ –
უფალს დიდება!
თქვენ უფრო იცით ქართული დარდი,
ქართული სევდა როგორ ბრწყინდება,
შემოგვეშველეთ ტკივილით დაღლილთ,
რომ არ შეგვჭამონ უცხო ბინდებმა!
მიწას დამხობილს,
მატლივით მხოხავს
თქვენკენ გამირბის თვალიც და გულიც,
დიდო მერჩულევ, დიადო შოთა,
მშვიდობით მლოცველს,
სიბნელე მმოსავს
და გადარჩენა თქვენთან მეგულვის.
შენ – თანამდევო სული ქვეყნისა,
სად არ ილოცე, ვის არ შესთხოვე?! –
ვინ შეისმინა, საბა, შენი ხმა?!
ან რას გვიქადის მეისტორიე?..
ჩემო ილიავ, ყველაზე ჩემო,
შენ უფრო იცი სულის შლილობა,
არ შეგვარჩინეს არც დედის ხსენი,
რაღას დავეძებთ გვარიშვილობას?!

თქვენ ახლა სულის გადარჩენისთვის
უნდა დაბრუნდეთ,
იქცეთ სინათლედ
და დაამსხვრიოთ ღამის მერმისი
მტრის და მომხვდური ბნელის ჯინაზე!
მგოსანთ ამქარო – დიდნო, მცირენო,
თქვენ შეგვეწიეთ,
თქვენ გვიწინამძღვრეთ:
ბრძენკაცო დავით, ბატონო გრიგოლ
(რაც უნდა, ის თქვას მემატიანემ),
ძმაო ნიკოლოზ, ვიცი, შენც აქ ხარ,
ვიცი შენებრი ბევრი არ არის,
ვაჟავ – სიტყვაში მომსკდარო წარღვნად,
აკაკი – მადლო ცის სიალალის;
შენ – გალაკტიკის ელვარე სულო,
ძმებო – ტიციან, გოგლა, პაოლო,
გამოვიზამთრებთ ამ საუკუნეს,
სანამ სამყარო თაფლს გესლს გაურევს.
ჩვენ უნდა ვიყოთ ძალიან ერთად,
იმაზე მეტად, ვიდრე გვჭირდება,
ჩვენ თუ აქედან ავხედავთ ზეკარს,
თქვენ ჩამოგვძახეთ –
უფალს დიდება!

ხსოვნა

დიდი დანაკლისი

ქართულმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა ცნობილი სპელეოლოგი, „პრომეთეს“ მღვიმის აღმომჩენი, საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, ჟურნალ „ანეულთან“ არსებული ლიტერატურული გაერთიანების წევრი, სერგი მესხის პრემიის ლაურეატი, წყალტუბოს საპატიო მოქალაქე ჯუმბერ ჯიშკარიანი.

ჯუმბერ ჯიშკარიანმა ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტში მოღვაწეობის მრავალი წლის მანძილზე ახალი სპელეოლოგიური აღმოჩენებით გაამდიდრა გეოგრაფიული მეცნიერება, მან საქართველოში შეისწავლა 300-ზე მეტ მღვიმე და უფსკრული, რის შესახებაც 150-დე მეცნიერული ნაშრომი გამოაქვეყნა.

სპელეოლოგიასთან ერთად, მას კალამიც არასოდეს გაუგდია ხელიდან და მსოფლიოს აცნობდა თავისი უნიკალური ქვეყნის – საქართველოს განუმეორებლობას, პატივს მიაგებდა ღირსეულ პიროვნებებს და პირუთვნელად, მკაცრად, დიდი ილია მართლისეული „მოყვარეს პირში უძრახე“-ს პრინციპით ამათრახებდა ქვეყნის მტერსა და გამყიდველს, მისი სახელის გამტეხს.

ჯუმბერ ჯიშკარიანი ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში ეწეოდა ჟურნალისტურ მოღვაწეობას. იგი, ათასხუთასამედე პუბლიკაციის ავტორი იყო, რომლებიც წლების მანძილზე ქვეყნდებოდა ქართულ, რუსულ და უცხოურ ჟურნალ-გაზეთებში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ცხოვრების 10 წლის განმავლობაში, იგი იყო გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ სპეციალური კორესპონდენტი და საინტერესო მასალებს აგზავნიდა ოკეანის გაღმიდან. ასევე თანამშრომლობდა ლონდონში გამომავალ უცხოეთში მცხოვრებ ქართველთა ჟურნალში „თანამემამულე“, სადაც სისტემატურად იბეჭდებოდა მისი წერილები სხვადასხვა თემაზე. ამერიკაში მომზადებული წერილები დაედო საფუძვლად მის წიგნს „ფიქრები საქართველოზე – ფრაგმენტები ამერიკული დღიურებიდან“. მანამდე კი ეს მასალები იბეჭდებოდა ლიტერატურულ ჟურნალ „ანეულის“ ფურცლებზე.

„ანეულის“ რედაქციამ, ლიტერატურულმა გაერთიანებამ და მკითხველმა საზოგადოებამ ღრმა მწუხარებას გამოხატა შესანიშნავი პიროვნების, ბატონ ჯუმბერ ჯიშკარიანის გარდაცვალების გამო.

8 აგვისტოს ჯუმბერ ჯიშკარიანს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, 3 მაისს განერიდა ამ საწუთროს და გიორგობა დღეს – 6 მაისს მივაბარეთ მისთვის ძვირფას და სათაყვანო ქართულ მიწას.

ამ დღეს, საბურთალოს სასაფლაოზე გამართულ სამგლოვიარო მიტინგზე, რომელიც ამ სტრიქონების ავტორმა გახსნა, გამოსამშვიდობებელი სიტყვებით გამოვიდნენ მისი მეგობრები და კოლეგები, ალავერდის ტაძრის მარნის მთავარი კონსულტანტი, ჟურნალ „ვაზი და ღვინოს“ რედაქტორი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი თეიმურაზ ღლონტი, პოეტი თინათინ მღვდლიაშვილი, წყალტუბოდან ჩამოსული დელეგაციის ხელმძღვანელი, ჯუმბერ ჯიშკარიანის წიგნის „ჩვენი ოტიას“ რედაქტორი, გაზეთ „ახალი წყალტუბოს“ გამომცემელ-რედაქტორი, პოეტი და საზოგადო მოღვაწე, წყალტუბოს საპატიო მოქალაქე მურთაზ კანკაძე, ცნობილი ჟურნალისტები: პაატა ნაცვლიშვილი და გვანჯი მანია, გეოგრაფი ზურაბ ლაოშვილი, რომელთაც გაიხსენეს სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული შესანიშნავი პიროვნება ჯუმბერ ჯიშკარიანი, რომელმაც არა მხოლოდ ქართულ გეოგრაფიულ მეცნიერებაში, კერძოდ, სპელეოლოგია-კარსტოლოგიაში დატოვა წარუშლელი კვალი, არამედ მათ პირად ცხოვრებაშიც.

შეკრებილმა საზოგადოებამ დიდი გულისტკივილით და დანანებით მიაცილა შესანიშნავი სპელეოლოგი სამუდამო განსასვენებლამდე, რითაც თითქოს დასრულდა ჯუმბერ ჯიშკარიანის ამქვეყნიური ცხოვრება, მაგრამ მისი სახელი უკვადავი იქნება, ვიდრე იარსებებს მის მიერ აღმოჩენილი და გამოკვლეული „პრომეთეს მღვიმე“, რომელსაც მშვენიერი ლექსი მიუძღვნა ჯუმბერ ჯიშკარიანის მეგობარმა იმერი ხრეველმა (სიმონ ჯაფარიძე) და ორიოდე გვერდის შემდეგ გთავაზობთ.

ივანე ჯაფარიძე,
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი

სისინო ჯეხვაღიძე

ჯუმბერ ჯიშკარიანს

ძმაო ჯუმბერ – ასე ვიწყებდი შენთან გამოგზავნილ ბარათებს ნიუ-იორკიდან ფლორიდაში, სანამ ამერიკაში იყავი და რა სამწუხაროა, რომ ახლა უკანასკნელად უნდა მოგმართო ასე და გითხრა: ძმაო ჯუმბერ, ვიცი ამ წერილს ვეღარ წაიკითხავ, ვეღარც მადლობისათვის დამირეკავ, მაგრამ მაინც მინდა კიდევ ერთხელ მოგწერო. ახლა ვეღარ შემედავები, თუ გეტყვი, რომ შენი დახასიათება ერთი, მაგრამ მრავლისმომცველი წინდადებით შეიძლება – ღირსეული პიროვნება, სამშობლოზე, ქართველობასა და ყოველგვარ ქართულზე უსაზღვროდ შეყვარებული, უაღრესად ზნეობრივი ადამიანი, უზადო პროფესიონალი, უღალატო მეგობარი.

წახვედი და უამრავი საინტერესო მოგონება დაგვიტოვე შენს სამეგობროს. რამდენიმე დღეა შენზე ვფიქრობ, ბევრი რამ მომაგონდა და ამ შემთხვევაში რამდენიმეს გავიხსენებ. ერთხელ, ფლორიდაში რომ დაგირეკე, დიდ გაწამაწიაში იყავი, მომიბოდიშე, ბიჭებს ველოდები, ეს წუთია ინდაური შევწვი და ახლა ღომი უნდა შემოვდგაო. მერე გავიგე, რომ თითქმის ყოველ კვირას შენს ახლო-მახლო მყოფი ქართველობა შენთან იყრიდა თავს, განსაკუთრებით კი იმათ ეპატიჟებოდი, მოცემულ მომენტში სამსახურის გარეშე რომ იყვნენ და შენი ხელგაშლილობით რამდენადმე უმსუბუქებდი უმუშევრობას და მამაშვილური გრძნობით ზრუნავდი მათზე.

აღფრთოვანებული გისმენდი, როცა მიამბე, როგორ მიაგენი ძველი ქართველი ემიგრანტის, გივი გაბლიანის ოჯახს, მანძილის სიშორეს არ შეუშინდი და მოინახულე მისი შვილები, ეტლს მიჯაჭვული მისი მეუღლე და საინტერესო ჩანაწერები შემოგვინახე. ან როგორ იპოვე ჰავაის ერთ-ერთ კუნძულზე ქართველი დედა-შვილი და ამ შემთხვევაში ძალიან ჰგავდი ჩვენს დიდ მეგობარს, ჩვენს ძია პეტრეს, მთელი ცხოვრება ქართველებს რომ დაეძებდა.

ახლა შენზე ვფიქრობ, ვწერ და რა ვქნა, მეცინება, როცა ვიხსენებ, რომ მეტყოდი ხოლმე – დღეს ერთ ვინმეს „გავულაწუნეო“, რაც ფიზიკურ გალაწუნებას სულაც არ გულისხმობდა და იმას ნიშნავდა, რომ მავანს ან ქართველობაში ან ქართველების მიმართ რაღაც შეეშალა და შენ კულტურულად დასვი თავის ადგილზე. ერთხელ, როცა „გაულაწუნე“ ერთი ძალიან ცნობილი ადამიანის მიმართ იხმარე, გამიკვირდა – როგორ გაუბედე-მეთქი. მაშინ მიპასუხე – როცა ჩემს ეროვნულს უხეშად შეეხებიან და დაუმსახურებელ შეირაცხყოფას მიაყენებენ, ჩემთვის ცნობილი და უცნობი არ არსებობსო.

საოცრად უღალატო მეგობრობა იცოდი, გიყვარდა ადამიანების ერთმანეთთან დაკავშირება და ხარობდი მათი მეგობრობით. სწორედ შენი დამსახურებაა ჩემი და ცნობილი მხატვრის ცისანა ჯანაშვილის დამეგობრება. საცარი წუხილი იცოდი მეგობრების მიმართ. ახსოვს, როგორ განიცდიდი ჩვენი საერთო მეგობრის – ემილ დიხამინჯიას მძიმე მდგომარეობას. მაშინ მითხარი, კიდევ კარგი მეც აქა ვარ, რა შემიძლია, მაგრამ რითაც შევძლებ, ყურადღებას არ მოვაკლებო. ამიტომაც როცა შენ დაგჭირდა, შენი სამეგობროც უღალატოდ დაგიდგა გვერდზე. ამის შედეგია, რომ ერთმანეთის მიყოლებით გამოიცა შენი წიგნები. შენი „ლევან გოთუა“ და „ოტია იოსელიანი“ ახლაც გვერდით მიდევს და ერთი სულით ველოდები „ამერიკულ ჩანაწერებს“.

როცა გავიგე, რომ თვალისჩინმა გიღალატა, მეც მოვუხშირე ჩემი ჭკუით გამამხნევებელ ზარებს და უსინათლო ადამიანების საგმირო საქმეების მოყოლას. კარგა ხანს მითმენდი და ეტყობა მერე ისე მოგაბეზრე თავი, რომ მითხარი – კარგი, არ გინდა, ტყუილად ნუ ირჯები, დავიღალე, მომბეზრდა, აღარ მინდა ეს დაბრმავებული სიცოცხლეო... რომ დავფიქრდი, არ გამკვირვებია, სიცოცხლეს ხომ შენთვის სხვა დანიშნულება ჰქონდა...

...გემშვიდობები, ძმაო ჯუმბერ, გემშვიდობება მთელი შენი სამეგობრო. წახვედი და ჩვენთან დარჩება შენი ნაღვაწი, ლამაზი მოგონებები. წახვედი და ღირსეული, ერთგული, თავდადებული, ვალმოხდილი „მიუხვალ მამა-პაპათა“. გზა მშვიდობისა სასუფევლისაკენ ზეციურ საქართველოში...

ბიოხბი მეღუა

გ ა მ ო ს ა თ ხ ო ვ ა რ ი

როგორ გაბედა სიბრმავემ, ჯუმბერ ჯიშკარიანისათვის მზერა წარეტაცა, როგორ შეიძლებოდა ამ დევივით კაცს თვალისჩინი წართმეოდა...

სიკვდილთან ყველა ვმარცხდებით!..

ჯუმბერ ჯიშკარიანს დღეს დაკრძალავენ... დაკრძალავენ ამ დევგმირი კაცის საოცრად გალეულ სხეულს, მისი ნათელი სულის ფიზიკურ გარსაცმელს, თორემ, ისე ჯუმბერ ჯიშკარიანი შეუძლებელია ვინმეს დაავიწყდეს, ვისაც თუნდაც ერთხელ ჰქონია მასთან შეხება.

მისი სახელი პირველად მამაჩემისაგან გავიგე – ნავენახევის მღვიმის სანახავად თბილისიდან ჯუმბერ ჯიშკარიანი ჩამოვიდაო...

გაივლის წლები, ჩვენ ორთავენი სამშობლოდან შორს აღმოვჩნდებით – ის ფლორიდაში, მე – ჯორჯიაში და ბატონ ჯუმბერს ამ ამბავს გავახსენებ, – რესტორან „ჭიშურაში" მის საპატივცემულოდ გაშლილ სუფრაზე მოვუყვები და მიხარია, რომ სუფრის თამადას – მამაჩემს – დიდი სიყვარულით გაიხსენებს (და მერე მის ერთ-ერთ წერილშიც მოიხსენიებს).

ამერიკის ქართული ემიგრაციის და ჩემმა სულიერმა დამ, – ციცინო ჯერვალიძემ გამაცნო ბატონი ჯუმბერი. მას შემდეგ გაბმული ინტენსიური სატელეფონო ურთიერთობა გვქონდა. ზაზა მესხი იმხანად ემიგრანტულ ჟურნალ „თანამემამულეს" გამოსცემდა და ჩვენ, ორთავენი, მასთან ვთანამშრომლობდით, მისი წერილები მოგონებებითა და სიყვარულით იყო აღსავსე, ზოგჯერ ისე შემაგულიანებდა, ფიქრადაც რომ არ მქონია, მაქებებდა, დამეწერა, ასე მოხვდა მის წერილებში სერგო ქობულაძეზე დაწერილი ჩემი ლექსი...

ამერიკაში ფიზიკურად ერთმანეთის ნახვა არ გვეწერა, ფეხები დაუსივდა, უჭირდა სიარული, სამუშაო რომ დაჰკარგა, ვთხოვე ჩემთან – სავანაში გადმოსულიყო, მაგრამ ეს მცდელობაც არ გამოვიდა... ისევ სამშობლოში, ჩემთან შევხვდით პირველად ერთმანეთს... ბატონობით ნუ მომმართავო, მეუბნებოდა, აბა, როგორ შემეძლო, ასე არ მოვქცეულიყავი, როცა ამდენი ღვაწლი გასწია ჩემზე, რამდენი ადამიანი გამაცნო, დამაკავშირა, რამდენი მაწერინა და რამდენი მომიყვა...

ახლა, სულ რამდენიმე საათში, მის დაკრძალვაზე უნდა წავიდე და ვერ გამიგია, ნუთუ ამქვეყნიური რეალობა ასეთი მწარე შეიძლება იყოს, როგორ უნდა დავემშვიდობო კაცს, რომელსაც მამასავით ვუყურებდი და ვაღმერთებდი...

ჩემს სამშობლოს დიდი მამულიშვილი, პატრიოტი კაცი და ქართული სპელეოლოგიის ბერმუხა გამოაკლდა... სინათლე არ მოგაკლოთ უფალმა ზეციურ საქართველოში, ბატონო ჯუმბერ!

6. მაისი, 2018წ., გიორგობა

• • •

მაჰინა დოლენჯაშვილი

მღვიმის თერაპიული კურსი შედეგიანი აღმოჩნდა!

(გარდაცვალებამდე დაწერილი)

მღვიმის თერაპიული კურსი შედეგიანია სასუნთქი გზების ალერგიისათვის. „პრომეთეს მღვიმის" აღმომჩენი დიდი სპელეოლოგის, მწერლის, პუბლიცისტისა და არერთი წიგნის ავტორის, ბატონი ჯუმბერ ჯიშკარიანისათვის თანადგომა სულის თვისებაა.

შარშან, ალერგიით შეწუხებული, დიდი სიყვარულითა და მზრუნველობით გამაგზავნა „პრომეთეს მღვიმის" „მედეას დარბაზში" თერაპიული კურსის გასავლელად, უფრო მეტიც, დაურეკა და სთხოვა მღვიმის ენერგეტიკოსს, რაინდული სულის ქართველს, ბატონ თემურ მუშკუდიანს, რომ წყალტუბოდან ვეტარებინე „პრომეთეს მღვიმეში".

ბატონმა თემურმა რაინდულად შეასრულა ბატონი ჯუმბერ ჯიშკარიანის თხოვნა. უღრმესი მადლობა მათ! წყალტუბეში ჩემი მასპინძლები იყვნენ: ბატონი ჯუმბერის მიერ დამეგობრებული ულამაზესი და საუკეთესო დიასახლისი დები – გულნაზი და ნანა ქუთათელაძეები, რომელთა სამოთხისებურ სახლკარსა და ეზო-კარმიდამოში დაუვიწყარ წუთებს გაატარებს წყალტუბოში ჩასული დამსვენებელი. მადლობა გულნაზსა და ნანას!

ერთ დღეს მღვიმეში დავემგზავრე ექსკურსიას, რომელსაც უძღვებოდა მშვენიერი ქრისტინა მაისურაძე. იგი დიდი პატივით მეპყრობოდა, როგორც ბატონი ჯუმბერის სტუმარს.

ქრისტინამ ჩემგან შეიტყო, რომ ბატონმა ჯუმბერ ჯიშკარიანმა თვალის სინათლე დაკარგა სრულად. არ დამავიწყდება მისი თავზარდამცემი რეაქცია, ცრემლიანი თვალებით აუწყა ტურისტულ ჯგუფს მღვიმის აღმომჩენის ტრაგედიის შესახებ და მტანჯველ განცდებში მყოფმა ძლივს დაასრულა ექსკურსია.

მადლობა ქრისტინას ამ სიყვარულისა და თანაგრძნობისთვის! მადლობა ბატონ ჯუმბერ ჯიშკარიანს ერის, ქვეყნისა და თითოეული ქართველისთვის გაწეული სიკეთისთვის, უფალმა შეუწიროს და დაუბრუნოს თვალის სინათლე!

ალადინების სამეფოში

წყალტუბოს უნიკალური კარსტული მღვიმის („პრომეთე“) აღმომჩენს, იდუმალი მიწისქვეშა სამყაროს მკვლევარს – ჯუმბერ ჯიმკარიანს.

არა მზით და მთვარეთი, დღის და ღამის
ცვლილებით,
არა ზამთარ-ზაფხულის კრიალა ცის
ლილებით,
არა ია-ვარდებით, ყაყაჩო-გვირილებით,
არც ღამეულ სივრცეში ვარსკვლავთ
გამობრწყინებით, –
სანთელივით ნაღვენთი თეთრი ქვის ყვავილებით,
მარმარილოს სვეტებით, ბროლისფერი
ზვინებით,
მღვიმურ ღამის სიღრმეში ცრემლებივით
მცირენით,
მარგალიტებდაცვარულ ორნამენტურ
ქმნილებით,
ხან იდუმალ ჩურჩულით, ხანაც ანცი დინებით,
წყლის კამკამა სარკეთა მოელვარე მინებით,
როცა მზერა ზეიმობს ზღაპრულ
შთაბეჭდილებით,
შემოქმედის უშრეტი ნიჭის მოწადინებით,
მარადიულ ბნელეთის ეს უჩინმაჩინები –
სასწაულებს, ხელთუქმნელს ქმნიან ალადინები!..

იმერი ხრეველი

თემურ ჟღენტი

მურადა

გრამიტო პატარავა უკვე სამოცდაათზე მეტის იქნება. იტყვის კაცი, სიბერეშია გადასულიო, მაგრამ ნურას უკაცრავად. დღესაც ბიჭივითაა. არც ასაკი ეტყობა, არც წლების სიმძიმე აწევს მხრებზე და კვლავ ტყისკენ გაურბის თვალი... მონადირე მგელივით. არადა, ერთადერთი ალბათ წისქვილის ქვა არ დატრიალებულა იმის ზურგზე.

დავაჟკაცებამდე მთელ სოფელში თურმე თითით საჩვენებელი ყოფილა. სკოლაც ფრიადზე დაუმთავრებია. ჩასულა ბათუმში, მეზღვაურთა სასწავლებელში ჩასაბარებლად, მაგრამ იქ მამამისის ბიოგრაფია არ მოსწონებიათ, რომელიც ტყვედ ჰყოლიათ გერმანელებს, მეორე მსოფლიო ომის დროს. ჰოდა, ზუსტად იმ დღიდან არევია ჩვენს გრამიტოს რამსები.

პირველი „სროკი“ სრულიად შემთხვევით აიკიდა. პირველს მეორე მოყვა, მეორეს მესამე და, ბარემ ოც წელზე მეტი მაინც გაატარა ციხე–კოლონიებში. თუმცა, როგორც ხშირად ხდება ხოლმე, გონს მოეგო ხნეში გადამდგარი, დაოჯახდა კიდეც და გამრავლებაც მოასწრო.

ვინც იმას არ იცნობს და არ უსაუბრია იმასთან წუთისოფლის ავ-კარგზე, ნუ იტყვის, რომ ხეირიანად იცის ამ ცხოვრების ანი და ბანი. იძახოს, ვისაც უნდა, რომ იმაზე მეტი წიგნი აქვს წაკითხული; იტრაბახოს, რამდენიც უნდა, მაინც ვერ მივა ამ კაცთან ახლოს, რაც არ უნდა ძვირფას ბიბლიოთეკას ატარებდეს თავით. ერთი სიტყვით, ასეც და ისეც, იმ გაგებითაც და უფრო სხვაგვარადაც, გრამიტო პატარავა უალტერნატივო ავტორიტეტია მთელ სოფელში.

ერთხელ, როდესაც უკვე ჩაქნეული ჰქონდა ხელი ძველ ცხოვრებაზე და ოჯახსაც იყო მოკიდებული, მეზობლის ძაღლმა ლეკვები დაყარა. მიაკითხა იმის

პატრონს და რომელი ლეკვიც ყველაზე თეთრი იყო, ის გამოართვა. რომ ჰკითხა ძაღლის პატრონმა,— თეთრი რად გინდა შავი გაგების კაცსო?– მე ვიცი ჩემი საქმისო.– უპასუხა და გაათავა ამით საუბარი. მერე ვალიას პურმარილი გააწყობინა. დაუძახა რამდენიმე კაცს და ეს ამბავიც მაშინ გაიხსენა.

თურმე ტიუმენის ოლქის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში ზის. იმასთან ერთად ოთხი ქართველიცაა, იმათგან ერთ-ერთს კი ანზორი ჰქვია და სიგიჟემდე უყვარს ძაღლები.

ირგვლივ ტაიგაა. რკინის გისოსები კი აქვს შემოვლებული „ლაგერს“ მაგრამ სად წახვალ, რომც არ ჰქონდეს. ვინც მუშაობს და წელებზე ფეხს იდგამს, იმას რა უჭირს, სადილად წყალწყალა „ბალანდა“ მაინც აქვს განაღდებული. ურჩი ტუსაღები კი უფრო ჯუნგლის კანონით იბრძვიან არსებობისთვის. მაგრამ დამდგარა ზამთარი. შეუწყვეტიათ ხე-ტყის დამზადება და ყველანი „მშრალ დიეტაზე“ გადასულან.

ქართველებს ერთ ბარაკში უცხოვრიათ. ვინმე თუ რამეს იშოვის, ყველას უწილადებს. ყველანი ერთად კი, პურის ნატეხსაც თუ დაზოგავენ, ანზორის მიტკალივით თეთრ მურადას მიურბენინებენ, რომელიც მათი ოჯახის სრულუფლებიანი წევრი ყოფილა. საქმე იმაშია, რომ პატიმრებს ნოდარ დუმბაძის თხზულებების კრებული ჰქონიათ. ანზორსაც წაუკითხავს „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ და მურადაც სწორედ იმიტომ დაურქმევია თავისი ძაღლისთვის.

უჭკვიანესი ძაღლი ყოფილა ანზორის მურადაც, ზურიკელას მურადასავით. იმასაც სიგიჟემდე ჰყვარებია თავისი პატრონი, პატრონის მეგობრები, მეზობლები და კიდევ... ერთი გოგო, რომლის სურათიც სასთუმალთან, კედელზე ჰქონია ანზორს ჭიკარტით მიმაგრებული. ოღონდ იმ გოგოს, ზურიკელას მერისგან განსხვავებით, ელენე რქმევია. მიწვებოდა მურადა ოთახის კუთხეში. გაინაბებოდა და ისმენდა გაციმბირებული ქართველი ბიჭების მონაყოლ ამბებს. ხან უაზროდ წკმუტუნებდა, ხან პატიმრებს აყვებოდა სიცილ-ხარხარში. იმათ საფიქრალზეც არაერთხელ უფიქრია ძილშიც და ფხიზელსაც. ანზორისთვის რომ გეკითხათ, იმისმა მურადამაც ხუთიანზე იცოდა ქართული. რუსულს მტრის ჯინაზე არ სწავლობდა და იმასაც ერთი სული ჰქონდა, თუ როდის ნახავდა საქართველოს. ის კი არა, ბიჭები რომ ხასანბეგურას დასჭექავდნენ, მურადაც ბანს აძლევდა იმათ თავისი ძაღლური ენით, რაც წკმუტუნსა და კუდის აქეთ–იქით ქნევაში გამოიხატებოდა. მოკლედ, ისე უყვარდა ეს ძაღლი ანზორს და იმდენს ლაპარაკობდა იმის დადებით თვისებებზე, გრამიტოს იმთავითვე გასჩენია ეჭვი, რომ ამ უბედურსაც ზურიკელას მურადასავით შინაურის ხელით ელოდა სიკვდილი.

ერთხელ, ზამთარია და უკვე შიმშილობენ. მურადამ პატიმრების მოჭრილ ნაძვის ხეს ჩამოყოლილი ციყვი დაიჭირა. ჩაავლო წელში თავისი ბასრი კბილები და პატრონს მიურბენინა. ცხრა ძმისა და ერთი თხილის არ იყოს, რა გასაყოფი იყო ხუთ კაცზე ერთი ციყვი, მაგრამ მაინც მადლობა გადაუხდიათ მურადასთვის. ხორცი თავად შეუსანსლიათ, ძვლები კი ძაღლისთვის დაუთმიათ. ჰოდა, ის დღე ყოფილა და ის დღე. ისე მოსწონებია მურადას ციყვის ძვლები, რომ ხეზე ასვლაც კი უსწავლია. მაგრამ მალე ზონაში ხესთან ერთად ციყვიც გაწყვეტილა, კვერნაც და სიასამურიც.

მოუწყენია ნადირობაში გაწაფულ მურადას, თავის ორფეხა მეგობრების მსგავსად. კვლავ დასტყობიათ ფერდებზე ნეკნები, ტყის ნობათით განებივრებულებს. ამას ისიც დამატებია, რომ კოლონიის მესვეურთაც მთლად ხელი აუღიათ ნამუსზე და ღვთის ანაბარა დაუყრიათ პატიმრები.

საგონებელში ჩავარდნილან. რა არ უცდიათ, რა არ უღონიათ, მაგრამ ამაოდ. დაწყებიათ შიმშილის ციებ–ცხელება. ჰოდა, სხვანაირად გრამიტოს სწორედ მაშინ შეუვლია თვალი... საბრალო მურადასთვის. უთქვამს კიდეც, ერთხელ, სხვათა შორის, – მამაჩემს ლენინგრადის ბლოკადის დროს კატა ჰყავს ნაჭამი. ისეთი გემრიელი ხორცი ჰქონია, ძაღლისას არაფრით ჩამოუვარდებაო. გადაუხედავთ ბიჭებს ერთმანეთისთვის, მაგრამ არაფერი უთქვამთ.

კიდევ გასულა მცირე ხანი. ბედად, ანზორის რაღაც სენი შეყრია და მაღალი სიცხეები აქვს. ზონის ექთანს კი უნახავს, თუმცა სანუგეშო არაფერი უთქვამს. ახლა შენი წამალი ლიმონიანი ჩაი და ნოყიერი საჭმელიაო. დაუწყიათ ნოყიერი საკვების მოძიება ავადმყოფი მეგობრისთვის, მაგრამ სად იშოვიდნენ. ამასობაში მთლად მისუსტებულა ანზორი. წევს ლოგინში და ერთადერთი მურადათი ირთობს თავს, რომელიც წამითაც არ შორდება პატრონს.

როგორც წესი, პატიმრები ციხეში ყოველთვის ნიძლავზე თამაშობენ ხოლმე. ცხადია, გამონაკლისები არც ქართველები არიან. იმათაც უყვართ აზარტული თამაშები და ამ საქმეში სხვებზე უკეთესებიც არიან. ჰოდა, უფიქრია გრამიტოს, უფიქრია და გამოუწვევია სათამაშოდ სომეხი არამა, მათი განუყრელი ძმა და მეგობარი. წაგებულმა პურ-მარილი იკისროსო. დათანხმებია არამა და კარტიც გაუშლიათ. მაგრამ ბედის ირონიაც ასეთი უნდა. არამას მოუგია მუდამ ყისმათიანი გრამიტოსთვის. თანაც, პირობისამებრ, საჭმელი ხორციანი უნდა ყოფილიყო. შარს შარი დამატებია. აქეთ ეცა გრამიტონა, იქით ეცა. ამოდენა კაცი პირველად ვვარდები „ფუფლოშიო“ და, გახსენებია, უცებ, ილიკოსავით... ფაქიზო. გაუყვანია მურადა მოფარებულში, პატრონისგან უჩუმრად.

მიუფურთხებია ეშმაკისთვის. გამოუჭრია ყელი თხასავით და ხუთ წუთში ჩამოუტყავებია კიდეც.

შეექცევიან ექვსივენი ძაღლის ხაშლამას. ყველაზე მეტად მურადას პატრონი აქტიურობს. ხორცს დაუღეჭავად ყლაპავს, ძვლებს კი საწოლის ქვეშ მდგარ ალუმინის ჯამში აგროვებს. ბიჭები თავს ძლივს იკავებენ. გემრიელად შეექცევიან ხორცს და ისინიც პატიოსნად ალაგებენ ჯამში... მურადასთვის განკუთვნილ ძვლებს.

ძაღლის ხორცით გამომძღარი არამა კმაყოფილი მიდის დასაძინებლად. ანზორი კი ცუგა-ცუგას ძახილით დგება საწოლიდან და მურადასთვის გამოყოფილ კუთხეში დებს ძვლებით სავსე ჯამს. ძაღლს რომ ვერ ხედავს, კარს აღებს, გადის ოცდაათგრადუსიან ყინვაში სიცხიანი და მურადას ეძებს მთელი ერთი საათი. ბიჭები ხმას ვერ იღებენ. ახლაღა გრძნობენ, დანაყრებულები, თუ რა ჩაიდინეს, მაგრამ რაღა დროსია. სხედან დაბნეულები და არ იციან, როგორ შეთხზან ძაღლის დაღუპვის ამბავი. ბარაკში შემობრუნებულ ანზორს თვალებში ცეცხლი უნთია. ჩანს, რომ გუმანით გრძნობს, რაც მოხდა. ხმას ვერც ის იღებს. გასცქერის ოთახის იმ კუთხეს, სადაც ალუმინის ჯამში მურადას ძვლები ყრია. მერე ნირწამხდარს მეგობრებისკენ გადააქვს მზერა, რომლებსაც მთლად წაშლილი აქვთ სახეები. შეგირცხვეთ ნამუსიო!..— ყვირის არაადამიანური ხმით. პირზე ხელს იფარებს და კვლავ ყინვაში გადის კუჭის დასაცლელად.

იმ კოლონიაში ხუთივენი კიდევ სამი წელი გაუჩერებიათ. ამ ხნის მანძილზე ანზორს ძლივს მოუნელებია თავისი მურადა. ვეგეტარიანელი გამხდარა და თითიც კი აღარ დაუკარებია ხორცზე სიცოცხლის ბოლო წუთამდე.

თურმე, როდესაც გაუთავისუფლებიათ და შინ დაბრუნებულა, იმ დღესვე შეუძენია თეთრი ლეკვი და იმისთვისაც მურადა დაურქმევია. ის ძაღლიც ჭკვიანი და გონიერი გამომდგარა კეთილი და გულისხმიერი პატრონის ხელში, მაგრამ რად გინდა?.. დაუჭერიათ ანზორი ხელმეორედ. მოუწყენია ძაღლს. აუკრძალია ჭამა და შიმშილით ამოხდენია სული.

— ჰოდა, ასე იყო ეს ამბავი,— დაასრულა თხრობა გრამიტომ. წამით ცისკიდურისკენ გაექცა თვალი. მერე მიტკალივით თეთრ ლეკვს დასწვდა. კალთაში ჩაისვა, მოეფერა და ამოღერღა გაბზარული ხმით,—ამ ერთი თვის წინ დაიღუპა საწყალი ანზორი. აცხონოს ღმერთმა. ბოლომდე არც იმას უპატიებია და ვერც მე ვპატიობ საკუთარ თავს. ეს ლეკვიც იმიტომ მინდა მყავდეს, რომ შემრცხვეს ხანდისხან ჩადენილის გამო და მახსოვდეს... ყველაფერზე წამსვლელი რომაა ადამიანი.

ჰოლანდ ბიოხაძე

გზა სიარულმა დალია?!

შუაღამე კარგა ხნის გადასული იქნებოდა. ცა ვარსკვლავებს ისე მოეჭედათ, ნემსის ჩასაგდები ადგილიც კი არსად იყო.

პირბადრი მთვარე თავის მეუფებას ზეიმობდა. ყოველთვის ჩაბნელებული ლამპიონებიც კი აკაშკაშებულიყო ქალაქის ამ უპატრონო გარეუბანში.

გაუკაცრიელებულ ღამის შიშნარევ მდუმარებას შუა ასაკს მიტანებული მამაკაცის ფეხის ხმა არღვევდა, რასაც კაცის ხელდანატრებული, მოუვლელი კორპუსები ექოდ ახმიანებდა.

მიდიოდა გზაზე კაცი და მიღიღინებდა. თავაწეული, ზეცას შეჰღიმოდა. ძნელად შესამჩნევი ბანცალი დაკვირვებულ თვალს მიახვედრებდა, რომ კაცი ნაქეიფარი იყო.

— რერო-ოო... სულ არ მოვალ ამ სოფელში რეროო... არ ვარგა, ხმები მაკლია... ხმები. რაო, თქვენო უდიდებულესობავ მთვარევ! — შუბლმოჩრდილულმა აიხედა ზეცისკენ — იქნებ თქვენ, თქვენ, დამეხმაროთ. ბანი მაინც მომეცი, შე დალოცვილო... ეჰ, — ხელი ჩაიქნია კაცმა, შორსა ხარ, შორს, რას მომაწვდენ. ისე, დღეს რავა პატარძალივით გამოიყურები — გალამაზებული, გაკრიალებული, სუფთა და ულაქებო, ჰა, რაშია საქმე?

მუდმივ საზრუნავში ჩაფლულმა მთვარემ, ღიმილით გადმოხედა შეტორტმანებულ კაცს, თავი გადაიქნ-გადმოიქნია და ქათინაურისაგან გახალისებულმა ერთი-ორად მოუმატა ნათებას.

— ვიტყვი, რა, მეც, მოცლილი ხომ არ არის, მთელი სამყაროს ღამეული დარაჯია. — ბოდიში, გვაპატიეთ, გვაპატიეთ, გეთაყვა. აი, ჯამლეთი, რომ იყოს ახლა ჩემს გვერდით, იცოცხლე, დავაგუგუნებდით,— კაი პირველი აქვს, მაგრამ მარტო ვარ, ერთი ხმა კი ქართულ სიმღერაში ბევრი არაფერია. კაცი ჩაფიქრდა, მერე ხელები გადაატრიალ-გადმოატრიალა, ისევ მთვარეს ახედა და საზეიმოდ განაცხადა:

— აი, ახლა მე უდიდესი რამ აღმოვაჩინე,— ისე

ადრეც ვფიქრობდი, მარა არ განმიცხადებია. ახლა კი თქვენი თანდასწრებით ვაცხადებ: თქვენ უნდა იცოდეთ, რომ სამი ხმის გარეშე ქართული სიმღერა არ გამოდის. ე.ი. სამი ჰიპოსტასი. ღმერთიც სამებითაა. სამი საკრალური რიცხვია. მეტყვი ახლა შენ, ბოდიში თქვენ, ბატონო მთვარევ, რა არის აქ აღმოჩენა? მოიწიე აქეთ, თუ კაცი ხარ და გეტყვი, მოიჩოჩე ხომ, ხოდა, მისმინე. ქართველთა ხსნა და გადარჩენა სამებაშია. გათითოკაცებაში კი არა, სიმრავლეში, ერთიანობაში, აი, მარტივი მაგალითი. სიმღერიდანაც ჩანს ეს, მაგრამ ამას, ძმაო, მიგნება უნდა. მარტივია, ხომ? ხოდა, მაგ სიმარტივეშია მისი სიდიადე. ასე, ჩემო ძმაო და მეგობარო, მე ყველაზე ხმა არ მიმიწვდება, შენი გადასახედიდან კი ყველაფერი ხელისგულივით ჩანს, ნუ დაიზარებ და მიაწვდინე ხმა ჩემს თანამემამულეებს. შევთანხმდით, ხომ, ასე არა ჯობია? აგაშენა ღმერთმა. ეჰ, მთვარევ, მთვარევ! – წამოიწყო სიმღერა. – მთვარეზე სიმღერას არავინ წერს, არადა, საჭიროა. მოვიცლი და მე ვიზამ მაგ საქმეს. დავსხდეთ მერე მე და შენ ღამღამობით და ვიმღეროთ ერთად. ერთი ხმა მაინც მომემატება, – გამოსავალი ნახა კაცმა.

მთვარესთან მუსაიფში გაბმული კაცი გზის პირას მდგარ ნაგვის ბუნკერს მიადგა, რომელშიც უპატრონო ძაღლები ელა-მელას გადადიოდნენ. კაცი შიშით გაერიდა საფრთხეს. – ხორცსავსე არ ვეგონო – მჭლე კაცს კბილი არ გამკრანო.

– რა ვქნა ახლა მე, გულს ემღერება და როგორ არ ვიმღერო, ვინ დამძრახავს, – თქვა შექეიფიანებულმა. – ჩემთვის ისე, მოგუდულს მაინც ვიტყვი. „რერეეეო" – წამოიწყო კაცმა და ერთი სტროფიც ჩაათავა. თან მიდიოდა. არც ბევრი ჰქონდა გავლილი და არც ცოტა, როდესაც გაჩირაღდნებულ სუპერმარკეტს მიადგა. შეჩერდა კაცი, შეხედა და გაიფიქრა – „რავა ზღვასა და წყვდიადს შეჭიდებული „ტიტანიკივით გაჩახჩახებულაო". ფული რას არ გააკეთებინებს კაცსო. კიდევ ერთხელ შეხედა უცნაური კონსტრუქციის შენობას და ფოთოლგაცვენილი ალვის ხის ძირას გაკეთებულ ძელსკამზე ჩამოჯდა. მიეყრდნო საზურგეს, თავი უკან გადასწია და ისევ ცას მიაპყრო მზერა.

– ცაო და ვარსკვლავებო, რამდენ საიდუმლოებას იტევთ, ნეტავ, რა ხდება მანდ? ან რა არის ცა? ნეტავ რამდენი ცაა! ნუთუ ეს ცა ლიბრია, ფარდაა, რომლის მიღმა ჭვრეტა ხორციელს არ ძალუძს. გამიგონია, სულიერი ხედვაა მისთვის საჭიროო. სულიერი ხედვა მხოლოდ გარდაცვალების შემდეგ მოდისო. არადა, მე ახლა მინდა ვიცოდე. იმასაც ამბობენ, მხოლოდ ღვთის რჩეულებს ხელეწიფებათ ჭვრეტა მიღმიეთში. მე კი, მე ვინ ვარ?!

მერე, თითქოს თავისი უძლურებით გაგულისებულმა, ნიშნისმოგებით განაგრძო:

– თქვენ რომ გადმომმხობიხართ თავზე და ციმციმებთ, მარტო ციმციმი რა არის, ციმციმი ნათურასაც შეუძლია. ერთი მითხარით, ღვინო თუ მოგყავთ, ღვინის ფასი თუ იცით. აჰა, ჩაფიქრდით, არ იცით? მაშ, თქვენ არაფერი გცოდნიათ. ხელი ჩაიქნია კაცმა. მყვანან, რა, ესენიც! კაცი მიწას ჩააშტერდა, ფეხით მოსრისა ფოთოლი და გუნებაგამოკეთებულმა ღიმილით განაგრძო:

– სულ მიკვირს, სპარსმა კაცმა როგორ თქვა, „ბაგით დავწვდი დოქის ბაგეს, ბაგე გადავიბადაგე". ეჰ, – შეეკამათა მდუმარე ოპონენტს, – არ იქნებოდა ის კაცი სპარსი, რომელიმე ქართველის შვილი იქნებოდა უთუოდ. სავსე იყო მაშინ სპარსეთი ქართველებით, სილამაზე აკლდათ, თუ ვაჟკაცობა – კმაყოფილმა ჩამოისვა ხელი ულვაშებზე. – ვის ძარღვებშიც სისხლთან ერთად ღვინოც არ ჩქეფს, რა იცის მან ღვინის ფასი. ჰო, მიყურე, შენ, მიყურე და მიჭვრიტინე თვალებში. ჰო, თქვენ გეუბნებით, თქვენო უდიდებულესობავ, მთავრევ. – ფეხზე წამოდგა კაცი და რევერანსი გაუკეთა ზეცას. მერე ისევ ჩამოჯდა. – ჰო. ჰო, ჰო, რა გიხარია, შე უბიწოებადაკარგულო, ცოდვილი კაცის ტურტლიანი ფეხი შენ მიწასაც შეეხო, – კაცმა ხმას დაუწია და შემრიგებლური კილოთი განაგრძო. – ვაზი მაინც წაეღოთ იმ დალოცვილებს, ერთი ძირი ვაზი მაინც. გაწითლებულმა მთვარემ საიდანღაც ობლად მოფარფატე ღრუბლის ფთილა ჩამოიფარა და ნათებას უკლო.

– კაი, გეყოფა ახლა, ნუ მიბრაზდები, მარტო შენი ბრალიც არ არის. ჰო, გეყოფა ახლა, გეყოფა. ერთი, მაინც მიხარია, სირცხვილის გრძნობა გქონია. ეს კი ცოტას არ ნიშნავს. შესარიგებლად, ჩემო მნათობო, გიმღერებ, აბა, ყურადღებით. რერო, – წამოიწყო კაცმა, – არა, არ გამოდის, ორი კაცი მინდა ახლა მე და ერთი ბოთლი ღვინო მაინც. ავავსებდი ჭიქას, – ხელი გაიწვდინა კაცმა. ცალ მუხლზე ჩაიჩოქა და ისევ ზეცას მიაპყრო თვალი, – იცი, რატომ არ გამომდის მე ახლა სიმღერა? გარდა იმისა, რომ მარტო ვარ, გიმეორებ, ღვინოა კიდევ საჭირო. ეჰ, შენ რა იცი? ღვინო ამღერებს კაცს. უღვინოდ მხოლოდ მსახიობები მღერიან. ამიტომაც არის მათი სიმღერები უმარილო. მოიხედე აქეთ, თუ კაცი ხარ, გეყოფა ბუტიაობა და, თუ ღმერთი გწამს, მოუმატე ნათებას. კიდევ დიდი გზა მაქვს გასავლელი. ეგრე, შე დალოვილო, ჩემო ბატონო, მთვარევ, იცი, რა მინდა შევსვა ახლა ამ სასმისით? ხვდები? მოდიხარ ხომ ნელ-ნელა ჩემს ჭკუაზე? ერთი შენი თავი მომცა ახლა აქ და ერთი ჭიქა მაინც შემასმევინა შენთვის. ხვდები, ხომ? აი, ამ ჭიქით მისი უდიდებულესობის და უგამხალისებულობის – ღვინის – სადღეგრძელო მინდა შევსვა. ღვინის სამადლობელი მინდა ვთქვა, ვაზის სადიდებელი. ღვთივკურთხეულო მცენარევ, დღეგრძელი იყოს შენი ფესვი და შენი მადლიანი წვენი აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე, ამინ! თუ რატომ ვთქვი, მერე მიხვდები.

ბატონო მთვარევ! დავითი თუ გახსოვს, ებრაელთა მეფე? ძალიან კარგი, თუ გახსოვს. ის თუ გახსოვს,

რა უწერია თავის ფსალმუნებში? შენ იმდენი ხნის ხარ, არ არის გასაკვირი, რომ დაგვიწყებოდეს. ჰოდა, გაგახსენებ: „ღვინო ახალისებს გულსა კაცისასაო“. მიხვდი ახლა, რატომ ვარ ასეთ კარგ გუნებაზე? თუ მიხვდი, მაგას რა სჯობია? არა, იმას თუ ხვდები, საით ვუმიზნებ მე? მოდი რა, მთლად ნუ დაიბნევი, ისევ არ გამებუტო, თუ კაცი ხარ. სხვა რა გზაა, გეტყვი. ნუ გგონია, რომ ყველა ჩემსავით დაგიჯდება და გაგანათლებს მიწიერი საიდუმლოებებით. ჰოდა, მისმინე. იმ დალოცვილმა, ქართველებისაგან ისწავლა ვაზის მოშენება და ღვინის დაყენება. კარგი, კარგი, ნუ გეღიმება ახლა. ღვინო ჩვენი ეროვნული განძია, ჩვენი სიამაყე, ჩვენ დავამკვიდრეთ მსოფლიოს ყველა ენაში ღვინის ცნება. ღვინო, ძმაო, ფილოსოფიური კატეგორიაა, კაცობრიობის ხსნა და განწმენდა ღვინოშია, ქართულ ღვინოში, აბა, რა გეგონა შენ? ისე, დიდი უცნაური ხალხი კი ვართ ქართველები. დაგვეპატენტებინა მაინც, ხომ დაგვადგებოდა საშველი და ჩვენს შეჭირვებასაც მოეღებოდა ბოლო. აუჰ, ეს რა წამომცდა,— შეფუცხუნდა კაცი,— ქართველი და ვაჭარი? ჩვენ დაუდევარი, უშურველი, ქველმოქმედი ხალხი ვართ. ჩვენ მხოლოდ გაჩუქება შეგვიძლია. რას არ გავაჩუქებთ ხოლმე?! მომხედე ერთი აქეთ, მომხედე, ალექსანდრე ფლემინგი თუ გახსოვს? ჰო, პენიცილინი რომ გამოიგონა და მერე მთელ მსოფლიოს უშურველად აჩუქა, მგონი, შოტლანდიელი უნდა იყოს. დამერწმუნე, ჩვენებურის სისხლი ურევია მაგის ძარღვებში. არ დამიწყო ახლა დავა და ნუ ხარხარებ. ვაჰ, ხარხარიც შეგძლებია, ხომ გაგაცინე, ერთი წვეთიც არ დაგილევია და გუნებაზე მოხვედი. მერმისს მოვახერხებ როგორმე, დაგალევინო. თუ შენ არ ჩამოხვალ, მე მოვალ შენთან. რა, არ მიმიღებ? შე კაცო, რითა ვარ ამერიკელებზე ნაკლები. ეს რა ვქენი, კაცო, არ მოვკალი კაცი სიცილით? — და თვითონაც ახარხარდა, ახარხარდა გულიანად. მერე გამოერკვა და ტუჩზე ხელი მიიფარა, აქეთ-იქეთ გაიხედა, გიჟი არავის ვეგონოო. — ერიჰაა, მუხლებზე არ ვდგავარ აქამდე!

ნაამბობით გამხიარულებულმა, ნამმორეულმა დედამიწამ კაცს ხელი შეაშველა და ფეხზე წამოდგომაში მიეხმარა.

კაცი წელში გასწორდა, მხრებში გაიჭიმა, დასიებული თვალები მოისრისა, მარადისობაში გადასული ფოთლები შეაშფოთა და, სახეღიმილიანი, თავის კანტურით გზას გაუყვა.

მიდიოდა გზაზე კაცი და მიღიღინებდა: „გზა სიარულმა დალია, სიპი ქვა წყლისა დენამა“... ეჰეე, ჰე, გაიღვიძეთ, გაიღვიძეთ, გამოაღეთ ფანჯრები, ერთი დღისთვისაც კი ღირდა გაჩენა. სიცოცხლეს გაუმარჯოს, ქართველებო, სიცოცხლეს. გეხვეწებით, გეხვეწებით, მოუფრთხილდით ყოველ დღეს, ყოველ წუთს, მერე სანანებლად რომ არ გაგიხდეთ, მერე გვიანი რომ არ იყოს. შეხედეთ, რა მშვენიერია სამყარო, როგორ კაშკაშებს ცა, როგორ გვიღიმის მთვარე, კიდევ რაღა გინდათ? ლექსი გინდათ? ლექსსაც გეტყვით, ოღონდ იფხიზლეთ. ჩვენ რომ გვძინავს, მტერი ფხიზლობს, მტერი ძლიერი, უჩინარი და ვერაგი. კაცი შეჩერდა, გზის პირას ბუჩქნარევ, შემაღლებულ ადგილზე შედგა. ხელი ცისკენ გაიშვირა და დაიწყო:

„ცას შემოეწნა ცეცხლის აკიდო,
გრგვინვამ გააპო ღრუბელი შავი,
დაბანგულივით გზააერულო,
გეყოფა ძილი, აიღე თავი,
არ გაქვს უფლება, არ გაქვს უფლება,
იწვე სიკვდილთან წილნაყარივით“.

კაცმა ხმას მოუმატა და რიხიანად განაგრძო:

„მოყვრად მოსული ვითომ მოკეთე,
ბილწი ზრახვებით, ფლიდი ღიმილით,
გადაგვარების, გადაჯიშების,
მოურჩენელი არის ტკივილი“...

კაცი აჩქარებული სუნთქავდა. წამიერად მთვარეს ტყორცნა მზერა. მთვარე გაყურსულიყო. უსმენდა. დადნა კაცი, ხმა დაირბილა და თითქმის ჩურჩულით განაგრძო...

„შენ სხვა მისია გარგუნა ღმერთმა,
შენ გოლგოთაზე დიდხანს გივლია“.

ისევ მოუმატა ხმას, გახედა ჩაბნელებულ კორპუსებს, ზეცას და დასჭექა:

„ფეხზე წამოდეგ და დაიქუხე,
ქართლოსიანნო, რა დროს ძილია...
სევდის ნისლები მიჰფანტ-მოჰფანტე,
ამომზიურდე, შენ შეგიძლია“...

დადუმდა კაცი, ირგვლივ სამარისებული სიჩუმე იწვა. — ეჰ, მაინც ვერავინ გავაღვიძეო,— გაიფიქრა კაცმა, მაგრამ უცბად ტაშის ხმა შემოესმა. ჯერ კანტი-კუნტად, მერე კი — მქუხარედ. ახედა ზეცას, იღიმებოდა მთვარე და ტაშს უკრავდენენ ვარსკვლავები. ზეცამ მიმიღოო, გადაირია კაცი, მუხლებზე დაემხო, გადაიწერა პირჯვარი და შეჰღაღადა:

— უფალო, ისეო ქრისტე, ძეო ღვთისაო, შემიწყალე მე, ცოდვილი. მადლობა, უფალო, გაჩენისთვის. ამ სამყაროს ხილვისთვის, სიცოცხლისთვის, ყოველი დღისთვის, ყოველი წამისთვის, განსაცდელისთვის, ტკივილისათვის, ყოველივე მიწიერისთვის და სიყვარულისთვის. დიდება შენს სახელს, ქრისტიანი კაცი ხომ ღვინით ეზიარება შენს ჭეშმარიტებას ღვინით და პურით. გმადლობ, უფალო, ასეთი ქვეყნისათვის, ასეთი ხალხისათვის. მაპატიე, მე, უბრალო ცოდვილს, მოკვდავს, თუ ჩემი მწიკვლი ბაგით ისე ვერ ვთქვი, როგორც შენს დიდებას ეკადრება, კიდევ ერთხელ მაპატიე, დიდება შენს სულგრძელობას.

დაჩოქილმა კაცმა ისევ ახედა ზეცას, პირჯვარი გადაიწერა და მიწას ეამბორა. წამოდგა ფეხზე. შეყოვნდა. ძალუმად შეისუნთქა შემოდგომის ცივი ჰაერი და გზას გაუყვა.

კაცი დაფიქრებული და მდუმარედ მიუყვებოდა გზას, მის სხეულში მბორგავი ბახუსის ჭინკები კი მოსვენებას არ აძლევდნენ გონებას.

ღიმილი გაუკრთა ისევ კაცს. თვალები მოჭუტა. სვლა შეაჩერა და მთვარეს შეეხმიანა:

— მგონი,ხვდები რაღაცებს,ჩემო ძმაო და მეგობარო, დღეის შემდეგ ჩვენ განუყრელი მეგობრები ვიქნებით. ასე გახსნილად მე ჯერ არავისთან მისაუბრია და შენი ყურის გდებაც და ხანდახან გამხნევებაც,ბიძგი გულახდილობისაკენ, ჩვენი მეგობრობის საწინდრად ჩავთავლე. რომ იცოდე, ის ლექსიც შენ წაგიკითხე პირველად. მართალია, ბევრი არაფერია, ამას შენც მიხვდი, მაგრამ ტაშით მაინც დამაჯიდოვეთ. ვიცი, გამხნევების იყო ის ტაში, შენ გულწრფელობა და სიალალე უფრო მოგეწონა. ჩვენ ხომ არავის ვეჯიბრებით, ჩემო მეგობარო, ლექსის შესახებაც მარტო ჩვენ ვიცით, მე და ზეცამ.

მცირეოდენი პაუზის შემდეგ კაცმა ისევ მხიარულ კილოზე განაგრძო. — ყველაფერი, ყველაფერი, მაგრამ ცოტათი მაინც მებრალები, — მგონი ჩემს მეტი არც მეგობარი გყავს. არ ვიცი, მანდ როგორი მეგობრობა იციან. აქ კი... იცი, რა სუფრიდან მოვდივარ? იცი, რა მოლხენა ვიცით ქართველებმა? რა იცი შენ. შეიძლება, ცალი თვალით შემოგიჭყეტია, მერე შეგრცხვებოდა და თვალს მოარიდებდი, როგორც დაუპატიჟებელი სტუმარი. ვიცი მე შენი სიმორცხვის ამბავი. წეღან როგორ გაწითლდი. აწი მე ვიცოდე. აუცილებლად წაგიყვან ჩემს ძმებთან. ჩემს მეგობრებთან მოსალხენად.დროს რა ვუთხრა, თორემ მეგობარი როგორ უნდა გენატრებოდეს. გაგონილი გექნება შენ, ,,ხანმა უნდობარმაო", ის დროა ახლა, მაგრამ ვერაფერს დაგვაკლებენ. მეგობარს ყოველდღე უნდა ნახულობდე. ეხმარებოდე. მისი ტკივილით თუ სიხარულით უნდა ცხოვრობდე. გვერდში უნდა ედგე ჭირსა თუ ლხინში. ესაა მეგობრობა. ღვინოზე ხომ გელაპარაკე, ღვთიური სასმელია, მაგრამ მეგობარი მარტო ქეიფში ხომ არ უნდა გახსენდებოდეს,მარტო ქეიფში ხომ არ უნდა ეფერებოდე? არ მწამს მე ღვინისმიერი მეგობრობა. მიგდებ ყურს, ხომ? დარწმუნებული ვარ, ჩვენ მაგარი მეგობრები ვიქნებით. ისე რავა მოვკვდები, ერთი თუ არ დაგათვრე. რაო, გეღიმება? არ გეხუმრები, აბა, შე კაცო, სულ მე ვლაპარაკობ,შენ კი ჯერ ერთი სიტყვაც არ გითქვამს. ჰო, ჰო, მიგიხვდი. მიგიხვდი, ძნელია ნასვამ კაცთან საუბარი, მაგრამ მოსმენა რომ შეგიძლია, დიდი კულტურაა ეგ, ძმაო!

სუფრაზე მოგახსენებდი და ჩემს მეგობრებზე. მადროვე ცოტა ხანს და ყველას გაგაცნობ. არ გაგიკვირდეს, იცის ასე ღვინომ აზრების შემოსევა. ჩვენთან, აქ, დედამიწაზე იციან თქმა, ღვინო ჭურებს ხეთქავსო და კაცს რას უზამსო?აბა, რა გეგონა შენ, ჭკუით უნდა მოხმარება. ზომიერებაა საჭირო. ჰა, ჰა, ჰა, — ჩაიქირქილა კაცმა, — ზომიერება, რომლის დაცვა ასე გვიჭირს ქართველებს, განა მარტო ღვინოში, ყველაფერში. მოქნევა, გაგიხარია, ვიცით, მაგრამ ხშირად გადავყოლილვართ ხოლმე მოქნეულს, ასეც იყო.

ნამეტნავად მომერია,მგონი, ეს დალოცვილი,ნამდვილად დავთვერი,ვერ იქნა და ვერ ჩავთავე დაწყებული. — კაცი ცოტა ხნით შეყოვნდა, ახედა ზეცას და დამორცხვებულმა განაგრძო. — თუ მეგობრები ვართ, მეგობრები ვიყოთ ბოლომდე და დღეიდან ბატონობით ნუღა მივმართავთ ერთმანეთს, ჩვენთან,აქ,უბატონოდ, პირდაპირ სახელით მიმართვა მეგობრობის ნიშანია. შევთანხმდით, ხომ, აგაშენა ღმერთმა.ჩემო მთვარევ, სუფრას თამადა უნდა ჰყავდეს,ასეთია აქაური წესი. — კაცმა ჩუმად ისევ ჩაიქირქილა,— მაგის გასაჭირი ნამდვილად არ გვაქვს. ქვეყნის თამადების გაჭირვება კი საგრძნობია. ჩემო მთვარევ, ისევ გამექცა სიტყვები, ნამეტნავად ძნელი დასაურვებელია ნასმურევზე. ჩვენს სუფრასაც ჰყავდა თამადა,ერთი გამხმარი,ცხვირკაუჭა, ორბივით მომზირალი,ენაკვიმატი და ენაწყლიანი. რა არ თქვა,კინაღამ იტირა და ჩვენც ლამის გვატირა. განსაკუთრებით,სამშობლოს სადღეგრძელოზე ითქვა ბევრი. ქართველები, რომ იცოდე, ჩემო მეგობარო, სამშობლოზე თავგადაკლული ხალხია,ძალა არ არის მათი მშობლიური მიწიდან მოწყვეტისა. არადა, ვინ არ ცდილობდა. ქრისტეს აქეთ ორი ათასი წელი. ქრისტეს იქით კიდევ რამდენი ათასი.

დედამიწის რომელი მპყრობელი არ დაგვსხმია თავს. რა სატანჯველი არ მოუვლენია ჩვენთვის. გვაწიოკებდნენ, გვწვავდნენ, ვაზს გვიჩეხავდნენ — იცოდნენ მტარვალებმა მისი ფასი. სამშობლოდან გვერეკებოდნენ, მაგრამ მაინც ვერაფერი დაგვაკლეს. ქართველი უსაქართველოდ არაფერია. ამ მიწიდან ღებულობს იგი ისეთ საზრდოს, ისეთ მადლს, დედამიწის სხვა ვერცერთი კუთხე რომ ვერ მისცემს. ამიტომ არ ტოვებენ ჩემი თანამემამულეები ამ ღვთის კურთხეულ მიწას. აქ ყველანი მეფეები არიან. იქ კი უჯარისკაცო გენერლები. დროებით წასულებსაც კი საშინელი ნოსტალგია ტანჯავთ. და იცით, პირველყოვლისა, რას აკეთებენ, რომ ჩამოდიან? შენ რა იცი მიწის ყადრი, შენ რა იცი,რაა განშორების ტკივილი. სულ ერთ ადგილზე ბრუნავ, არ გეწყინოს, ამას რომ გეუბნები, ქართველი ჩამოსვლისთანავე ჯერ მიწას ეამბორება, მერე დედას და მერე ყველა დანარჩენს. დედა და სამშობლო, დედა და მიწა ქართველისათვის თითქმის ერთი და იგივე ცნებებია. ამიტომაც უწოდებენ დედასამშობლოს დედამიწას. ყველაზე მეტი დრო ამ სადღეგრძელომ წაიღო. სასმისს არ იკითხავ ახლა?

დრო მოვიდა, ჩემო კეთილო მნათობო, წარმოგიდგინო ჩემი მეგობრები, რომლებიც უსათუოდ შენი მეგობრებიც გახდებიან. ოჯახის უფროსი თემური, რომელსაც მეგობრები სიყვარულით თოვლის ბაბუას ვეძახით. დალოცვილი, ყოველი ახალი წლის ღამეს კახური ღვინით ხელდამშვენებული ჩამოგვირბენს ხოლმე. ხომ ხვდები, რა აკეთებინებს ამას, ძმაო, ჰო, დიდი სიყვარული და უზომოდ კეთილი გული. კახელია და იუმორიც საოცრად მარილიანი აქვს. სასმისზე გელაპარაკებოდი — თემურმა გლობუსი

გადახსნა შუაზე. გლობუსი ხომ იცი, რაც არის, ჰოდა, ორ ნაწილად გაყო. ერთი ნაწილი თამადას მისცა, ჰო, იმ ცხვირკაუჭას, მეორე – მის მოადგილეს და ამ სასმისით შეისვა სამშობლოს სადღეგრძელო. გლობუსი სიმბოლოა, ჩემო მეგობარო. ჩვენი სამშობლოს თამადობით მთელი დედამიწის სადღეგრძელო ითქვა. ჩვენისთანა უცნაური ხალხი მთელს დედამიწაზე არ მოიპოვება, ხომ გჯერა?

სადღეგრძელო ყველამ შესვა, კიდევ ვიმეორებ, ამ სადღეგრძელოს ქართულ სუფრაზე ყველა სვამს უკლებლივ – ეს დაუწერელი კანონია. და მერე უნდა გენახა შენ, რა სითბო და სიყვარული დატრიალდა, რა ვაჟკაცები ისხდნენ სუფრასთან. თემურზე უკვე გითხარი. ახლა ვანელი უნდა გაგაცნო – გიაგიორგი – ორმეტრიანი ბეჭბრტყელი და მხრებგანიერი ვაჟკაცი. გლობუსის დალევის შემდეგ სულ ასე გაიძახოდა – ჩვენს ხუტუნს გაუმარჯოსო, ესე იგი, ჩვენს სიყვარულსო. ახლა ზესტაფონელ მალხაზს არ იკითხავ! სტუმარზე თავგადაკლული კაცი, რომელიც შენი გულისათვის ერბო-კვერცხს შეიწვავს ხელის გულზე. სხვა ბიჭები – ერთიმეორეზე უკეთესები. ჯამლეთი, ხომ იცი, კარგად მღერის-მეთქი, სადაც გაივლის, იმის ნაფეხურებზე ყვავილები ამოდის. სოხუმელი სოსო – ბედის უკუღმართობით საკუთარ სამშობლოში ლტოლვილად ქცეული, თავის ეზოკუთხე-კუნჭულზე რომ აბოდებს ყოველჟამს. გალელი თამაზი – ისიც ლტოლვილი, ნამეტანი სერიოზულია, კანონის კაცია. აბა, მხოლოდ გალაკტიონის „მერის“ კითხვის დროს ავიწყდება კანონი და სამართალი. ნიკო, ჩემო ბატონო, სიყვარულის კაცი – გაჭირვების ტალკვესი. ერთი სიმღერა აქვს ამოჩემებული, მომადგება ხოლმე და სულ იმას მამღერებს. წაგიმღერებ ახლა „წავალ და გაგიფრინდები“... ამირანი, – ძირძველი თბილისელი, კოლორიტი და ბოჰემა ქალაქისა. ქალაქური მელოდიების უბადლო შემსრულებელი, შნოიანი კაცი.

ახლა ქალბატონებს არ იკითხავ! ერთს გამოვყოფ განსაკუთრებით – ქალბატონი დინა – ჩვენი გიორგის მეუღლე, ჩვენი დადნაფიცი, ქალური მშვენიერებისა და სინაზის განსახიერება. მთელი უბნის, ჰა, ვიტყვი რა, მეც, უბანი რას მიქვია, მთელი ქვეყნის მშვენება, სათნო, კეთილი, კდემამოსილი ქალბატონი. მთელი საქართველო იყო იქ შეკრებილი, ჩემო ძმაო. ხომ ხედავ, რა ხალხი, რა ვაჟკაცები ტრიალებდნენ ჩემს გარშემო. არაფრით არ არიან იმათზე ნაკლები, დიდ დავითს რომ ეხვია დიდგორში. გახსოვს! რა სიტყვები თქვა გადამწყვეტი ბრძოლის წინ! შენ უნდა გახსოვდეს, ძმაო, შენი ხნის ქვა აღარ აგდია აქ, ჩვენთან. მეგობარი რომ ხარ, იმიტომ გელაპარაკები ასე – შინაურულად, თუ არა სხვანაირი ლაპარაკიც ვიცი მე. სმენა იყოს, დავითი ლაპარაკობს: „ეჰა, მეომარნნო ქრისტესანნო! თუ ღვთის რჯულის დასაცავად წესიერად ვიბრძვით, არამც თუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევართა, არამედ თვით ეშმაკებსაც ადვილად დავამარცხებთ“... ასეა დღესაც. ტანში მაჟრჟოლებს ამ სიტყვებზე და ცრემლიც მომაწვება ხოლმე. ნეტავი გამოჩნდებოდეს კიდე ერთხელ დავითი. ნეტავი კიდევ ერთხელ გვეტყოდეს ვინმე ასეთ სიტყვებს. ხალხი კი მზად არის, დაუჩოქოს და შეჰღაღადოს. გაგვიძეხ წინ, დიდო სარდალო, გვიყმე და გვამსახურე სამშობლოს. ჩემო მეგობარო, მომიტევე, თუ ნაღველიც შეეპარა ჩემს ხმას. რა ვქნა, უზომოდ მიყვარს ჩემი დაბნეული ქვეყანა. მაგრამ გვეყოფა. მე იქიდან იმოდენა სიყვარული მომაქვს, არათუ ჩემს ქვეყანას, შენც კი გაგათბობს, ჩემო ცივო მეგობარო.

კაცი შეჩერდა, კარგა ხანს იყო ჩაფიქრებული. მთვარეც ელოდა, ელოდა მოუთმენლად...

თავჩაღუნულმა კაცმა ხელუკუღმა თვალში ხელი ამოისვა და ალაპარაკდა. ალაპარაკდა ოდნავ ხმაგაბზარული:

– ჩემო მთვარევ, არაა დიდი სირცხვილი, თუ როგორც წვეთად ქცეული ცის ნამი გასხლტება პაწაწა ფოთოლზე – ვაჟკაცის თვალსაც მოსწყდეს ობოლი კურცხალი. მაგრამ ეს მარტო სევდის, უიმედობის ცრემლი როდია, მარტო წარსულს კი არ მივსტირი, არამედ სიხარულისაც. და იცი, რა მიხარია, აბა, თუ მიხვდები? ნუ დაიბნევი ისევ, შე კაცო. არწივის მზერა გაქვს, შე დალოცვილო და ვერაფერს ამჩნევ?! ამჩნევ და შენც გიხარია. გატყობ, რომ გიხარია. ჩუმად გიხარია, უთქმელად ვხვდები მე, განა ვერ ვხვდები? შენი ფხიზელი თვალი კარგად ხედავს, რომ არსად დედიმიწის ზურგზე დღეს იმდენი ღვთის სახლი არ შენდება, რამდენიც ჩვენთან.ერთიმეორეზე უკეთესები, კელაპტრებივით გაბრწყინებულნი. ამდენი მლოცველიც მსოფლიოს არცერთ კუთხეში არ არის. ეს შენც გიხარია ჩემსავით. გიხარია ჩემსავით, ჩემო მეგობარო და ხვდები – ეს საქართველოს უკვდავებაა, ხვდები, რომ საქართველოს გადაშენება არ უწერია. მოიცა, მოიცა – შეყოვნდა კაცი და ისევ შეჩერდა, შეხედა მთვარეს და კიდევ ერთი კურცხალი ჩამოეკიდა ღაწვზე, – ჩემო მეგობარო! შენც აგიწყლიანდა თვალი?

კაცის ღაწვზე დაკიდებულ წვეთში კისკასობდა მოჭექილი ცარგვალი.

გულაჩვილებულმა, გალურსულმა მთვარემ სხივებით მოუმშრალა დანამული ღაწვები მხრებჩამოყრილ კაცს და ბეჭებზე ოდნავ უბიძგა.

კაცი ისევ გაუდგა გზას, მიდიოდა მდუმარედ, ხან ხელებს გაასავსავებდა, ხან თავს გადაიქნევდა, ხან ისევ სახეღიმილიანი ზეცას ახედავდა. მთვარე კი, რომელსაც სიფითრე მოსდებოდა, უხმოდ ემშვიდობებოდა ახლად შეძენილ მეგობარს და საბრძანებელს მის უდიდებულესობა მზეს უთმობდა.

კაცი კი მიდიოდა...

თამილა ჯაფარიძე

თათიას

დამხატე!
ოღონდ არ შეცვალო პარამეტრები
და გამეტებით ნუ ასწორებ ძვირფას ნაოჭებს!
ნუ გაგაოცებს ყელზე ძველი, ჭრელი ბაწარი...
ვერ მოვასწარი მეთქვა შენთვის
მამაშენმა სად მისახსოვრა...
ასე დამქონდა ბრილიანტად ყულფი – გრძნეული...
გადარეული გაზაფხულების მახარობელი...

დამხატე!
ეს პორტრეტი ძეწნას ჩამოჰგავს, –
მკლავებჩამოყრილს;
თუ არ გამოგდის ლურჯი ფერებით
ჩამოღარე მკლავები თეთრი,
ვაწრთობდი შენთვის, რომ ხელები გქონოდა
ხიდად,
ვიყავი მშვიდად, როცა გეძინა ღრუბელივით
თეთრსა და ფაფუკს..
ვფარავდი ქარბუქს, წვიმის ნიაღვარს,
მიწის ჟრუანტელს...
ცრემლი თუ მამხელს არ შეგეშინდეს –
ეს წარსულია!

დამხატე!
მოლბერტი – შენი დედამიწა შეატორტმანე!
ფერთა პალიტრა გადმოღვარე, აცეკვე ფუნჯი,
დამხატე მუნჯი, აქ სიტყვები არ იხატება,
და ვიდრე ლექსი დაიბადება, დახატე სისხლი!
ჭრილობების ფერთა გამები:
თეთნულდი,
ლილე,
ირინოლა,
ბიმურზელა და
მირანგულა!

დამხატე!
როცა თვალებს ხატავ, ჩახატე სახლი – სვანური
კოშკით,
ბალახისფერებს შეურიე ერთი წვეთი
ყაყაჩოსფერი...
და როცა მღერის შენი ტილო, როცა ხმიანობს –
ეს სახლის ხმაა, მამის სიმღერა –
ნანაილას ფორტეპიანო!

დამხატე!
ენგურს ჰგავდეს ჩემი თმები ისე დახატე,
გათავდეს მღვრიე საღებავი ამ პალიტრიდან,
სრულიად გაქრეს!
რომ შენ არ დაგრჩეს ნაცრისფერები,
ხედავდე მზისფერს;
და როცა გიმზერ, ბავშვობაში ვბრუნდები, შვილო!
გაშალე ტილო, ალაპარაკე, თუ გინდა მგავდეს;
ნუ წვალობ ამდენს დედის პორტრეტი
უსასრულოა...

დამხატე!
უწინ მე ვხატავდი შენი დილის ცისფერ რიკულებს,
ნუღარ მიყურებ დაღონებით, ვარსებობ შენში,
მე არ ვთავდები, მზისფერები თავდება ჩემში...
დედის თვალებში შენ თავს ხედავ – დახატე ესეც,
რა ფერსაც ეძებ, შენს მოლბერტზე უხვად აყრია,
თეთრი მანტია მომავლე ღობედ,
რომ არ გავიქცე, როცა აპრილს ჩამიხატავ
ჭაღარა თმაში...

დამხატე!
შვილო, ათასწლეული არ მეყოფა შენთან სამყოფად,
თავზე მომარგე შენი თითების თეთრი გვირგვინი,
დედის ბილიკი ისე სუფთა, ისე სანდოა,
ადამიანი როცა მარტოა, მაშინ იხსნება!
ახლა იწყება სამზეოში შენი აღმასვლა,
გულის სარქველზე მიამაგრე
უწმინდესი ნაკადულები, – შენი შვილები, –
ჩემს პორტრეტში სამუდამოდ ჩახატულები....

დამხატე!
ჩემი მარიამის მსგავსი პროფილით,
პირველყოფილი სიხარულის ფერით მოქარგე,
თუ ვერ მომაგნებს შენი ფუნჯი დაღამებისას,
სანთლად დავდნები და მოგიფენ მზეთა ვუალებს....
დამხატე!
რაც ვარ, არ შეცვალო პარამეტრები!

თ ა რ ი ღ ე ბ ი

მიწა არ გვეყო, არც დედამიწა-
ცაში ავედით...
ქარის კარავში შევრეკეთ მგლები – რუხი
ღრუბლები...
და ეს იყო ისე ადვილი...
გაშალე ზეცა,
რომ ჩვენს სიყვარულს დაეჭირა მეტი ადგილი.
მზეთა თაღებზე დავათარიღეთ
დღე და წამები...
და იმ წამებსაც ერქვა სახელი...
და ჰქონდა გემო მზეთა მტევნების.
ისე მავსებდი,
თითქოს არასდროს დავმთავრდებოდი.
თოვდა – იწვოდი,
ქუხდა – მღეროდი,
წვიმდა – ფხიზლობდი,
რომ წვიმის ტივებს არ გავყოლოდი,
ვიდრე შენ თვითონ გაედევნე ქარის ხომალდებს.
და დამარქვი პენელოპეს უცხო სახელი...
მერე ხატავდნენ გაზაფხულები
უშბას და შხელდას...
ვწურავდი მიწას,
ენგურს ვაშრობდი,
რომ გამომეხსნა ტყვეობიდან
ყველა ბილიკი,
გზაჯვარედინი –
საჩემო გზისთვის
და... შემხებოდი –
სიცოცხლისათვის!
და შენი ხმა,
ერთადერთი, როგორც სამშობლო
ზვავის გუგუნად –
ჩამრჩენოდა მთებში ჩაკეტილს...
გადაშრა ზეცა,
გადაჯეგეს მგლებმა კარავი,
და აღარავის სჭირდება ზეცა თავისუფალი.
ვეხები ნაცნობ, წარმავალ ჰაერს...
ღრუბლების ყმუილს,
მართალს და ტყუილს,
სხვა თარიღების ვისრუტავ თრიაქს...
მიაქვს საათის ისრების წრიალს ის მელოდია.
აღარ გგავს ჩვენი უშბა და შხელდა,
დაკარგა ბგერა დაბრუნების
მეხმა და ელდამ...
ახლა ვღამდები,
ერღვევა მურყვამს ღამის გამები
და ქარის იქით ვწეწავ თარიღებს.
წაიღებს ესე ზღაპარამბავს
დრო ბასრი ხელით.
თოვს...
მყარად ვდგავარ დედამიწაზე,
ფესვგამდგარი და გატოტვილი ვარ...
თოვს...
თარიღები ნაფოტებად მცვივა მხრებიდან...
თოვს...

აგვისტო – 2008

იყოს ნამდვილი სინამდვილე, როგორიც ღმერთი...
თეთნულდის ძირში სახლი გვედგას,
მაჩუბის გვერდით,
იალაღებზე გვყავდეს ხარები,
შვილებს ათივეს ჰქონდეთ შენი ლურჯი თვალები....
სამას მეათე არაგველის დედა ვიყო,
მოშურნეც მყავდეს...
სწვავდეთ მამული, დედულეთი, ცოლები ჰყავდეთ,
სოფლის ბოლოში გვედგას წისქვილი,-
ერთგულებას ფქვადეს და ფქვავდეს...
ბუხარი ენთოს, სახურავზე ცეკვავდეს კვამლი,
თვალი მეჭიროს ჭიშკრისაკენ და ჩემი კალთა
სავსე იყოს წიწილების წიავ-წიავით...
ქროდეს ნიავი, ბალახებს ვწნავდე,
ენგურის წყალით ვზელდე მალამოს,
საქართველოს მოჭრილ მხრებზე
წამლად ვაფენდეთ,
კოდორის კართან კარავს შლიდე,
ელოდე შვილებს,
მღეროდნენ ლილეს, ბრუნდებოდნენ,
გულში იკრავდე,
სამასმეათე არაგველის მამა იყო, გქონდეს
სიმართლე....
ისე გიყვარდე, სამყაროს ცვლიდე....
...და ტაბლას ვშლიდე, ჯვრებიანი ცხელი პურებით,
ყველა შინ მყავდეთ, გული გულობდეს,
კარებს აღებდე და ჩვენს სახლში
ღმერთი სტუმრობდეს...

პაატა სუხმანიძე

ჩემს ხევსურ გოგოს

ღმერთის სახელი გიხარის, ინგა,
არ დამიმწიფე განგებ ოზები.
ჩემს ხევსურ გოგოს მითხარით,
ვინ ჰგავს?
ღმერთებმა მითხრეს: ანგელოზები.
უნდა იცოდე, გოგოვ, გავმწირდი.
ჩემს ტონს როდისღა დაეტონები?
ახლა წამოვალ, როგორც დაგპირდი,
პეგასშებმული ფაეტონებით.
მომყვება ლექსის მთელი ამალა,
რითმები ფლანგზე კავალერიობს.
და ბუტკოს რომ ცა ღრუბლით
დამალავს,
ქარს ვთხოვ, ამბორით დამამტვერიოს.
ვკაფე და ვწმინდე, გზა ტევრიანი,
მთებს შორის ერთ დიდ ბანად
ვირევით.
მოვალ პოეტი სატევრიანი
და მომაქვს ლექსი ნანადირევი.
წყალს ეზიდები ალბათ თუნგებით,
მე კი ჩემს მხარზე დაგითუნგებდი.
რომ გაქვს ოცნება გაბათუმების,
არც მაგ ოცნებას დაგიჩლუნგებდი.
უკვე გასვლია ვადა უარებს.
მედგრად დაუდექ გრიგალს, მინებო!
შლეგ ქარიშხლებსაც გადაუარეს
და გულზე მშვიდად მიგაძინებო.
დროა, გრძნობები ვატაძრიანოთ,
შენ გელოდები ფატით ციდანო.
გაგხვევ ნაბადში, ტალავრიანო,
და წამოგიყვან შატილიდანო.

ჰერეთი

გაღმა კახი, ზაქათალა, ბელაქანი...
ლოცვა მესმის წარსულიდან ენისელის.
მაპოვნინე დაკარგული, ბელა, ქანი,
ცის სამრეკლო ამოღებას ენის ელის.

წითელ ხელით გასხვისებენ საინგილოს,
რომ არ გვქონდა მხარდაჭერა საინგლისო.
მზის გინგლები მთვარეს აღარ აგინგლინო,
მსურს, ინგილომ გულზე ჯვარი აგინგილო.

ნედლი ლექსი გამხმარ ხეზე ვწერე თელის.
შოთა, ვაჟა, გალა, ტატო, წერეთელი.
ღირსი არ ხარ, არც ახლა და მერეც თელვის,
„ჰარალეთი“ შემეგებე ჰერეთელი.

ლაჟვარდფშაველას

გამოდენიხარ არაგვს ფშა ველად,
მარჯვენს არ მოჭრის მუცალს ალუდა.
მთას და ბარს მოსავ, ლაჟვარდფშაველა,
რომ ცუდს კარგმა არ უარაცუდა.

ეშმა ვერ მაცდენს, თუნდაც გოგო თუ....
შევაჰანგტკბილოთ ქნარი და ფშინა.
შემოაბრუნო უნდა, გოგოთურ,
კაენის გზაზე მდგარი აფშინა.

არ იყავ არვის დამჩაგრა(ა)ლი,
თარგმნე „ყორანი“ ედგარ პოისი.
მე სანახავი დამრჩა ჩარგალი,
სოფელი – ლექსის მეგაპოლისი.

ტიტანის ცრემლი ასა, ჯოყოლა –
მასპინძელი ხარ ზვიადაურის.
საფიხვნო-კარის – საავჯო ყოლა,
შავ მთას არ უნდა ზიდვა საურის.

ლექსს განუცდია დეკადანსიო,
გავჩნდი ნათლული კათაკმეველის.
მელამუნება დეკადან სიო,
ყველაზე დიდი მკათათვეველის.

ვერონიკა

მოვალ გულმწყურვალი ცხრა წყაროში,
მომაქვს სიყვარული ვერონიდან.
რადგან ვიმყოფები აწ ხაროში,
ხელი მომაწოდე, ვერონიკა!

მთვარე, უძილობის ეტალონი,
გულზე მითავაზებს წერო ნისკარტს.
ტკივილს ვერ მიყუჩებს კეტანოლი,
და შენ გამიყუჩე, ვერონიკა!

წლები ერთად ყოფნით შევიბეროთ,
გრძნობას უარითაც ვერ მომიკლავ.
ჯვარი სამოთხეში დავიწეროთ,
აქ თუ არ გვაღირსეს, ვერონიკა!

ია გაზაფხულის კაბით მინდა,
შენთან სიახლოვეს ვერ მოვიკლებ.
ცაზე სილაჟვარდე აბიბინდა,
ღმერთი გადმომაყრის ვერონიკებს.

გახდა ამინდები შესალოცი,
ლექსში ჯვარზე გაკვრით ნერონი მკლავს.
შენ რომ მომაწოდე ხელსახოცი,
ქრისტე დავინახე, ვერონიკა!

პეტრა

გუბაზის მკვლელებს დასჯის ფარტაძე,
წათეს წარსულით მწარედ პეტრა მკლავს.
ქვის ძეგლს ვერაფრით გამიპარტახებთ,
რომ ოქროს ლექსი წამეპეტრარკა.

გავარდეს სიტყვა მეხის და მგოსნის,
ბორკილს მადებენ მაჯებს ლიხს იქით,
ლიხს აქეთ – ფეხზე! „ვეფხისტყაოსნის“
დამცველი რომ ვარ ქაჯეთის ციხით.

დაწერს ახალი კესარიელი,
რომ არ მქონია დღენი ნეტარნი.
გურიაში ვარ დღეს ტარიელი,
აჭარაშია ჩემი ნესტანი.

ციხის გულისთვის ციხის ძირში ვარ,
ზღვიდან უქმნიდა მთვარე პეტრას რკალს.
მზის გულგრილობამ სიცხით მიშვილა,
რომ არაფერი წამეპეტრარკა.

ტაო-კლარჯეთს

გლოვა და ტანჯვა ართვინი ერის,
აქ ქალებს ზრდიდნენ აზიზტანიანს.
მე მგლისგულა ვარ ართვინიერი
და ჩემი ფეთქვა ლაზისტანია.

და როცა ენა ნმარტავს, მუნჯია,
არ გამაგონოთ ძმურად ღალატი.
ეს დაკარგული არტანუჯია,
სადაც სახლობდა კურაპალატი.

ხეო, ფესვებით მომარაგდები,
დღეს მოგვივლინე, ცაო, მარჯვეთი.
ან აღსდექ, დავით, რომ არ აგებდი
და დაგვიბრუნე ტაო-კლარჯეთი.

თბილისი

მტკვარზე ბანაობს ნარნარა ტივი,
აღარ ვიფიცებ იმ მეტეხელებს.
ლექსი დამცდება ან ნარატივი,
მოცარულ კინტოს მიმეტებთ ხელებს.
გორგასლის ქალაქს ნუკრის გულიო,
ომზე – მშვიდობის ხიდს დამწინდებელს.
ავყვები ცამდე ფუნიკულიორს,
ვნახავ უნახავ დიდ მთაწმინდელებს.
თბილი ქალაქის ცივი ხელებით,
არ გამიცივდეთ თბილისელები.
ნარიყალაში ვიციხელებდი,
მთაწმინდის პარკის თბილი სელებით.
მთაწმინდის მთვარე აელვარდება,
ჩნდება როლიდან – როლამდე ანძა.
ფეხისწვერებზე კვლავ ელვა დგება,
ნერონის ხელი რომ დაელანძა.
შეეხმიანა მითი ლეგენდას,
სამოთხის ფრინველს სდევდა მიმინო.
თბილისს ედემად მითითებენ და
ვერ გავიმეტებ შენდამი მინორს.
ღორმუცელობა მადას ერია,
თვალი სატირლად ჩამხობილია.
გული მეთუთქვის, სადაც წერია,
რომ მენიუში ჩახოხბილია.
ნარიყალაში ვიციხელებდი,
მთაწმინდის პარკის თბილი სელებით.
თბილი ქალაქის ცივი ხელებით,
არ გამიცივდეთ თბილისელები...

მაყვალა ბეჰმანოზაშვილი

ადამიანის სხეულისა და სულის მთლიანობის ჰიმნი

(თამარ გაბროშვილის „აყვავებული სამოთხის ბაღი“)

ლიტერატურული ჟურნალი „ანეული“ მკითხველისათვის სულიერი საზრდოა. ამჯერად, ჟურნალის 2017 წლის მე-4 ნომერში დაბეჭდილ მწერალ თამარ გაბროშვილის მინიატურებზე მინდა ყურადღება გავამახვილო.

თამარ გაბროშვილი თავისი შემოქმედებით უკუნეთ სიბნელეში ანთებულ სანთლად მესახება, რომელიც იწვის, მაგრამ ნათელი კი არ აკლდება, უფრო და უფრო ემატება.

მწერალი ცდილობს, მკითხველს უხვსიტყვაობით თავი არ შეაწყინოს, მთავარი სათქმელი მოკლედ, მაგრამ ღვთიურ მადლად მოჰფინოს.

ვკითხულობთ მის „აყვავებული სამოთხის ბაღის“ „ზეციურ სამკაულებს“ და უნებლიეთ, მწერალთან ერთად სამოთხის მკვიდრად ვგრძნობთ თავს.

როგორია ავტორის მიერ შეთვისებული ზეციური სამკაულები?!

„რა უბრალოა და რა მშვენიერი წვიმად ჩამოღვრილი, ფიფქ-ბრილიანტებად აბჭყვრიალებული, ლექსად ჩამოღვენთილი ზ-ენა სამყარო“...

სიტყვა „ზ-ენა“ თამარ გაბროშვილის უძვირფასესი სამკაულია. მწერალი ნაყოფიერ ნიადაგად, სამოთხის ბაღად ქცეული, სწორედ ასეთ ზენაურ სამკაულს იმსახურებს, რომელთანაც, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ: „სასაცილოა ბიბილოებზე ჩამოკონწიალებული საყურეები, რომლებიც იქვე რჩებიან, სადაც არიან“...

დღეს ადამიანებს „აღუვსებელი საწყაო“ მოსვენებას არ გვაძლევს. წადილთა მონები გავმხდარვართ, რითაც ვკარგავთ თავისუფლებას, თავისუფლებასთან ერთად – ბედნიერებას.

თამარ გაბროშვილი ცდილობს, ღვთისაგან ნაბოძები წყალობა დაანახოს მკითხველს, უძვირფასესთა შორის ფასდაუდებელი სიმდიდრე გვაგრძნობინოს და მადლიერების გრძნობა გაგვიძლიეროს.

„დიდება უფალს – ამ წყალობათა გაღებისათვის, სასიცოცხლო ძალთა ამ ენით, ამენ-ით გადმოცემისათვის!“

პროფესიით ქიმიკოსი, მთელი არსებით კი საღმრთო დარგის რჩეული შემოქმედი, ადამიანის არსობის შედგენილობაშიც ჭეშმარიტებას, უფალს, ამინ! სიტყვას შეიგრძნობს, ხედავს და ჩვენც გვარწმუნებს ამ ჭეშმარიტებაში.

„სიცოცხლე დედამიწაზე ცილის არსებობის ფორმას წარმოადგენს“... ცილა, რომელიც ადამიანს „აშენებს“, 23-მდე ამინომჟავისგან შედგება.

მწერალი ცდილობს, მკითხველს სამყაროს მთლიანობა დაანახოს, ამ მთლიანობის განუყოფელ ნაწილად წარმოგვადგენინოს თავი და თავად ადამიანი სამყაროდ აღიაროს, რომელიც იმავე თვისებებისაა, როგორი თვისებისაც – სამყარო. ეს დიდებული განცდა ყველა ხილვად, წარმავალ საგანსა და მოვლენაზე აღმატებულია:

„ამინ-ომჟ-ავა! – თუ განვიხილავთ ამ სიტყვის დასაწყისს და დასასრულს – ამინ-ავა – ჩანს, – უეჭველად, ჭეშმარიტად ავა!“...

...„სიცოცხლე დედამიწიდან აუცილებლად მაღლა ავა, გაგრძელდება – ამინ! ამინ! ამინ! – ჩვენი სხეულის ყოველი უჯრედიც – ამინ-მჟავების შემცველობის გამო, ამას გაიძახის თურმე“...

ადამიანის სხეულისა და სულის მთლიანობის ჰიმნად მიმაჩნია მწერლის სიტყვები:

„მაღალთა შინა უფლის სუფევას მთელი სიცოცხლის მანძილზე დაბლიდან, ამინმჟავათა კრებული – ადამიანი შეჰხარის და ახმიანებს მასთან მყოფობის და ასვლის სურვილს – ჭეშმარიტად! ამინ!

ნუ გეშინის სიკვდილისა, იქაც გაგითენდება!“

ვკითხულობთ თამარისაგან მოწოდებულ სულის სალბუნს და უნებლიეთ ასოციაციებით გენიებს მიგვაახლებს, მათთან გვამოგზაურებს ისე, რომ საუკუნეების ზღუდეების გარღვევას ვერც ვგრძნობთ.

ასოციაციებისა და გენიების სიბრძნესთან პარალელების გავლება შორს წაგვიყვანს.

ერთს კი ვიტყვი, რომ, მწერალი, პოეტი, შემოქმედი წუთისოფელში უფლის ნათლის ანარეკლია, ცასა და მიწას შორის მოციქულია, შუამავალია, სიკვდილთან შემრიგებელია, ეს იმ შემთხვევაში, თუ სულიერი კათარზისის საფუძველზე ჰარმონიულ მთლიანობაში ვიქნებით სამყაროსთან.

მწერალი, თამარ გაბროშვილი, ღია სამყაროს გალერიის უჩვეულო მკითხველია, მოქმედი სულია, სული მოგზაურია, რომელიც სულის თვალიდან დანახულის შთაბეჭდილებებშია და ჩვენც უანგაროდ გვაქცევს ამ შთაბეჭდილებების თანამოაზრედ:

„ნეტა ამხელა ფუნჯი ვის აქვს, რომ ასე გრანდიოზულ ნახატებს ქმნის-მეთქი. მხოლოდ დიადს ძალუძს შექმნას სიდიადე!

ხშირად გავხედავ ხოლმე ზეცას და ვტკბები ასე ღია და მარადგახსნილ გალერეაში გამოფენილი დიდი შემოქმედის ნამუშევრების დათვალიერებით... რომელიც, სულაც, შეიძლება მისი სუნთქვაა, სუნით თქმაა, რომელიც ამინ-დის პროგნოზს გვაუწყებს და ამბობს: „ამინ!“

მინიატურას „თვალის კაკალი-ამინ!“, ეპიგრაფად უძღვის: „თვალი წამ-წამებით დაცულ წუთის სოფელში შემოდის“, ქალბატონი თამარი იმ სულიერ თვალზე მიგვანიშნებს, რომლის არსებობა „ბევრმა არ იცის.“ ეს არის მწერლის სევდა, ყველა დროისა თუ ეპოქის შემოქმედთა ზოგადსაკაცობრიო გულისტკივილი.

თამარ გაბროშვილის ზეციური სამკაულების თანამდევია სისოვლე, წვიმა, ცრემლები, რომელიც ადამიანის სინანულის გამომხატველი და ცოდვათა განმწმენდელია. სულიერი კათარზისის მაუწყებელია.

ნამისა და მინის შერწყმით, გამოყოფითა თუ დამარცვლით ღვთიურად აჟღერებულ სიმფონიაში ავტორი ჭეშმარიტებას, „ამინს-ს“ გვაზიარებს.

„სიტყვა – ამინ-ით უფლის ჭეშმარიტ არსებობას ვადასტურებთ, ვადიდებთ უფალს! ჯერარდაბადებული ჩვილიც კი, რომელსაც მუცლადყოფნისას ესახება თვალები, უფლის სადიდებლად იკრებს „ამინ-ებს,“ იქიდანვე იცის, რომ თვალი უფ-ალისაგანაა...

მხატვარი ომარ შაფათავა

ეს ხომ საოცრებაა?

„ამინ-ში“ „მი“-ადამიანური ნოტია შემოტანილი, რადგან ეს სიტყვა ადამიანთა სათქმელია, რაღაც ადამიანურია ჩაქსოვილი მასში.“

მინიატურაში „სად მიდიან თვალები“ აყვავებული სამოთხის მკვიდრი, თავად ლირიკული გმირი, წარმოგვიდგება წუთისოფლისა და მარადიული სოფლის, ხილვადისა და უხილავის დამაკავშირებელ ხიდად. ეს მინიატურა, მწერლის სიტყვებით რომ ვთქვათ : „უფლის ჭეშმარიტი არსებობის დადასტურებაა“...

...„ანუ ბუნების ყოველგვარ სახეცვლილებაში ჩვენიანების – წასული ადამიანების თვალები ისევ იმზირებიან... მათი თვალები უსიტყვოდ ლაპარაკობენ და ჩვენს თვალებს ესმით მათი თვალებით საუბარი – ჩურჩული... არა, თვალები არ იკარგებიან – თვალებიც, ჩვენსავით, სიცოცხლეს იმეორებენ და იმეორებენ!..“

მინიატურით „წამწამები – წამ-წამები“ მწერალი შეგვახსენებს ქრისტესმიერ გზას:

„მეორე ნაწილი სიტყვისა – წამ-წამებისა, ანუ წამებისა – გზაა ქრისტესმიერი“... დედამიწაზე ადამიანთა ყოფნა, ცხოვრება – წამებისაა.“

ავტორის აზრით, უფალს ჩვენი შექმნით სამყაროსთვის ფასდაუდებელი სამკაული შეუქმნია, თავად უფალი შემოსულა ჩვენში და თითოეულ ჩვენგანზეა დამოკიდებული ამ სამკაულს მოვუფრთხილდებით, თუ – არა.

„ანუ

ჩვენი წამწამები, გრაალის თასები, გრაალის მცველები, თვალების მცველები – ჩვენი ძვირფასი ნაწილებია.“

ამავე მინიატურაში ქართველთა განუყოფელ

ზეციურ სამკაულად ქართულ ანბანს ქართველთა თვისობრიობაში განიხილავს.

გრალის თასი, როგორც ვიცით, ქრისტეს სისხლითაა სავსე.

„აქედან – ბ-ს რკალი, როგრც ციდან ჩამოწვდილი გრაალის თასი, ხოლო დანარჩენი ასოების – მიწაზე ჩამოსული, დამხობილი, ჩამოცლილი გრაალის თასები...

ანუ

...„როცა ჩვენ ვტირით და თვალებიდან ცრემლი გადმოგვდის, გრაალის თასიდან გადმოღვრილი წმინდა წვეთები გვცვივა – წამების გზის სამკაულ-აღმნიშვნელები".

თამარ გაბროშვილის ამ მინიატურის წაკითხვის შემდეგ აღარ გაუკვირდება მომავალ თაობას ვეფხისტყაოსანი ჭაბუკის ტირილი, პირიქით, ცრემლებს კაცის, ადამიანის მშვენებად, ზეციურ სამკაულებად აღიქვამენ და თავადაც სულიერად ამაღლების გზას დაადგებიან.

მინიატურა „ყურები და ყურთასმენა" მკითხველს უბიძგებს, მოუსმინოს შინაგან ხმას, რომელსაც ჩვენში ჩასახლებულ სინდისს, იმავე ამინს, ჭეშმარიტებას, უფალს ვუწოდებთ.

მწერალი, როგორც წინა მინიატურაში, სულის თვალზე ამახვილებდა ყურადღებას, აქაც მკითხველს გულისყურზე მიანიშნებს.

ფიქრიც საღმრთო იქნება თუ უღვთო, სამყაროში არ იკარგება: „ყურებიდან უწყვეტად გადის სამყაროში ჩვენი გულის ძახილი.. და, ექო-ექოდ მიღწეული, ყველგან ისმინება, თვით საწყისამდე"...

„...ე. ი. ჩვენი ყურის ვალი, სინამდვილეში, ის უფროა, რომ ჩვენი ხმები გარეთ გაუშვას, ვიდრე – შიგნით შემოუშვას".

გულისყურდახშული ადამიანი ყურმოჭრილ ყმასთანაა შედარებული, რომელიც ღვთიურ სამკაულს მოკლებულია, რომელიც ნაკლულია სრულყოფილებისა და თავისუფლების მისაღწევად.

„რადგან ხმის გამაძლიერებელი ნიჟარა აღარ აქვთ" – ანუ ღვთისაგან ნაბოძები ტალანტის გამრავლების უნარი დაკარგული აქვთ.

დღეს, როგორც არასდროს, ადამიანებს უჭირთ, მიუხედვად იმისა, რომ ადამიანის გონით და ხელით ქმნილი ტექნიკა უმაღლეს მწვერვალზეა ასული, ამ მიღწევებით კაცობრიობა ბედნიერებით უნდა ტკბებოდეს, საპირისპირო რამ კი ხდება.

გაბოროტებულნი თავისივე შექმნილი ტექნიკის ყურმოჭრილ მონებად გადაქცეულან, უფლის სამკაულები დავიწყებიათ და ბედნიერის ნაცვლად უბედურ არსებებად ქცეულან.

გრძნობს, რა მწერალი ადამიანთა შეუსაბამო ცხოვრებით მათი სულების ავადობას, რომელსაც კვდომისაკენ მიყავს უფლის სახე-ხატი, მოქმედებისკენ, გულისყურისა და სულის თვალის გამოფხიზლებისაკენ მიანიშნებს და გვახსენებს, რომ ბედნიერება ჩვენშია:

„გამოშალეთ, ხალხნო, თქვენი აყვავებულფჩრხილებიანი ხელები და სიცოცხლის გაზაფხულით მორთეთ დედამიწა!"

თუ იმასაც დავუშვებთ, რომ ჩვენს ხელებზე გვაქვს გულები (ხელისგულები და ფეხისგულები) – ჩვენი ხეხილიანი ბაღი, ანუ ჩვენი არსება გამოჩნდება, როგორც გულანთებული, გულიანი სამოთხის ბაღის მეპატრონე, ბაღისა, რომელსაც თავად ატარებს, უვლის, ანაშენიანებს, რთავს ათასგვარი ნაყოფით –

და

იპოვებს უფლებას,

ამ სამოთხის ბაღში იცხოვროს უფლის ძალითა და სიცოცხლით აღვსილმა. ე. ი. ადამიანი, სინამდვილეში, ცხოვრობს და არსებობს სამოთხის ბაღში, თავისსავე სხეულში, თუკი ისევ ესმის ღვთის სიტყვა და უფლისმიერი ცხოვრებით ცხოვრობს.

ადამიანს აქვს უფლება, თავადვე, უფლის უარყოფით, განიდევნოს სამოთხიდან, თავისივე სხეულიდან.

ასეთ ადამიანს, რა თქმა უნდა, თანდათან ერღვევა თავისი ფიზიკური სხეული, უავადდება, მას აღარ აუყვავდება სამოთხის ბაღი."

მწერალ თამარ გაბროშვილის შემოქმედება მრავალმხრივ საყურადღებოა, რომელსაც ერთი, ძირითადი ხაზი აერთიანებს, მკითხველი დააყენოს იმ ჭეშმარიტ გზაზე, რომელზედაც თავად დგას. მისი მინიატურები, მინიმები, უმცირესი ზომის ლექსები, გამონათქვამები, მისი, როგორც სამოთხის ბაღის ღირსეული მკვიდრის, ზეციური სამკაულებია, რომელსაც მკითხველს უშურველად გვიძღვნის ჩვენი სულის შესამკობად.

მწერალ თამარ გაბროშვილის მცირე ზომის, მაგრამ დიდი სიბრძნისა და განცდის დამტევი ნაწარმოებები, რამდენჯერაც უნდა წაიკითხოს მკითხველმა, ყოველთვის სიახლეს აღმოაჩენს. მკითხველს შემოქმედებითი ფიქრისა და წარმოსახვისთვის იწვევს, რაც სასიამოვნო და მიმზიდველია; თითოეულ მის სიტყვაში ღვთიური მადლია ჩადებული, მკითხველსაც ამ მადლს აზიარებს და უფლის ძიების მსვლელობაში მოქმედ მგზავრად აქცევს.

ნინო ტაჰყაშვილი

ტერმინების: „სპარსულისა“ და „ქართულის“ მნიშვნელობა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“

„ესე ამბავი სპარსული“, როგორც პოეტი თამარ ერისთავი შენიშნავს, ეს საყოველთაოდ ცნობილი სტროფი, გზის მაჩვენებელი ნიშანსვეტივით დგას პოემის დასაწყისში:

„ესე ამბავი სპარსული,/ქართულად ნათარგმანები“...

ცნობილია, რომ ვახტანგ მეექვსემ, სპარსული ენისა და ლიტერატურის მცოდნემ, დაძებნა „ვეფხისტყაოსნის“ მსგავსი ფაბულა და აღნიშნა, რომ „სპარსშიდ ეს ამბავი არსად იპოვება“, ისიც დაასკვნა, რომ რუსთველმა „ამბავიც თვითონ გააკეთა“ და ლექსადაც თვითონ გარდაქმნაო.

აკადემიკოს ნიკო მარის გულმოდგინე ძებნამაც ვერ აღმოაჩინა სპარსულ ლიტერატურაში „ვეფხისტყაოსნის“ ორიგინალი.

გასული საუკუნის და თანამედროვე რუსთველოლოგებმა მიიჩნიეს, რომ სპარსულად გამოცხადება ჩვეულებრივი ალეგორიის ხერხია. უცხო სახელშერქმეული სამეფოების მიღმა რუსთველის დროინდელი საქართველო დგას მისი ყოფით, ფილოსოფიით, ეროვნული ხასიათითა თუ ტრადიცია – ჩვეულებებით.

განსხვავებული აზრი დააფიქსირა ზაურ ბიძინაშვილმა წიგნში: „სიმართლე რუსთაველისა და თამარ მეფის შესახებ“.

ჩემი მიზანია ამ თემის განვრცობა და იმ კუთხიდან წარმოჩენაც, რომელიც ზაურ ბიძინაშვილის წიგნში არ გვხვდება.

ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სპარსი და სპარსული, სულაც არ არის მაინცა და მაინც ერანული, როგორც ამას რუსთველოლოგები ფიქრობენ და სპარსი, არა ერთი და ორი ქართული წყაროთი, ნიშნავს წარმართს, არაქრისტიანს. ნათქვამის საილუსტრაციოდ, ავტორს მოჰყავს თვით „ვეფხისტყაოსანი“:

აი, რას ეუბნება ტარიელს ნესტან-დარეჯანი თავის საქმროდ მოყვანილ ხვარაზმშას ძის შესახებ:

„ეგე, ამბად არ ეგების, რომე სპარსნი გაგვიხასდენ“.

რადგან, ხვარაზმის სამეფოში შედიოდა აღმოსავლეთ ირანი, ოპონენტები შეიძლება შეგვედაონ, რომ სპარსი აქ სწორედ ირანელს ნიშნავს. ამიტომ, საერთოდ არანაირი კავშირი. ზაურ ბიძინაშვილს მოჰყავს ასეთი წყაროც: 1310-იანი წლების ამბებთან დაკავშირებით „ძეგლი ერისთავთა“- ში ნათქვამია: „ამას ჟამსა მოვიდა ამბავი-კლიტე იერუსალიმისანი სპარსთა დაიპყრესო და დიდად შეწუხნა მეფე გიორგი“. (ქართული მწერლობა. ტ. 5. გვ. 110. 1988წ.)

„ძეგლში“ ლაპარაკია ეგვიპტელი მამელუქების მიერ იერუსალიმში ქრისტიანული სიწმინდეების დალუქვაზე და იქ, „სპარსს“, როგორც ერანელს, სავსებით ცხადია, რომ არაფერი აქვს საერთო.

„მაშასადამე, აგრძელებს ზაურ ბიძინაშვილი, „ვეფხისტყაოსანში“ „სპარსი“ არის აღმსარებლობითი ცნება და არა სადაურობის გამოხატვა. რა თქმა უნდა, არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ეს ცნება მოდის სწორედ სადაურობიდან.

ზაურ ბიძინაშვილი კიდევ ერთ ნიმუშს აჩვენებს მკითხველს ცნება „სპარსის“ მნიშვნელობის შესახებ: „ხოლო ხევი შავშეთისა უშენებელი იყო მაშინ, გარეშე მცირედთა სოფელთასა. რამეთუ ჟამსა სპარსთა უფლებისასა აოხრდა. ოდეს იგი ყრუმან ბაღდადელმან შემუსრნა ციხენი ყოველნი..“ სუმბატ დავითის ძე. ცხოვრებაი და უწყებაი ბაგრატიონიანთა. (გვ. 44-45. 1990წ.).

ზაურ ბიძინაშვილი დაასკვნის: „სპარსულ ამბავში არ იგულისხმებიან მხოლოდ არაქრისტიანი ქვეყნები. აქ იგულისხმება ყველა, ვინც არ აძლევს ხორცს სულისათვის“.

„გამოთქმა **„სპარსული“** მხოლოდ მაჰმადიანურ ლიტერატურას არ ნიშნავს, რადგან იგი ისლამის დაბადებამდე არსებობდა. „სპარსული“ ნიშნავს ყველა

მოძღვრებას, რომელიც არ არის ქრისტიანულ–თეოლოგიური. აქედან გამომდინარე, „სპარსული ამბავი“ ნიშნავს, ჩვეულებრივი, არააღმსარებლობითი ცხოვრების ჩვენებასაც.“

მე, შევეცადე, მომეძებნა ტერმინ „სპარსულის“ მნიშვნელობა რელიგიურ ლიტერატურაში, რაც თანხვდება ზემოაღნიშნულ მოსაზრებას.

მაგალითად, ჩავიხედოთ ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის დაუჯდომელში, რომელიც შესულია, როგორც დაუჯდომელთა კრებულებში, ასევე სხვადასხვა ლოცვანთა კრებულების დიდ უმრავლესობაში.

დაუჯდომლის ავტორი მეხუთე იკოსში, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს მიმართავს ასე:

„იხილეს ყრმათა ქალდეველთასა, ხელთა ზედა ქალწულისათა ხელითა დამბადებელი კაცთა, და მეუფედ მცნობელნი მისნი, დაღაცათუ ხატი მონისა მიიღო ისწრაფდეს ძღუნითა მსახურებად მისა, და ღაღადებად კურთხეულისა:

„..გიხაროდენ **სპარსთა** სიწმიდისა მასწავლელო,
გიხაროდენ, ყოველთა ნათესავთა
მხიარულმყოფელო,
გიხაროდენ, სძალო უსძლოო.“

ცხადია, ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი არის ყოველთა არაქრისტიანთა სიწმიდისა მასწავლებელი და არა მხოლოდ ეროვნებით სპარსთა და აქ, ტექსტში ნათლად ჩანს, რომ ტერმინ სპარსთაში იგულისხმებიან არაქრისტიანნი. აღსანიშნავია, რომ ქრისტიანულ ლიტერატურაში ქალდეველი მოგვებიც, რომელთაც ჩვილ იესოს მიართვეს ოქრო, გუნდრუკი და მური, ხშირად მოიხსენებიან, როგორც სპარსი მოგვები. ჩემი აზრით, სწორედ იმიტომ, რომ სპარსი, აქაც აღნიშნავს არაქრისტიანს.

ახლა ჩავიხედოთ წმიდა ნინოს ძველ დაუჯდომელში: მოვიძიოთ აქაც იკოსი მეხუთე. მეთერთმეტე გიხაროდენში ავტორი წმიდა ნინოს ასე აღუვლენს ლოცვას:

„გიხაროდენ, **სპარსებრივსა** არაწმიდებასა წილ, ანგელოსებრივისა სიწმიდისა მომცემელო ჩვენდა“. ცხადია, რომ აქ „სპარსებრივ არაწმინდებაში“ იგულისხმება ხორციელი, ამწუთისოფლიური ვნებები, რომელიც გვაშორებს ქრისტიანულ, ანგელოზებრივ სიწმინდეს.

გავარკვიეთ რა, თუ რა მნიშვნელობით იხმარებოდა შოთა რუსთველის დროს და შემდგომ საუკუნეებში, როგორც საერო, ისე სასულიერო ლიტერატურაში ტერმინი „სპარსული“, ახლა შევეცადოთ, განვმარტოთ, რას ნიშნავს სტრიქონი: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“. სულხან-საბა ორბელიანი, თარგმანებას განმარტავს, როგორც იგავიანის სიტყვის გაცხადებას.

ტერმინ „ქართულის“ ქვეშ, რუსთაველის ეპოქაშიაც და შემდგომშიც ხშირად იგულისხმებოდა ქრისტიანული.

ცნობილია, რომ ყოველ დიდებულ ნაწარმოებს, შესაძლოა ჰქონდეს სამნაირი წაკითხვა მაინც: პირველი, ზედაპირული, არსებული რეალობისა და სინამდვილის ამსახველი, მეორე, იგავური, უფრო ღრმა სიბრძნისა და შინაარსის დამტევი, მესამე: სიმბოლურ-ხატოვანი.

თუ „ვეფხისტყაოსანს“ წავიკითხავთ ზედაპირულ შრეზე, „ესე ამბავი“ იქნება „სპარსული“, რადგან მოქმედება ხდება არაქრისტიანულ ქვეყნებში. მაგრამ სინამდვილეში აქ ასახულია მეთორმეტე საუკუნის საქართველოს პოლიტიკური რეალობა, მკითხველის საზროვნო – „საჭოჭმანებელი“ ამოცანაა ამ „სპარსული“ ამბის „ქართულად“ გადმოთარგმანება, ანუ ამ პოლიტიკური რეალობის დანახვა.

იგივე ზედაპირული წაკითხვით, „ვეფხისტყაოსანი“ არ არის ქრისტიანული ნაწარმოები, რადგან, ჯერ ერთი მოქმედება არაქრისტიანულ გარემოში ხდება და მეორე, ნაწარმოების გმირებიც არა ერთგან ჩადიან ქრისტიანისათვის შეუფერებელ ქმედებებს. უფრო ღრმა, იგავურ დონეზე წაკითხვა-გააზრებით კი, ავტორი მკითხველს უსახავს ამოცანას, აღმოაჩინოს „ვეფხისტყაოსანში“ საღვთო სიბრძნის მატარებელი ღრმა ქრისტიანული ნაწარმოები. ამიტომაც, ალბათ არაა შემთხვევითი, რომ ავთანდილი თანადროულად არაბიცაა და „ტკბილი“ და „ტკბილქართველი“ ყრმაც.

შოთა რუსთაველმა ბევრი რამ იგავურად რომ გვითხრა, ამაზე დავით გურამიშვილი გვეუბნება ნათლად: „დარგო იგავთ ხეო“. ხოლო ეს იგავურად ნათქვამი ამბები რომ საღმრთოა, ამას თავად შოთა გვიცხადებს პროლოგში, შაირობის განმარტებისას: „შაირობა პირველადვე სიბრძნისაა ერთი დარგი, / საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი,/ მსმენელთათვის დიდი მარგი.“ ანუ, პოემის სიუჟეტში ჩაქსოვილი „სპარსული“, არაქრისტიანული ამბები, სინამდვილეში არის ქართული, ანუ ქრისტიანული და საღმრთო. აი, რისი თქმა სურს შოთა რუსთველს. ცხადია, რადგან ეს ამბავი სინამდვილეში ქართულია, ქრისტიანულია და საღმრთოა, ამიტომაც არის იგი „წყობილი მარგალიტი“.

მოდით, ესეც გამოვიკვლიოთ, რისი სიმბოლოა მარგალიტი? ზვიად გამსახურდია წერს: „სიმბოლური მნიშვნელობა აქვს წასვლის წინ თინათინის მიერ ავთანდილის დასაჩუქრებას მარგალიტით. მარგალიტი სიმბოლოა საღვთო, განწმენდილი

აზროვნებისა, მისი სიმყარისა, უცვლელობისა, მუდმივობისა. ანტონ პირველი თავის ღვთისმეტყველებაში ამრიგად განმარტავს მარგალიტის სიმბოლოს: „ძიება იგი უსასყიდლოისა მის მარგალიტისა არს უდიდესი ხმევაი სიბრძნისაი, ფილოსოფოსობასა შინა უსაღმრთოესსა, ვითარმედ მაძიებელი იგი იქმს თვის შორის წარმოდგინებასა ნივთთა ყოველთასა უსავსეს და უწულილეს განყოფით და განსჯის თვითეულსა მათსა გებადსა და დადგრომასა აღმოაჩინებს“. (ღვთისმეტყველება, ტ.11. 558). აქ ანტონი, უპირველეს ყოვლისა, ეყრდნობა სახარებას, სადაც ეს უსასყიდლო მარგალიტი სიმბოლოა სასუფეველისა (მათე, 13.45.) ამის გამო დაერქვა „მარგალიტი“ წმიდა მამათა სწავლათა კრებულს.

„იგავნი სოლომონისანის“ ოცდამეთერთმეტე თავში სოლომონ ბრძენი ბრძანებს: „ვინ იპოვის გამრჯე დედაკაცს, მარგალიტზე ძვირფასია მისი ფასი“...

მოვიძიოთ ისევ დაუჯდომელთა კრებული. ჩავიკითხოთ დაუჯდომელი გალობა „ყოვლადტკბილისა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი“. მეთორმეტე იკოსში ავტორი ტკბილ იესოს მიმართავს: „იესო, მარგალიტო პატიოსანო, განმაბრწყინვე მე“.

„წმიდა მოწამეთა სავედრებელი პარაკლისის“ თავში „განძლიერთასა“, „უსასყიდლო მარგალიტად“ იწოდება ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი, ხოლო წმიდა მოწამენი – „მარგარიტოვან გვირგვინოსნებად“.

ზიარების წინ საკითხავი ლოცვების მეოთხე გალობაში „გონიერი მარგალიტი“ ეწოდება მაცხოვარს ჩვენსას, უფალ იესო ქრისტეს. ამ გალობაში ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ასე მივმართავთ: „მოწყალე-ჰყავ ჩემ ზედა სახიერი ძე შენი დედოფალო, და დამიცევ მე, შეუგინებელად, და უბიწოდ მვედრებელი შენი, და უვნებელად, რაითა შევიწყნარო გონიერი მარგალიტი და წმიდა ვიქმნე“.

წმიდა ლუკა მოციქულის დაუჯდომელის პირველ იკოსში კი „მარგალიტი მრავალსასყიდლისა“ ეწოდება წმიდა სახარებას. აქ მლოცველი ასე მიმართავს წმიდა ლუკას: „გიხაროდენ, რომელმან ღირსად პატივდებულსა თეოფილეს და ჩვენცა, შეგვძინე მარგალიტი მრავალსასყიდლისაი – ქრისტეს სახარება.“

მათეს სახარებაში ვკითხულობთ:

„მსგავს არს სასუფეველი ცათაი კაცსა ვაჭარსა, რომელი ეძიებნ კეთილთა მარგალიტთა.

და პოვის რაი ერთი მარგალიტი მრავალსასყიდლისაი, წარვიდა და განყიდა ყოველივე რაიცა ედვა, და მოიყიდა იგი“.

ნეტარი თეოფილაქტე ბულგარელი განმარტავს: „ზღვა აწმყო ცხოვრებაა, ხოლო ვაჭრები ისინი, რომელნიც ზღვაზე ხეტიალობენ და ცოდნას დაეძებენ. ბევრი მარგალიტი – ეს აზრებია მრავალი ბრძენისა. მათგან ძვირფასი მხოლოდ ერთია, რადგანაც ერთია ჭეშმარიტება და იგი ქრისტეა: მარგალიტზე ჰყვებიან, რომ იგი ნიჟარაში ჩნდება, რაჟამს კბილებს გახსნის და ელვა დაეცემა. როცა კბილებს ერთმანეთს დააჭერს, ელვისა და ცვრისაგან მარგალიტი ჩაისახება. ამიტომაც არის იგი თოვლივით თეთრი. ასევე ჩაისახება სულიწმიდით ქრისტე ქალწულში. მხოლოდ მარგალიტის პატრონმა იცის, რომ მფლობელია სიმდიდრისა, რომელიც სხვისთვის დაფარულია. ასევე დაფარულია ქადაგება უგუნურთათვის. მაშასადამე, საჭიროა, რომ ყოველივე გავყიდოთ და ეს მარგალიტი შევიძინოთ“.

„ვეფხისტყაოსნის“ იგავური სიბრძნეც ქრისტიანულია, საღმრთოა, ჭეშმარიტია. რადგანაც ერთია ჭეშმარიტება და იგია ქრისტე, ამიტომაცაა ეს სიბრძნეც „ვით მარგალიტი ობოლი“. ეს მარგალიტი ზედაპირზე არ ჩანს, იმ მკითხველისთვის, ვინც საღმრთო სიბრძნით არ არის აღჭურვილი და ნიჟარაშია შეყუჟული. ასეთ მკითხველს რუსთველი არაქრისტიანულ, ამსოფლიურ, „სპარსულ“ ამბავს სთავაზობს თავშესაქცევად. რადგან, ვინ, ვინ და რუსთველმა კარგად იცის, რომ ღორებს მარგალიტი წინ არ უნდა დაუყარო და სახარებისეული განმარტებით, „ღორებში“ სწორედ არასახარებისეული მცნებებით მცხოვრები მკითხველი იგულისხმება. როცა პოემას საღვთო სიბრძნით აღჭურვილი და კვლავაც მაძიებელი მკითხველი წაიკითხავს, მაშინ გამომზეურდება მისთვის პოემაში არსებული საღვთო მარგალიტები.

როგორც დავინახეთ, მარგალიტი, ქრისტიანულ ლიტერატურაში გამოიყენება როგორც უფალ იესო ქრისტეს, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის, წმიდა მოწამეების, სარწმუნოებით ხელმწიფობის კეთილად წარმმართველი მეფის დახასიათებისას, ასევე წმიდა სახარებაც შედარებულია მარგალიტს. ობოლ მარგალიტს ადარებს, რუსთველი თავის „ვეფხისტყაოსანს,“ რითაც გვეუბნება, რომ იგი საღვთოდ გასაგონი პოემაა. საღვთოს, ქრისტიანულის სინონიმად კი გამოყენებულია ქართული. შოთა რუსთველის ვეფხისტყაოსანში მთავარ გმირს, ტარიელს „ხშირად ესხა მარგალიტი ლაგამ-აბჯარ-უნაგირსა.“

მარგალიტის ამგვარი გააზრების შემდეგ საინტერესოა ისიც, რომ რუსთველის თანამედროვე წმიდა თამარ დედოფლის გვირგვინი და ჯვარიც შემკული იყო ძვირფასი მარგალიტებით. გელათის კედელზე გამოსახულ წმიდა მეფე დავით აღმაშენებლის შესამოსელსაც მარგალიტები უხვად ამკობს.

ისმება კითხვა: გამოიყენება თუ არა მარგალიტის სიმბოლო სპარსულ ლიტერატურაში? „ცნობილია, რომ სუფისტურ სიმბოლიკაში მარგალიტი, თვალ-

მარგალიტი მისტერიალური სიბრძნის სიმბოლოა. ომარ ხაიამი სუფისტურ მოძღვრებას „მისტიური მნიშვნელობის მარგალიტთა სალაროს“ უწოდებს, ხოლო ნიზამი თავის „ისკანდერნამეს“ შესავალში წერს: „რახან ასეთ ძვირფას მარგალიტებს ვფლობ, მე მჭირდება მათი მცოდნე, დამფასებელი, მე ვთხოვ განგებას, მომცეს ისეთი მკითხველი, რომელსაც მოვუთხრობ მოძღვრის საიდუმლოებებს“. ანუ, მარგალიტის სიმბოლო სპარსული ლიტერატურისთვის უცხო არაა. მაგრამ შოთა საუბრობს არა მარგალიტებზე, არამედ ობოლ მარგალიტზე, რომლის შესადარიც არაფერია და იგია ერთადერთი, რადგან ერთადერთია ჭეშმარიტება და ის არის ქრისტე. ანუ, „ობოლი მარგალიტის“ სახელდებით, შოთა გვეუბნება, რომ პოემაში შეფარვით, ქრისტიანულ, საღვთო სიბრძნეზე იქნება საუბარი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, გვეუბნება თუ არა კიდევ სხვა რამეს ეს ფრაზა – „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები“? მე მგონია, რომ ამ ფრაზით შოთამ შექმნა ისეთი ყალიბი, რომელიც არაერთი შინაარსით ამოივსება. ამ ფრაზით გვეუბნება თუნდაც იმას, რომ მთავარ გმირთა სახელები განიმარტება როგორც ქართულად, ასევე სპარსულად და ამას აქვს თავისი მნიშვნელობა. მაგალითად: სპარსულში ფუძე „ტარ“ ხშირად ღვთაებრივის, ქრისტიანულის აღმნიშვნელია. თუ ამ სახელს ქართულად გავიაზრებთ, სახელივე მიგვითითებს, რომ ის არის პოემის მთავარი პერსონაჟი, რომელზეც იხვევა მთელი ფაბულა, ამბავი, როგორც ძაფი თითისტარზე და ეს გმირი ელოდება, ვიდრე ძაფი ბოლომდე არ დაიხვევა, ანუ ამბავი არ გასრულდება. ანუ, ტარი ელის ამბავის გასრულებას. აკი შოთა პოემას ასეც ამთავრებს: „გასრულდა იგი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისა.“ „ტარ“, ამავე დროს ნიშნავს ტარებასაც, რაც დამახასიათებელია ამ პერსონაჟისათვის. უფრო ღრმა გააზრებით, შესაძლოა, უფლის ყველაგანმყოფობის აღმნიშვნელიც იყოს. აღმოსავლურ ენებში ხომ „ტარ“ მხსნელსაც ნიშნავს.

დასასრულ, ორიოდე სიტყვით შევაჯერებ ჩემს მოსაზრებას: ფრაზაში „ესე ამბავი სპარსული ქართულად ნათარგმანები“, კონტექსტის მიხედვით, „სპარსული“ შესაძლოა, ნიშნავდეს: ამსოფლიურს, არაქრისტიანულს, სპარსულს. „ქართული“ კონტექსტის მიხედვით, შესაძლოა ნიშნავდეს: საღვთოს, ქრისტიანულს, ქართულს. ამავე დროს, „სპარსული“ მიგვანიშნებს საერთო ლიტერატურულ სივრცეზე, რომელშიც იქმნებოდა იმ დროის შედევრები, ხოლო ქართული უშუალოდ პოემა „ვეფხისტყაოსნის“ განსხვავებულობასა და ორიგინალობაზე.

პოეზია

ეგეთაია ჩემ დედა

ან მატყლსა სჩეჩავს, ან ასთავს,
ანაცა სძახავს ბაწარსა
(ანუ აკეთებს იმასა,
რასაც უყურებთ ამ წამსა).

ეგეთაია ჩემ დედა,
არავის არა ჰბაძავსა,
ვენაცვლე დაღლილ ხელებში
ამ ჩემ სალოცავ ტაძარსა.

ღმერთო, მიცოცხლე დიდხანა,
შავს ნუ ჩააცომ, ძაძასა,
ახარე შვილ-შვილიშვილში,
დილის შაასწარ ნამ-ცვარსა!

ღუმელში ცეცხლი გვინთავის,
არ ვეპუებით ზამთარსა,
ეს ჩვენი დედა-შვილობა
არ ენახება ავ თვალსა!

მიხეილ ღანიშაშვილი

მაია ბოზანიშვილი

ჩემი შვილია

მე გავაჩინე, ჩემი შვილია...
თუ გნებავთ, მკერდი მომკვეთეთ ახლა.
ყოველი წუთი – ეს იგივეა,
რაც მიჯრით გულში ტყვიების დახლა.
ჩემი პირმშოა... ნაწილი – ჩემი.
ჩემი გული და ჩემი სხეული...
ასეთიც მიყვარს, ასეთიც მტკივა –
ქურდიც, მეძავიც, ლოთიც, სნეულიც!...
მე ვათენებდი მასთან ღამეებს,
პირველ ნაბიჯებს მასავით ვდგამდი...
მას რომ დაცემულს სისხლი სდიოდა,
ის სისხლი გულში მე ახლაც დამდის.
ჩემი შვილია... ჰო, ჩემი, ჩემი.
ახლა თუ გნებავთ, მომკვეთეთ მკერდი.
რომ ვჭირდებოდი, ვერ დავეხმარე,
ვერ დავუდექი ბეჩავი, გვერდით!...
ნარკომანია, კახპა, თუ გეი...
შვილია ჩემი, შვილია ჩემი...
თქვენ ვერ მიხვდებით, რა დარდი მძიძგნის,
თქვენ ვერ გაიგებთ, რა ხდება ჩემში...
სხვანაირია, არავის არ გავს,
და ეს სხვაობა ჭკუიდან შემშლის!...
მე ვიღიმები... ზოგჯერ ვღიღინებ...
მან რომ არ იგრძნოს სულის ქვითინი...
მე ახლაც მესმის ცრემლიან ცხადში,
მისი ბავშვური ხმა და ტიტინი....
მე გავაჩინე, ჩემი შვილია!...
მე ვაგებ პასუხს მისთვის და მასზე!..
და მაინც ყველამ, და მაინც ყველამ
ილაპარაკოს საკუთარ თავზე.

* * *

ქარის აფრებს ქარგავს თებერვალი...
მიწა ყოჩივარდებს მშობიარობს...
უნდა მოგეფერო ხეო, ცაცხვის,
უნდა ძიძასავით მოგიარო.
უნდა შეგიკერო მწვანე ფარჩის
კაბა საზღაპრო და საარაკო...
დილას მზე ავანთო შენს ფესვებთან,
ღამე წვიმის ღვარი ვარაკრაკო...
სადღაც ენძელები ღიღინებენ,
ჰაერს სურნელი აქვს მიმოზების...
ერთად ვემზადებით სააპრილოდ,
ხეო, სიხარულით ვიმოსებით...
აჰა, ხელებს გიწვდი აივნიდან,
ვიცი, შენც მოსწვდები ჩემს კოშკს მალე...
ვლოცავ მშობიარე დედამიწას,
ყოჩივარდებით რომ მივსებს თვალებს.

ალები

გააფერმკრთალებს განთიადი ნამგალა მთვარეს
და მამალივით გადმოდგება ღობეზე დილა,
თავსაფრის ყურში გამოკრავენ ქალები ჭორებს,
ჩამოივლიან ორღობეებს სისხამზე წყვილად.
ააგორებენ ვაზის ძირში სიცილის ტალღას,
გამრჯე ხელებით მოურჩენენ მტევნებს იარას...
მერე დაღლილნი, ზოგი ჭორით, ზოგი მართალით,
ჩამოსხდებიან კაკლის ჩრდილში შვილებიანად.
წამოისხამენ მოგონების ლამაზ საბურველს,
ეჭვის სასწორზე შეაგდებენ ძველსა და ახალს...
წაიმღერებენ ბავშვობაში ნასწავლ სიმღერას,
მოინატრებენ ცხრა მთას იქით დარჩენილ დაქალს...
ბოლოს წარსულის ტკბილი ხიბლით
თვალმონისლულებს,
ისევ აწმყოში დააბრუნებთ ბუზღუნი ქმრების,
გულში ჯინივით ჩაკეტავენ უზომო სევდას,
დაუმძიმდებათ გასაფრენად გაშლილი ფრთები...
და კვლავ ოჯახზე ზრუნვა, ისევ საქმე და საქმე...
თავსაფრის ყურში გამოკრული ჭორების გუნდა...
რა ჰქნან, ტყუილის კი არ სჯერათ საბრალო
ქალებს,
ერთფეროვნებას ჭორით მაინც უშველონ უნდა.

ბარათი ოჯახს

დგება დრო, როცა იხსენებ წარსულს, ავად თუ კარგად, მწარედ თუ ტკბილად... არის დრო, როცა აღმერთებ ვინმეს. ან სამწუხაროდ, შენ გთვლიან მღილად.
დრო ცვლის ყველაფერს, მზეც – ოცნებისა იცრიცება და ნისლით ივსება... არ მღირსებია სიმშვიდე დღემდე, ვშიშობ, არცროდის არ მეღირსება. თქვენზე ძვირფასი ვინ მყავს ამქვეყნად... თქვენზე კეთილი და ახლობელი... მე მხოლოდ თქვენზე ზრუნვით ვმაღლდები, ვხდები ბოროტის დამამხობელი.
თქვენზე მისანდო ვინ მყავს და მაინც... მინდა, დროდადრო სადღაც გავიქცე... ამ გაქცევაში იქნებ დავმუნჯდე, იქნებ ავფრინდე, იქნებ წავიქცე... იქნებ გავქვავდე სადმე ლოდივით, სიჩუმის სიღრმეს რომ ვეზიარო, მერე ლექსებად ამოვთავთავდე და თქვენს სულებში ვიფესვიანო.
ზოგჯერ სასტიკად მბეზრდება სახლი (ალბათ გამიგებთ და მაპატიებთ), ბევრჯერ გინახავთ, როგორ ვჯახირობ, ვებრძვი სიგიჟეს და აპათიებს.
თუმცა სულ ერთად ვკაფავთ გზა-სავალს, ბოლომდე, ვგონებ მაინც არ მიცნობთ... ერთად ვღონდებით, ერთად ვღიღინებთ, ერთად გვტკივა და ერთად ვხალისობთ და მაინც თქვენც კი არ შეგიძლიათ სულის მტირალა ხარო ამივსოთ.
ჩემს არსებაში მზაკვარი ბუდობს, ეულ პოეტთა ურჩი მემინდე. ალბათ ამიტომ, ჩემგვარ შეშლილებს ან დასცინოდნენ, ანდა სდევნიდნენ.
ვერ მოვათავსე ამ ყრუ სხეულში სული მბორგალი და უშიშარი. ვტოვებთ ღამეულ ფერებში ჭურჭელს, მიგვაქოთქოთებს შორეთში ქარი.
დრო ცვლის ყველაფერს, გარდა სულისა, სულს აბა დროსთან რა აქვს საერთო?.. წუთიერია ყოფნა მიწაზე, წუთით ვიდარდოთ, წუთით გავერთოთ... და მაინც იქნებ ვიცოცხლოთ ისე, რომ ვინმეს შვების სანთლად ავენთოთ?..
გადავიღალე დიდი ხმაურით, ვგევარ მოგზაურს, ხმებით გალეშილს. მინდა გავიქცე ცოტა ხნით სადმე, მინდა, ჩავხედო დუმილს თვალებში. მინდა ვიგემო სიტკბო სიჩუმის, რომ ვიგრძნო თავი სამყაროს წევრად. მინდა შემიცნოთ და არ მიცქერდეთ სევდიანს ეჭვით და ალმაცერად.
დგება დრო, როცა გსურს მოიშორო და გადაყარო ბედის ხუნდები. სარკეს უმზერ და უეცრად ხვდები, როგორ კვდები და როგორ ხუნდები... თითქოს გაურბი ერთფეროვნებას, ისევ დაისევ უკან ბრუნდები... მე საფერაო ვინ მყავს თქვენს მეტი, სულ თქვენ გეკუთვნით ჩემი სინაზე, არ მიზრუნია თქვენზე ამაოდ, არ ამიგია კოშკი სილაზე.
რასაც სხვა ვერ გრძნობს, თქვენ უნდა იგრძნოთ, თქვენ უკეთ უწყით ჩემი ავ-კარგი... ისევ თქვენ უნდა გადამირჩინოთ სული – იებით ამონაქარგი. უნდა განმკურნოთ და მიპატრონოთ, მასმიოთ შვების ტკბილი ბადაგი, რომ დროზე ადრე არ მივატოვო ჩემი მიწა და ძვალშესალაგი.

მერამდენე

მერამდენე აპრილია უკვე,
ვდგები კართან და სასწაულს ველი,
თითქოს ახლა, აი, სწორედ ახლა
გამაგიჟებს ეგ თვალები, მწველი...
მერამდენე აპრილია უკვე,
თმას ვიშლი და ყვავილების შვავში
სადედოფლოს ვაშრიალებ კაბას,
თავს გაწონებ, როგორც უწინ... მაშინ...
ვერ ველევი გაზაფხულის სიტკბოს,
ვერც სიცოცხლის აღმაფრენას ვერ ვთმობ...
ის ხალისი დამიბრუნე დაღლილს,
წლებმა ურცხვად რომ წამართვეს, ღმერთო!
ერთხელ კიდევ განვიცადო მინდა
თავბრუ ტრფობის საუცხოო ზღაპრის...
მერამდენე მოლოდინით ვხვდები,
მერამდენედ დაბადებულ აპრილს.

კვლავ ქარისათვის

შენ არ იფიქრო, რომ დაგივიწყე. რა მოხდა, თუკი არ გწერ ბარათებს. მუდამ ძვირფასი იქნები ჩემთვის, სანამ დრო ბოლო სუნთქვას ამართმევს. მასულდგმულებდი, მავსებდი რწმენით, როგორც ქვის კერპი – ველურ წარმართებს. რა ვუყოთ მერე, ბევრს დამართია, გულუბრყვილობით რაიც დამმართე...
შენ მეგობარი იყავი ჩემი. მეგონა, სხვაზე უკეთ მიცნობდი. ჩემს გაუმხელელ სევდა-საფიქრალს – მჯეროდა უხმოდ გამოიცნობდი.
შენ არასოდეს ყოფილხარ ახლოს... სულ გვაშორებდა დრო და მანძილი. ჩემი გრძნობები იყო უსაზღვრო, ჩემი ლოდინი იყო ხანგრძლივი... მე შეპყრობილი ვიყავი შენით, როგორც სნეული – უცხო ბაცილით. ნეტავ ხანდახან მოსულიყავი, მაგ ფართო მკერდზე თავი დამედო... შენც ხომ მითვლიდი შორიდან სევდით – „ზოგჯერ შენს გამო ვტირი მწარედო“...
ნეტავ ხანდახან მოსულიყავი... რომ აღარ მეგრძნო თავი ეულად... შენმა სიშორემ უსაზღვრო სევდით და მონატრებით დამასნეულა.
ჩემი ცხოვრება – არამარტივი, იყო რებუსი, იყო შარადა...ნეტავ იცოდე ამ ხნის მანძილზე რა არ შემემთხვა, რა არ გადამხდა... ხომ უამრავჯერ მატკინეს გული, ვერავის ვკადრე ვალის გადახდა.
შენსავით აბა ვინ მომისმენდა, მეც სათქმელს უკვე ველარ ვარჩევდი. იმდენი დარდი შემოგწუწუნე, ბოლოს შემრცხვა და ბოლოს გავჩერდი... გამოგეთხოვე, რადგან მეგონა ცხოვრების ჭაპანს ცალად გავწევდი...
და გამოვკეტე ღარიბ სენაკში მარადიული დედა და ცოლი. სამზარეულოს თეთრი წინსაფრით დიასახლისის მოვარგე როლი და ავუკრძალე ცისკენ ყურება, როგორც მევახშეს – ოქრო და ბროლი. ამასობაში გაფრინდნენ წლები და ოცნებები იქცნენ ლანდებად. დავაგვიანე ჩემს და შენს შორის საურთიერთო ხიდის გადება...ოდესმე მაინც თუ შეგეხები?.. ვინ დამიდგება ნეტავ თავდებად?..
ჩურჩულით გეტყვი, კვლავ მენატრება მაგ ფართო მკერდზე თავის დადება.
ნეტავი სად ხარ, ანდა როგორი... შენც თუ გაგძარცვეს წლებმა – ქურდებმა?.. მაგ ხმელ ღაწვებზე ნეტავ ჩემს გამო, დროდადრო ცრემლი ისევ ცურდება?.. მე ნუ მომძებნი... აღარ ღირს ნახვა... ვიცი, იმედი გაგიცრუვდება.
უმჯობესია დარჩე, სადაც ხარ... რაც მიდის, უკან აღარ ბრუნდება. რაც რამ ლამაზი მებადა სულში, გამოგიგზავნე მტრედის ხუნდებად. დიდი ხანია არ ვახარისხებ დღეებს კარგებად ანდა ცუდებად. დიდი ხანია, გაჩუმდა გული, ჩემი კალამიც მგონი ჩუმდება.
ვიცი, ყოველთვის გემახსოვრება, გრძნობა ლექსებად როგორ ავკინძე. დრომ სიყვარული ჩამომახია, როგორც მეკობრემ – მეძავს საკინძე.
შენ ნუ იფიქრებ, რომ დაგივიწყებ. მემახსოვრები ბოლო სუნთქვამდე. მანამდე, სანამ ჟამთაღმწერელი სასიტყვეთის კარს დამილუქავდეს.
მემახსოვრები ძვირფასო, სანამ სული ზეცისკენ გაილანდება, შენი სიშორით და მდუმარებით დაჭრილი გული დამიამდება... სანამ თაფლისფერ სხივჩამქრალ თვალებს „მზიანი ღამე“ დაუზავდება... მერე ზეცაში გამყვება ნატვრად, მაგ ძლიერ მხარზე თავის დადება..

* * *

პირველი არ არის და ალბათ არც ბოლო,
ტკივილი, რომელიც მკვლელი და ბასრია...
ათასჯერ ასწევენ მზესავით, შენს სახელს
და მერე ათასჯერ ტალახში გასვრიან.
ყრმობიდან გაჩვევდა იღბალი წამებას,
შენს გზაზე არა და არ გაუდარია...
გაუძელ სულ ცოტაც და მერე უფალი
თბილ გულში ალერსით ჩაგიკრავს, მარიამ.

როგორ დაიხატა „კაფე პარიზში“ და... ოცნებაში დარჩენილი პარიზი!

„ანეულის“ სტუმარია – მხატვარი ცირა რაზმაძე

„განსხვავებული შტრიხები, ცნობილი ადგილები სხვა ხედვით, რაკურსით, განსხვავებული ფერები, მხიარული, დადებითი და, ამავე დროს, უცხო, სევდისმომგვრელი... დიდი მადლობა ამ სილამაზისთვის და ამ სამყაროსთვის, ასეთ ლამაზ განცდებს რომ იწვევს... ძალიან მომეწონა, როგორც ეროვნებით ჩეჩენს, ტილო „მანდარინები“, დადებითი და ტკივილიანი ფერები ძლიერი, ერთიანი მომავლის იმედს ბადებს“... – თუმი დიშნის – ნონა ხანგოშვილის ეს ჩანაწერი შთაბეჭდილების წიგნიდანაა.

ამ სილამაზის ავტორი კი ცირა რაზმაძეა, ორი პერსონალური გამოფენის ავტორი და მრავალი ერთობლივი გამოფენების მონაწილე... 2010 წელს, პედაგოგთა ჯგუფურ გამოფენაში მონაწილეობდა და ქეთი მატაპელის ხელმოწერილი დიპლომი მიიღო ნომინაციაში – „გრაფიკა“, ორი ნახატი კი სპეციალურად გამოცემულ ალმანახში შევიდა.

ბოლო წარმატება ვირჯინიის შტატის შარლოტსვილის გალერეაში გამართულმა გამოფენამ მოუტანა. ამერიკელებს მოეწონათ ქართველი მხატვრის თავისთავადი ხალასი ფერები, 12 გაგზავნილი ნახატიდან უმრავლესობა გაიყიდა. არის საქართველოს მხატვართა კავშირის წევრი.

საუბარი ბავშვობის პერიოდით დავიწყეთ, როგორ მოსწონდა სოფლად მიმავალს პეიზაჟები...

– როცა მანქანით მივდიოდით სოფლად ბებოსთან, სულ პეიზაჟებს ვუყურებდი, მამა დამცინოდასავით, რა ფერებიაო... დღეს, მრავალი წლის შემდეგ, ეს ხმა სასიამოვნოდ ჩამესმის...

თბილისის 24-ე სკოლა დავამთავრე, რომელიც სწავლა-განათლება-ბავშვობის ნავიგატორი იყო, ცხოვრების საუკეთესოდ შეცნობის,მომავლის განსაზღვრისა და ინსტიტუტი ცხოვრებისა. ალბათ ყველა ამბობს, რაც თავი მახსოვსო და განსაკუთრებულ ისტორიას იხსენებს.

მეც, რაც თავი მახსოვდა, ზაფხულობით კოჯორში დავდიოდი... მაშინ ბანაკები იყო, იქ ათასნაირი შეჯიბრი ტარდებოდა... იქ მომცეს დავალება, რაღაც დამეხატა და დავხატე დათვები, იმდენად კარგი გამოვიდა... ყველა ბავშვი ხატავს, მაგრამ მაშინ რაღაც ვიგრძენი...

სულ მიდოდა, მხატვარი გამოვსულიყავი, ქალი და მხატვარიო? წინააღმდეგნი იყვნენ, მე ჩემი გავიტანე...

პირველი პედაგოგები, ვინც ჩემს ცხოვრებაში კვალი დატოვა, ალა ხმალაძე და გოგი ჩინჩალაძე იყვნენ. ორივე მიყვარს. დატოვეს რომელია, ვამაყობ მათით.

– მეორე პერსონალური გამოფენას ერქვა – „სტოპ კადრი“ ფილმებიდან. პირველი გამოფენიდან მეორე გამოფენამდე შუალედი, ალბათ, დაფიქრების საშუალებას იძლევა...

– საერთოდ, პასიური აღმოვჩნდი, გამოფენა მზად მქონდა 2 წელი და რაღაც ბიძგს ველოდი მართლაც, დამიძახეს და მშვენიერი გამოვიდა – შედგა მე-2 პერსონალური თემატური გამოფენაც – „სტოპ კადრი“ ფილმებიდან. ძალიან მიყვარს კინო, ჰქონდა გამოხმაურება, კმაყოფილი ვარ, 2 წელი ვიმუშავე და გამოვიდა. ეს ჩანასახია დედისგან, ყოველ შაბათ-კვირას კინოსა და თეატრში დავყავდით.

ძალიან დიდი განცდაა პირველიდან მეორემდე შუალედი, ვერც კი აგიღწერთ, თავი ჩვეულებრივი ადამიანი, არაფრით განსხვავებული გგონია, არადა, როცა ფასდები მოკრძალებულად მაინც, მეტი ძალაა, იბრძოლო, შენ ხომ ამისთვის ხარ დაბადებული...

....

ამბობს, რომ ყველა ნახატი, ზოგადად, რაშიც შრომა იდება, ყველაფერი უყვარს...

მაგრამ როგორ მოდის შთაგონება, არ იცის...

„მე საერთოდ უცნაური ვარ, ეს მშობიარობას ჰგავს, 2 თვეა არ მიხატია, დღეს კი ორი სურათი

ერთად დავიწყე... უნდა ამოხეთქო, არ შეინახება“...

ამონარიდები შთაბეჭდილების წიგნიდან:

*„ფერთა ფერება არ მოჰკლებოდეს თქვენს ფუნჯს“, – **მაკა პეტრენკო**, თუმანიშვილის თეატრი.*

*„ძალიან საინტერესო გამოფენაა... განსაკუთრებით მომეწონა: პეიზაჟი, ჩანჩქერი, ნატურმორტები“... – **რევაზ თოფურია, მედიცინის პროფესორი**.*

*„ჩემთვის, მხატვრისთვის, ჯანსაღი კრიტიკა ყოველთვის სასურველია. კრიტიკის ქარცეცხლში გატარება გარკვეულ წარმატებას გვაუწყებს. თქვენ შემთხვევაში მე კრიტიკა არ გამომივა, რადგან სხვა განწყობით ვარ თქვენი ნამუშევრების წინაშე. ამიტომ მინდა გითხრათ მხოლოდ საქებარი სიტყვები. და მაინც გამოვყოფდი ქათმების კომპოზიციას – შედევრი! მე პირადად ვისურვებდი ამ ტიპის სურათების სიმრავლეს!“ – **დავით ბაძაღუა**.*

*„სიამოვნებით ვიმოგზაურე იმ სამყაროში, რასაც თქვენ აქ წარმოადგენთ. გისურვებთ წარმატებებს!“ – **დარეჯან ხაჩიძე.***

*„მოხიბლული ვარ. აქამდე უფრო პორტრეტებით გიცნობდი, მომეწონა ეს ჟანრული ნამუშევრები. წარმატებებს გისურვებ. ბევრი, ბევრი გამოფენა და გამარჯვება. პატივისცემით, კახა“. – **კახა ხინველი.***

ახლახან ცირა რაზმაძის სურათები ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვირჯინიის შტატში გამოიფინა...

„შარლოტსვილის გალერეაში თვენახევრიანი ჯგუფური გამოფენა გაიმართა, 12 ნახატი გავაგზავნე, ბევრი გაიყიდა, მეც ვისურვებდი ასეთ გალერეას, ძალიან მომეწონა... ეს ისე – სამომავლოდ“.

.....

მისი ფერწერული პორტრეტები ფსიქოლოგიზმით და მხატვრული სიზუსტით გამოირჩევა, ზუსტად გადმოსცემენ ხასიათს...

პორტრეტებიდან ასახელებს ბაღათერ არაბულის პორტრეტს, რომელიც მისი შვილის ნათლიაა, ასევე – ქრისტინე ბაგრატიონ-მუხრანელისას: „მეგობრები დამიხატავს, შეკვეთებიც მიმიღია, მაგრამ არ მიყვარს პორტრეტის ხატვა“...

ვახსენებ ლექსებს, რომლებსაც დიდი ხანია წერს.... 1992 წლის მერე არ გამოქვეყნებულა ჩემი ლექსებიო, მეუბნება... და მაინც, ერთ ლექსს იხსენებს:

* * *

ყოველღამ გნატრობ, სიკეთევ,
ხვალამდე იქნებ გამომყვე,
ასე ყოველი ქვა ცოცხლობს,
შენც იცი, მე რომ არ მოვყვე,
მოდი და ჩემიც იყავი,
ლექსთან არ მოგეწყინება...
მე ხომ ბოლომდე შენი ვარ,
თუ ღმერთმა ასე ინება...

.....

– ხელოვნების პედაგოგი, რას იტყოდით ახლანდელ თაობაზე, მომავალ მხატვრებზე?

– სამწუხაროდ, ახლა აღარ ვმუშაობ, მაგრამ სულით ხორცამდე პედაგოგი ვარ დღესაც კონტაქტი მაქვს მოსწავლეებთან, მყავს კიდეც და სიკვდილამდე დავიხარჯები ჩემი საქმის კეთებაში.

ერთი რამ მიხარია, ტანდემი ახალსა და ძველს შორის იცით, არც ახალია ჩემთვის, არც ძველი, მშვენიერია სწავლება და სწავლა თვით შენთვის, ბევრს სწავლობ ახალგაზრდებისგან... დაე იმრავლონ!

– ვიცი, რომ ნახატს „კაფე პარიზში“ განსაკუთრებული ისტორია აქვს.

– ქალაქპროექტში რომ ვმუშაობდი, მყავდა უფროსი – ტონი (ოთარ) კალანდარიშვილი. 1993 წელს, ერთ დღეს მაჩუქა ეს რეპროდუქცია და მიაწერა: „აჰა, ჩემო კარგო, დახატული პარიზი და ვეცადოთ ცოცხლად მისი ხილვა“. როცა გარდაიცვალა, მრავალი წლის მერე ვიპოვე ეს ფოტო და ტონის სამახსოვროდ დავხატე ის პარიზი, პარიზის ხილვა კი დღემდე ოცნებად დამრჩა.

დიდი არქიტექტორი იყო, ახლა, როცა ამ ნახატს ვუყურებ, სულ ჩვენი საუბრები ჩამესმის. მიყვარს იმ დროის გახსენება. ასეთია ამ ნახატის ისტორია.

ნახატი ფრანგმა მხატვარმა გააზიარა ფეისბუქზე ასეთი წარწერით:

„კაფე „საკონსულო“ იყო შეხვედრის ადგილი ისეთი დიდი მხატვრებისა, როგორიცაა პიკასო, სისლეი, დიაზი, ვან გოგი, ტულუზ ლოტრეკი, მონე.

მორის უტრილოს ნამუშევრები ემყარება მონმარტრის ქუჩას. რეალიზმის სრულყოფის დიდი სურვილითაა შთაგონებული მისი პირველი ნახატი „სახლი „ლა მაისონ როუზზე” და ა.შ. 1909 წელი.

„საკონსულო“ გახლავთ ერთ – ერთი უძველესი შენობა მონმარტრზე და წარმოადგენს ემბლემატურ ადგილს. ეს მე-9 საუკუნის ძველი რესტორანია, რომელიც მდებარეობს სანტ- რუსტიქის ქუჩაზე და კვლავ აგრძელებს მხატვრების შთაგონებას, ესაა ადგილი, რომელიც მოხვდა მრავალ ფილმში, მათ შორის ვუდი ალენის სურათში – „ყველა ამბობს, რომ მიყვარხარ“ – რომელიც გადაღებულია 1997 წელს. გმადლობ, მეგობარო ცირა, ამ საოცარი ფერწერული ნამუშევრისთვის!“

...ამბობს, რომ ჰობი ეს იგივეა, რაც ხატვა. „მე და ხატვა. ერთად უკვე დიდი ძალაა. კონკრეტული გეგმები არ მაქვს – თავისთავად მოდის. წარმოჩენა არაა ჩემი თვითმიზანი, მაგრამ რაც მინდოდა, ხომ გავაკეთე... სამომავლოდ, დროის დინებასთან ერთად ვნახოთ“...

თამარ შაიშმელაშვილი

ნინო ჩხიკვიშვილი

მარადიული სატკივარი

დღეს 14 თებერვალია, ლორა. აქ, ჩვენშიც, უკვე აღნიშნავენ ვალენტინობას.

„მარჯანიშვილში“ დანიშნულია თემურ ჩხეიძის ძველი, ლამის 20 წლის წინანდელი სპექტაკლი „სასიყვარულო ბარათები“ (პრემიერა შედგა 1999 წლის 10 ოქტომბერს).

ჰოდა, ეს ვალენტინობა არც კი მომგონებია, ისე მოვინდომე ამ სპექტაკლზე წასვლა და... ერთი ბილეთიც ვერ ვიშოვე. ყველა გაყიდული აღმოჩნდა, თან ერთი კვირით ადრე გაიყიდაო! – მითხრეს.

თავიდან გული დამწყდა, მაგრამ ის რომ, ამდენი ხნის მერეც ასეთი აქტუალური და სასურველი აღმოჩნდა „სასიყვარულო ბარათები“, ამან გამახარა!

...

ეს სპექტაკლი გამორჩეულად მიყვარს.

ასე მგონია, თითოეულ ჩვენგანზეა შექმნილი. როცა ვუყურებ, ვხვდები, რომ ცხოვრებისეული კანონზომიერებით, უფრო ზუსტად კი, ჩემთვის ამოუხსნელი კანონზომიერებით, ლაგდებიან ფერები და მოვლენები ამ სამყაროში.

უყურებ და ხვდები, რა უსუსურია ადამიანი ვეებერთელა ოკეანეში – ცხოვრებაში, სადაც, რაც არ უნდა ეცადო, მაინც მარტო რჩები და უფლისკენ მიმავალი ეკლიანი ბილიკები, ცხოვრების საზრისთან ერთად თუ იკარგება, მაშინ ისე მიდიხარ აღსასრულისკენ, ადამიანურ შეცდომათა ჯაჭვი საბელივით გეხვევა და გახრჩობს!

მგონი რილკე წერს ერთგან: ორის შეერთებით მარტოობა მხოლოდ იზრდებაო!!! – ჰო, ასეცაა. ხშირად უყურებ წყვილს და... ხვდები, მათი სიყვარული განწირულია, თუმცა ამაზე თვითონ შეყვარებულებს წარმოდგენა არა აქვთ;

ასეა ამ შემთხვევაშიც, გარნეის პიესის მიხედვითაც – ენდისა და მელისას სიყვარულიც განწირულია!

...

ამას წინათ, დრამატურგმა რეზო კლდიაშვილმა, როცა „სასიყვარულო ბარათები“ ვახსენე, მითხრა: დიდი ხნის წინათ ვნახე და დღემდე რატომღაც გამომყვა შეგრძნება, თითქოს აქ კი არა, ბროდვეის ერთ-ერთ თეატრში დავესწარი წარმოდგენასო!

არა მგონია, ეს ასოციაცია გადაჭარბებული იყოს.

...

ერთხელ, როცა ვსაუბრობდით, ბატონ თემურს ვკითხე, რა შემთხვევაში ცოცხლობს სპექტაკლი დიდხანს-მეთქი?

მიპასუხა: – პირველ რიგში, აუცილებელია, სპექტაკლი არა მხოლოდ შთაგონებაზე, არამედ, მყარ ლოგიკაზე იყოს აგებული. **არ უნდა იფიქროს რეჟისორმა, აბა, ერთი ვნახო, დღეს როგორ წავაო?! რას ჰქვია როგორ წავა? სპექტაკლი ზუსტად ისე უნდა წავიდეს, როგორც გაქვს აგებული და თუ ამას შთაგონებაც დაემატება, ამას რა სჯობსო?**

კიდევ, როცა ამ სპექტაკლზე ვსაუბრობდით, ვთქვი, რომ „სასიყვარულო ბარათები“, ალბათ, დიდ სცენაზე დაიკარგებოდა-მეთქი.

ბატონმა თემურმა მიპასუხა: ეგ კი არა, ის სცენაც დიდი მეჩვენება, სადაც თამაშობენ. იმიტომ რომ, ისეთი შთაბეჭდილება უნდა შეგექმნეს, მარტო შეხვდი ამ ადამიანებს, მაშინ იძლევა ეს ყველაფერი ეფექტსო.

არის კიდევ არანაკლებ მნიშვნელოვანი ფაქტორი: სპექტაკლი, რომელიც არ გამოიწვევს მაყურებლის ინტერესს, მერე იმას რაც არ უნდა უჩხიკინო, არაფერი გამოვა. – ეს ორი პირობა განსაზღვრავს სპექტაკლის სიცოცხლის უნარიანობასო! – ესეც დასძინა.

აი, ეს „ფორმულა“ განსაზღვრავს თემურ ჩხეიძის შემოქმედებით კონცეფციას.

და ამ „ფორმულაშივე ჯდება“ „სასიყვარულო ბარათები“ (და არ მხოლოდ ეს სპექტაკლი) – ინტიმური და, ამავე დროს, ასე გახსნილი და თვალსაჩინო.

როგორ აღწევს რეჟისორი სრულყოფილებას?
ტექსტით?
სპექტაკლის მხატვრობით?
მუსიკალური გაფორმებით?
მსახიობებით?
და მაინც... რეჟისორის მსოფლმხედველობით!

...

ორი გამოცდილი ოსტატი დგას სცენაზე: ნანი ჩიქვინიძე და გია ბურჯანაძე. პირველივე გამოსვლისთანავე იწყება ის დიდი ცხოვრება, რითაც ამ პერსონაჟებმა უნდა იცხოვრონ სცენაზე და მაყურებელთან ერთად გაიარონ რთული გზა.

სპექტაკლი მცირე სცენაზე მიმდინარეობს, ეს სივრცე ამ სპექტაკლისთვის ზედმიწევნით ორგანულია: ხანდახან გგონია, ხელს გაიწვდი და სასოწარკვეთილ, მომაკვდავ ქალს ანუგეშებ, ან კარიერისთვის თავგადაკლულ ენდის თვალებში ჩახედავ და ეტყვი: ეს ის ქალია, ასე რომ გიყვარდა ბავშვობაში, ახლაც გიყვარს და... შენ... შენ კი... ამასობაში სახელოვანი სენატორი, მისტერ ენდიუ ლედ მესამე გახდი... და ყველაფერი დაგავიწყდა!



...

თუმცა... დასაწყისშივე, განაჩენი: უკვე გამოტანილია

მელისას შეკითხვაზე, თუ რად აჩუქა მაინდამაინც წიგნი სახელწოდებით: „ზურმუხტ ქალაქის უბედური პრინცესა“, ენდი პასუხობს:

— როცა თქვენმა საზიზღარმა და მახინჯმა ალმზრდელმა ქალმა ჩვენი სკოლის მეორე კლასის კარი შემოაღო და შემოგიყვანათ (მიაქციე ყურადღება, ჯერ ისევ თქვენობით საუბრობენ), ძალიან ჰგავდით სწორედ უბედურ პრინცესას.

ეს შედარება მხოლოდ ბავშვური გულუბრყვილობით არაა ნათქვამი: ამ ფრაზებს ავტორი განწყობის შესაქმნელად ათქმევინებს პერსონაჟს.

პატარა ბიჭუნა წიგნს რომ ჩუქნის ამ გოგონას, ესეც სიმბოლურია, ეს ყველაფერი, ანუ მათი მომავალი ურთიერთობა მხოლოდ ფურცელზე თუ იქნება ყველაზე რეალური?!

...

ყმაწვილები განსხვავებულ გარემოცვაში იზრდებიან: გოგონა მდიდარი, მაგრამ უსიყვარულო ოჯახის შვილია. მისი მშობლები გაშორებულები არიან. მამას სხვა ოჯახი ჰყავს. დედაც გათხოვილია. ჰყავს მამინაცვალი, რომელსაც გერზე თვალი რჩება.

მელისას მამაც ხშირად ენტრება, დედაც, მაგრამ... ისინი ვერ ახერხებენ, დაუცველ, პატარა გოგონას მისცენ ის სულიერი სიმშვიდე და კომფორტი (გოგონა მხოლოდ ბებიასთან გრძნობს თავს დაცულად), ასე რომ დაეძებს ხან სად, ხან სად.

წერს კიდეც დანანებით ენდის: **მეგონა, ორი ოჯახი მქონდა, მაგრამ არცერთი არ მქონიაო!**

ვაჟის მშობლები, მართალია, შეძლებულულები არ არიან, მაგრამ სიმყუდროვე და სიყვარული სუფევს მათთან. ამიტომ უყვარს მელისას ენდისთან სტუმრობა. გამორჩეული ნოსტალგიითაც იხსენებს იქ გატარებულ დროს:

— შინისკენ გული არ მიმიწევს. დედამ სმა დაიწყო. დალევს, შემოვა ჩემთან ოთახში და ლაპარაკობს, ლაპარაკობს, ლაპარაკობს გაუთავებლად, ენა ებმევა, სიტყვებს ვერ გამოთქვამს...

არდადეგებზე ერთადერთი ნათელი დღე მქონდა, თქვენთან საშობაო ვახშამზე რომ მოვედი. გახსოვს, როიალს ალყა შემოვარტყით და ყველა ერთად ვმღეროდით!

და გულდაწყვეტილი ასკვნის: შესაძლოა, თქვენ იმდენი ფული არ გაგაჩნიათ, რამდენიც ჩვენ, მაგრამ, სამაგიეროდ, ნამდვილი ოჯახი და თბილი სახლი გაქვთო! — ამ დროს მსახიობი იმდენად სევდიანია და მარტოსული, რომ ამის საჩვენებლად ზედმეტია ე.წ. დამხმარე საშუალებები და არც მიმართავს ამას რეჟისორი.

...

სიცოცხლის ბოლოს კი ენდის წერილით (თითქოს ანდერძივით) აფრთხილებს: **რომ ფულია ბოროტების ფესვები. ფულით ყველაფერს ვერ იყიდიო!**

მატერიალურმა სახსარმა ვერ მოუტანა ვერანაირი შვება, მას, როგორც შვილს, ქალს, სატრფოს, როგორც დედას.

მელისას, ენდისგან განსხვავებით, არავინ ასწავლა, როგორ წარემართა ცხოვრება. ვინ იცის, იქნებ ამიტომაც ვერ იპოვნა ის მთავარი — რაც მის ყოფას საზრისს მისცემდა, იქნებ ამიტომაცაა, რომ ვერც მომავალი მეუღლე შეიყვარა, ვერც შვილებისთვის ივარგა, რადგან როგორც ბოლოს ირკვევა, მას მხოლოდ ერთადერთი ადამიანი — ენდი — ჰყვარებია. — ამის გაცნობიერებამ დეპრესიამდე მიიყვანა, სასმელს მიეძალა.

მეუღლემ დედობა ჩამოართვა და მიუხედავად თხოვნისა, დახმარებოდა შვილების დაბრუნებაში, ენდისგანაც თავზიანი უარი მიიღო.

....

ნიუ-იორკში ვცხოვრობ, მარტოდმარტო. მძაფრი კითხვანი არ მასვენებენ: ვინ ვარ? რატომ ვცხოვრობ? მიწას რატომ ვამძიმებ? ან ეს რა სამყაროა, რომელშიც ვცხოვრობ? როგორ მოხდა, რომ შენ მშობელი ხალხის ერთგული მსახური გახდი, მე კი — ლოთი, ავხორცი, გამაგებინე, მეგობარო, რა ხდება? — მელისას ეს სიტყვები (წერილი) უკვე განაჩენია, თითქოს შეკითხვას სვამს მაგრამ... ეს შეკითხვა როტორიკული უფროა. ამ ყველაფერზე პასუხი გააჩნია; მსახიობი ნანი ჩიქივინიძე — ისე წარმოთქვამს სცენდან ამ ფრაზებს და რომ ამ სიტყვებმა მაყურებლის მხოლოდ ყურამდე კი არა, გულამდე მიაღწიოს.

ენდი კი ხშირად ახსენებს მამას, როგორც დიდ ავტორიტეტსა და მისი ცხოვრების გზამკვლევს (ასეა: ვაჟის მშობლებმა, განსაკუთრებით მამამ, თითქოს, კარგად გათვალა შვილის მომავალი კარიერა).

და როცა მამა გარდაეცვლება, ქალი უსამძიმრებს ენდის:

ძნელია საყვარელი მამის და უფროსი მეგობრის დაკარგვა. **ვიცი, მე არ ვუყვარდი მამას, შენს ღირსად არ მთვლიდა. ალბათ მართალიც იყო...**

და იქვე აღსარებასავით დასძენს: **სამწუხაროა, რომ მე არ მყავდა შენნაირი მამაო.**

...

ღრმა, ქვეტექსტებით სავსე პიესაა. მაყურებელი

ამ შემთხვევაში, უცანურ რამეს გეტყვი, მკითხველის ფუნქციასაც ითავსებს. ამას რეჟისორი „აიძულებს“ და როგორ ახერხებს?

ესაა კიდევ ერთი საინტერესო და მნიშვნელოვანი მოვლენა: კონტრასტი თვალსაჩინოა. ეს მსახიობებმა შინაგანი სულიერი ძალისხმევით მოახერხეს. რაც გაცილებით ეფექტურია, ვიდრე ამისი ჩვენება გარეგნული ხერხებით.

...

სპექტაკლში არის ასეთი ეპიზოდი, ენდი მელისას წერს, რომ ბეჯითად მეცადინეობს, ზეპირად უნდა ისწავლოს მილტონის „დაკარგული სამოთხის“ ბოლო ოთხი სტრიქონი და როცა ვკითხულობდი, სევდა შემომაწვა, ჩვენი თავი მომაგონდაო: შინიდან ამ საშინელ ინტერნატებში გამოგდებული მელისა და ენდი – მე და შენ. და აი, ეს სტრიქონებიცო:

ერთხანს სტიროდნენ... და როდესაც შეიშრეს ცრემლი,
გადაეშალათ თვალწინ ტურფა სამოთხე ვრცელი,
ანცობენ, რბიან, უკოცნიან ერთმანეთს ხელებს,
მაგრამ რას გრძნობენ? ნუთუ ისევ სიმარტოხელის?

და ამის წარმოთქმისას, როცა გია ბურჯანაძე სკამზე დგება, მისაბაძი ოსტატობით გარდაისახება 15-16 წლის ყოყლოჩინა ყმაწვილად, რომელსაც ჯერ კიდევ დიდი დრო სჭირდება, საიმისოდ (იქნებ მთელი ცხოვრებაც კი), ამ სტრიქონების ტკივილი რომ გაითავისოს.

არადა, ეს სტრიქონები ხომ ორი პიროვნების (და არა მხოლოდ მათი) ცხოვრებისა და ურთიერთობის ერთგვარი სიმბოლოა.

ამ ლექსის „მნიშვნელობა“კი სპექტაკლის ფინალში ხდება გასაგები, როცა მელისა კვდება და ენდი – წარმატებული სენატორი, მეუღლე, მამა, ბაბუა, სულიერ ობლობას განიცდის.

...

ენდი მელისას დედას წერს, რომ მლისას გარეშე არც კი იცის, როგორ გაგრძელოს ცხოვრება, წერს იმას, რაც დაკრძალვაზე ვერ თქვა და... დასძენს: გწერთ და ასე მგონია, ამას მელისაც წაიკითხავსო და...

აქ მოულოდნელად: მელისა ენდის პასუხობს – **ყოჩაღ, ენდი, თავს არ ღალატობო!** – მოულოდნელი ღია ფინალით რეჟისორი კიდევ ერთხელ გარწმუნებს, რომ მათი დიალოგი ჯერაც არ დასრულებულა: ენდი ისევ მისწერს თავის სულიერ მეგობარს, მიუხედავად იმისა, რომ ამ წერილებს ადრესატი ვეღარასოდეს წაიკითხავს... (რადგან წერის გარეშე ცხოვრება ვერ კი წარმოუდგენია).

სპექტაკლს განსაკუთრებულობას ანიჭებს მუსიკალური თანხლება. იგი, თითქოს, როგორც ერთ-ერთი პერსონაჟი, ისეა ჩართული სპექტაკლის მთლიანობაში. შესანიშნავი შემსრულებელი ეთერ ზანგურიძე ლამის კლასიკად ქცეული, ამერიკული ჰანგის მეშვეობით, ჩაპლინის მოტივიც რომ „შემოდის“ უფრო ცოცხალს, მეტად დრამატულს, ემოციურ ფონს უქმნის სპექტაკლს, რომელიც საათნახევრის განმავლობაში, ანტრაქტის გარეშე, მიმდინარეობს. შესვენების გარეშე იმიტომ რომ, არ დაიკარგოს თხრობის უწყვეტობა, მძაფრი მუხტი.

მთელი სპექტაკლის განმავლობაში მაყურებელი მთლიანადაა ჩართული და... როცა წარმოდგენა მთავრდება, მხოლოდ მაშინღა ამჩნევ, რომ გვერდით სხვა მაყურებელიც მჯდარა.

აი, ბოლოს როცა ვნახე „სასიყვარულო ბარათები“, თურმე, ახალგაზრდა წყვილი მჯდარა, გოგონა ტიროდა, ვაჟი კი ისე ამშვიდებდა, როგორც, როგორც... ფილმებში გინახავს. ჰოდა, ამან კიდევ ერთხელ დამარწმუნა, რომ... თემურ ჩხეიძე ის რეჟისორია, რომელსაც შეუძლია, შენი შინაგანი სამყარო ხელის გულზე დაგიდოს და ამითი დაგეხმაროს კიდეც საკუთრი თავის პოვნაში, თან ეს ყველაფერი, თამაშ-თამაშით, ბუნებრივად „შემოგაპაროს“. გითხრას, რომ ხშირად ისე არაა ცხოვრება მოწყობილი, როგორც ეს გვინდა, თუ წარმოგვიდგენია. ცხოვრებაში ხშირად ხდება ისე, რომ... საყვარელი ადამიანი გვერდით გყავს, ვერ ამჩნევ და შენ მიერ გამოგონილ იდეალს ეძებ, სწორედ ისე, როგორც ეს ენდისა და მელისას დაემართათ.

ჰო, ასეა: ხშირად ბედნიერება აქვეა. ხელის გაწვდენაზე და მაინც ვერ ამჩნევ!!!! – იქნებ ჩვენი უბედობის თავი და თავიც ესაა?

აი, რამდენ შეკითხვას ბადებს სპექტაკლი!

...

ხანდახან გეჩვენება, რომ, ერთი შეხედვით, ზედმეტად ძუნწიცაა ის გამომსახველობითობა, რასაც რეჟისორი მიმართავს ამ სპექტაკლში და სურვილი გიჩნდება, რომ მსახიობებმა სხეულის ენა უფრო მეტად და ხშირად გამოიყენონ: იცეკვონ, იმღერონ, თუ საჭიროა, ყირაზეც დადგნენ (მით უფრო, რომ ამის საშულებას ტექსტი ნამდვილად იძლევა). აი, თუნდაც მაშინ, როცა სადღესასწაულო მეჯლისზე ეპატიჟება ენდი მელისას, ანდა როცა, უკვე წარმატებული პოლიტიკოსი მისტერ ენდრიუ სენატორი ხდება.

პიესაში იმდენი ნიუანსია, რომელზედაც ზოგიერთი რეჟისორი სანახობრივ კასკადს დაახვავებდა და ამით თვალს მოჭრიდა მაყურებელს, მაგრამ თემურ ჩხეიძე ასე არ იქცევა!

მაინც რატომ არ იქცევა ასე, რატომ მიჰყავხარ ასეთი „მოზომილი ნაბიჯებით“ ფინალისკენ? თავიდან კი გიკვირს, თუმცა სპექტაკლის ფინალში ხვდები, რომ... სწორედაც ამ „მოზომილმა“ გამომსახველობითმა საშულებებმა მოხდინა მაყურებელზე განსაკუთრებული ემოციური გავლენა, ანუ, ამ შემთხვევაშიც, რეჟისორმა ზუსტად ამოიცნო ავეტორისეული ჩანაფიქრი.

...

სწორედ ამიტომ წამოგყვა ფიქრი, ტკივილი: სპექტაკლის დასრულების შემდეგ მაყურებელში კვლავ აგრძელებს ცხოვრებას. და მერე.... შუღამისას, ძილში, რაღაცა ძალა გამოგაღვიძებს და მოგაგონებს, რომ თემურ ჩხეიძის სპექტაკლი – „სასიყვარულო ბარათები“ ნახე!

ეკატერინე გაბელავა

მარგო ბებოს

დაკოჟრილი ხელების ქვეშ შეფარული წლები...
სადარდებელ-სატკივარით დაღარული სახე,
რომ იცოდე, როგორ ძლიერ მენატრები, ბები,
სიცოცხლესაც გავიღებდი, ერთხელ რომ მენახე...
დაპენტილი თოვლის თმები, სისპეტაკე მათი,
გაფრენილი სიყმაწვილე
გაბნეული დროში...
საოცარი სიყვარულით სავსე თბილი კალთა,
ჩითის კაბას დაბნეული უძველესი ბროში...
ასე სადა,
ასე თბილი,
ტანკენარი ქალი,
კოპწია და მოხდენილი მახსენდები, ბები...
წლებმა ურჩად დაგამჩნია იარათა კვალი,
მაგრამ სული მაინც შეგრჩა სუფთა შეუხები...
ვერ გატეხა ტკივილებმა
მომლოცველი ბაგე,
მოლაციცე თვალებიდან გეღვრებოდა მადლი...
იყავ ქალი უშრეტელი ჩემი მოამაგე,
და იქ, სადაც გაიარე, ყველგან მადლი დადე.
აპრილია შენს საფლავთან, მე რა მინდა, როცა
აქვე გულში მყუდროდ სახლობ,
ისე მეთბილები,
გზას მინათებს შენი ბაგის ჩურჩული და ლოცვა,
მენატრები...
მენატრები...
ჩამიხუტე ბები!

მოვედი

მოვედი,
მოგიტანე გაზაფხული,
თოვლივით დაპენტილი გვირილები,
მოვედი დაღლილი და დაზაფრული
ბაგეზე დაფენილი ღიმილებით...
ათას ქარტეხილებ-გამოვლილი,
ათას დღეს მწყურვალი და მომარხულე,
მოვედი,
თეთრად თმაზე დათოვლილი
და მთელი სიყვარულით გინახულე..
დამხვდი...
საფიცარი თვალებია,
ფაქიზად რომ მიმზერენ მდუმარებით,
რამდენი სანატრელი წამებია,
მე რომ შემივსია მწუხარებით...
შემინდე,
მოგიტანე გვირილები,
ნიშნად უწმინდესი სიყვარულის,
მოვედი,
მოგიტანე წერილები,
ლექსებად ქცეული სინანულის...
დავბრუნდი უსასრულოდ დასარჩენად,
ღიმილი გაგიკრთა ბრაზიანო,
სულის და სხეულის გადამრჩენო,
ღმერთო, შემინდე და მაზიარე...
გვედრი...

* * *

მთვარე ვარსკვლავებს რომ მიმოლანდავს,
მკრთალად გაანათებს ბნელ ნაპირებს,
შვილებს მიატოვებს იოლანდა
და თავის დახრჩობას დააპირებს...
ჟღარუნობს ეჟვანი უმძიმესი,
ხელებს რომ ამძიმებს დაღიანებს,
სიცოცხლე განძია უძვირესი,
სიკვდილი სიცოცხლეს აღიარებს.
სხეულს სიფრიფანას ვერ ერევა,
სულს კი შეელია იოლად და
ცას რომ ვარსკვლავებად შეერევა,
შვილებს მოუკვდება იოლანდა.

* * *

ღამე გავათიე,
ცრემლებად დავიღვარე,
ღალატი გაპატიე,
ცხოვრებით დავიღალე...
სიჩუმის მომენტია,
მკვდარი სიმარტოვე,
ჩემი პორტრეტია,
შენ რომ მიატოვე.
წარსული ლანდებია,
სულს რომ მოსდებია,
მართლა ახლდებიან, თუ
მარტო ბოდვებია.
ღამე გავათიე,
როგორ მტკივა მკერდი,
შენ ვერ შემამჩნიე,
როგორ დაგიბერდი.

მზეს...

ვიღლები ისე, თითქოს სიბერემ
შემომილეწა ნორჩი სხეული,
მზეო, გთხოვ, სული შემომიბერე,
ცა გამინათე ჩამოქცეული..
მზეო, გაზაფხულს ველოდი,
ახლაც,
ამ მოლოდინით ვაღებ დარაბებს,
ისევ მომინდა შენს სხივთან შეხლა,
ვიღლები,
ვშფოთავ,
მოვიავადე...
კვლავინდებურად...
თითქოს სიბერემ
შემომილეწა
ნორჩი სხეული,
მზეო, გთხოვ, სული შემომიბერე,
ცა გამინათე ჩამოქცეული...

* * *

არ ვარ მხატვარი, რომ დავხატო თქვენი სახება,
არც მოქანდაკე, გამოგკვეთოთ ხეში რანდებით,
მე პოეტი ვარ, სული დამაქვს დიდი წამებით
და თქვენ ამ ლექსის სიწმინდე და მუზა
ბრძანდებით.

მე ვერ გიმღერებთ, აღარ მღერის სული სონეტებს,
უბრალოდ ვდუმვარ მაშინ, როცა ჩემზე ბრაზდებით,
თქვენზე ლექსებმა მე დღეს ალბათ გამაპოეტეს,
თქვენ ჩემი ლექსის დაუშრეტი მუზა ბრძანდებით.

რა საჭიროა ახლა ხატვა, ან ხეზე კვეთა,
რა საჭიროა, რომ მოვედოთ მიეთ-მოეთებს,
რა საჭიროა, შევაწუხოთ მორზე, ვან გოგი,
რა საჭიროა შევედარო ბახს ან გოეთეს.

ფიქრთა საუფლოს თქვენ ეწვიეთ ლექსის რითმებად,
თითოეულ ბწკარს ვეკედლები, ვიცავ, ვპატრონობ,
მე თქვენს სიყვარულს ფთებს შევასხამ და ვაქცევ
მითად,
ოღონდ თავენ დარჩით ჩემი ლექსის მუზად,
ბატონო.

* * *

გაჩირაღდნებულ
სავსე ქუჩებში
შუშის თვალებით
ვატარებ სევდას,
სიცივე მკოცნის
ურცხვად ტუჩებში,
სიცარიელევ,
მშვიდობა შენდა..
რადგანაც ვერსად
ველარ ავივსე,
დავალ დაცლილი
გრძნობის ჭურჭელი,
დამძიმებული
ბოლო ხანისა
მრჩება საქმენი გადაუჭრელი...
გაჩირაღდნებულ
სავსე ქუჩებში
შუშის თვალებით
ვატარებ სევდას,
სიცივე მკოცნის
ურჩად ტუჩებში,
სიცარიელევ,
მშვიდობა შენდა...

მანანა ხუჩაშვილი

არაგვს

შეუმღვრევიხარ მოვარდნილ წვიმას,
შენს ტალღებს აფთრის ყეფა გაუდით,
მყინვარის მხრებზე იღვიძებს დილა
და მომღიმარ მზეს, სხივებს დაუთვლის.

მოჰბღავი, როგორც დაჭრილი ხარი,
ქვებზე ნეკნების ნაკვალევს სტოვებ,
და დაცლილ მთებში, შენი ხარხარით,
შენი სიცილით, ჰკლავ სიმარტოვეს.

ხან აიმღვრევი, კალმახებს აფრთხობ,
ტალღებს იფარებ ნაგვემ მკლავებზე,
თითქოს დასტოვე სადღაცას სატრფო
და წამოსვლისას ვერ ეალერსე.

მე კი აქ გელი, სუსტი ხელებით,
ჩემი ლექსებით ავამღვრევ მელანს,
ჩარგლის ჭალაზე სადღაც შეგხვდები,
რომ ვაჟას დარი გითხრა სიმღერა.

დამფარე შენი მღვრიე ტალღებით,
ბოლო სუნთქვა კი შხამად გაიყოს,
შემოგაფეთო მინდა თვალები,
რომ სიყვარული ჩემიც გაიგო.

შეუმღვრევიხარ მოვარდნილ წვიმას,
შენს ტალღებს აფთრის ყეფა გაუდის,
და სურვილს ჩემსას, მთებისკე მზირალს,
კლდეებზე ნისლის ჯოგი აუდის.

მე ქიზიყელი ვარ!

იცი, რა გენი მაქვს?! – სიცოცხლით ნაწრთობი,
მთებიდან მოხსნილი ფუძე და კერია,
კახეთის ფერდობებს შემსკდარი ტყეები,
ბოდბიდან ბილიკით მოჭრილი გზები ვარ...

იცი, რა სისხლი მაქვს?! – სულ მაჯით ნაზომი,
ერეკლეს მხარდამხარ ნაბრძოლი გენია!
მზე აქ ქარვისფერ მტევნებად ამოდის,
ცისკარს თვალები არწივად ხვდებიან.

იცი, რა გენი მაქვს?! – უტეხთა ხმა მომდის,
სიღნაღის გალავანს კარიბჭე შეხსნია,
ამაყად ბიბინებს ყაყაჩოს სამოსი,
ეს ჩემი წინაპრის დაღვრილი ცეცხლია!

იცი, რა გენი მაქვს?! – ამაყად ამოვთქვი,
მე ამ მიწისგან ამწყდარი მყესი ვარ!
მე ჩემი სოფლის თონეში ჩაკრული,
მადლით მოზელილი იღბალის კვერი ვარ!

იცი, მე ვინ ვარ?! მე ისე მეტი ვარ,
ასკილის ტოტებზე ნაკრეფი ბედი ვარ,
მე უბატონო კუთხიდან ვიწყები,
ვინ ვარ, ბატონო?! მე, ქიზიყელი ვარ!

ფოთოლივით

ხეზე უკანასკნელ ფოთოლივით,
ველი ქარის ტანზე შემოხევას,
მიწას, ფეხშიშველა ობოლივით,
სტკივა ემოციის შემოსევა.
ყრუდ, თან გასაგონად მეკიდება,
ხმა ქარს მოყოლილი აპათიის,
ახლა წვიმის წვეთიც მემძიმება,
მითვლი ქვიშის მცირე საათივით...
მარყუჟს ყელი ისევ ეძვირება,
ფილტვებს ავივსებდი ახლა ზღვებით,
მოხვალ, ალბათ, მე კი მეძინება,
ღრუბლის მოვერცხლისფრო სავანეში.
ისევ გამიცვდება მოლოდინი,
მთვარე გადამიცვლის ღამისთევას,
სულში დაწყებული „ჰარაკირი“,
ალბათ, არასოდეს მომირჩება.
ხეზე შერჩენილი ფოთოლივით,
ქარი ამაწყვეტავს მოთმინებას,
მიწას, ფეხშიშველა ობოლივით,
სტკივა „პოეტური“ შურისგება.

ვხედავ

უსამშობლოო თვალებს ვხედავ,
მოკლეს მამული,
გუგებს იქითკენ,
ფუტუროა, სიცარიელე...
ადამინად ყოფნას ვბედავ,
ნიღბებს გავურბი,
ვიცი, რომ ეშმაც, დღეს
გულდასხმით მათვალიერებს.

უგულისფერო ჩრდილებს ვხედავ,
მზერით ტანჯულით,
ნარღვევ ქვით-კირებს,
უსასოოს და მგელ-მშიერებს,
გადამიარეს ნაფრთევ მხარზე,
ლექსის მარყუჟით,
ამიტომ, დღესაც გულსაკლავად,
ისევ ვიმღერებ...

ვიმღერებ, რადგან მიწას ვხედავ,
მიწას ავსულით
დასახლებულს, აკლებულს და
გადამთიელებს,
კრიჭაშეკრული დავბუბუნებ,
გადამალული,
ქართული ნება, სიტყვა-ღმერთი
მაბედნიერებს!

უსაძირკველო სახლებს ვხედავ,
ნგრევის მზაობით,
გაძარცვული და გაჩეხელი ტყეც
არ იმზევებს,
ჰოი, წასულნო, აღსრულებულ სიკვდილს
ვდაობდი,
ვაჰ რა ამოდ, სტრიქონშორის,
გაგაწყლისფერეთ!

უსამშობლოო თვალებს ვხედავ,
მკვდარი მამულით,
გუგებს მიღმა რომ
ფუტუროა, სიცარიელე,
ადამიანად ყოფნა მინდა,
სცენებს გავურბი,
ღმერთო მაღალო,
საქართველოს, ქართველს უშველე!

„გალასმარტი“ (გალაკტიონს)

მარტია, ისევ აჩვილბგერებს ქარის გნიასებს,
თმაშეტრუსული ალვებიდან შაშვი მოკვნესის,
პალატის ჭრაქი ამოსუნთქვას გაგიხილვადებს,
ბეჭებს ასვენებ, ფრთა ხმაურობს, ისევ ბოჰემით.
მარტია, გისმენს მთვარის ჩრდილი,
მთაწმინდას ულრენს,
ამოყმუვლებას ვინ დაასწრებს ნამარტალ
კედლებს,
ღამეა, სიკვდილს ნერვიულად სიგარეტს
„უკმევ“,
ლექსებსაც სჭირდი, ვერ გიშვებდნენ
დალეწილ ხელებს.

მარტია შენი, სხვას არ ეყო საფრენად, ფრთებად,
ვერსად წასულნი, გზას შემორჩნენ
მრუდე ბელტებად.
„გალასმარტია“, „ვარდებს კვდომა“ არ
დასცალდებათ,
ყველა სტრიქონი შემორჩება ეპიგრაფიად.

მარტია ისევ, „აჩვიდმეტებს“ ქარის გნიასებს,
პალატა, ჭრაქი, მონაცრისფრო ეიფორია,
ღამეა, სიკვდილს, ნერვიულად „უკმევ“ სიგარეტს,
შენ ამ ეპოქას „შემოაკვდი“ პოლიფონიად..

პოეტს

ნუ გაუზომავთ დარდის ღრმულებს,
ფსკერს ვერ მონახავთ,
გადავლილია მანდ გუთანი
„ძაღლური ყოფის“,
დაემსგავსება, ის უთუოდ,
ეულ ბონაპარტს,
გაშვებულს ზღვაში,
უგულობის ტალღების თქორში...
ნურც სიხარულის საწყაოთი
შექმნით მონახაზს,
წამის ათეულს თუ დაითვლის,
არადა ყოფნის...
დაგენანებათ,ის უსულოდ მიწას მონახავს,
მაინც მთვარეულს,
გულში იკრავს თიხა და კოცნის...
თუ გაუორდა ფიქრი ღრუბლებს,
ციურ სონატას,
მზის ალიყური დღენიადაგ
სტრიქონს რომ კორტნის...
სისხლშუმშრალი, ფრთების ჭურვებს
ცისკენ მომართავს,
მიწას დალაქავს სასოებით,
„ღვთიური ოფლით“...
ნუ გაუზომავთ პოეტს გუგებს,
ფსკერს ვერ მონახავთ....

მანანა ხუჩაშვილი

მწყემსის წერილი

მზექალ, მაგიკვდი, შამინდე, ვერ კი გავბედე შენი შეფხიზლება,
ბალღ ძუძუზე მოგძინებოდა, აგაცალე, აკვან ჩავაკარ, კი გამაიფხიზლა, დავარწიე, ძილ შაიბრუნა...
ისე ტკბილ ძილ იყავ ვეღარც კოცნით გაფხიზლე,წაველ ცხორში.
ადრიანად მამიხდა, ჯერ ეძინა ქვეყანას, ჩვენი ვეფხო კი სულ ბოხორა კუდის ქნევით შამამეგება, ჩაიდო პირში ჩემი მაჯა და ლოღნა, ხან რა ოხერ არი, ხან რა ფოფინა... წაველ მზექალ,შენ ქალობას ვაბა-რებ ამ კერას, კედლებს, სულიერსა და უსულოს, რაც გამაჩნია...შენ იმედადვე მივალ მეც, მთაა, აბა შენ ქალობას, არ გააციო ბუხარი ჩვენი ერთობისა, მალიმალ უკეთე აფიცხე ჩვენი სიყვარულითა, მეც გიერთგულებ, პირმცინარ მზესაც არ გავუსწორებ თვალსა, არც გულმოღეღილ ბროლისყელა მთვარეს ვაჩუქებ მონატრების ღიმს, შენ მემზევებოდე და მემთვარებოდე მუდამ... ბალღის ტირილივით ჩამესმება ბატკნის ბღავილი, სულ გულთან მეყოლებით... ჩოხის კალთაზე შებირკულს, შენი უტყვი საყვედურები გამახსენდება, დილის ნამი მთის ყოილებზე, შენს ცრემლ გამახსენებს... სადმე ღიღილოსაც გადავწყდები და ღიმილი გამახსენდება.... ოთხი თვე უშენფერო დილითა და უშენგულო ღამით... რა გაატანს... მაგრამ წესია ეს... წუთისოფლისა და ჩვენი ყოფისა... მასულდგმულებს შენზე ფიქრი და შენი ყოფნა ჩემსა უბადრუკ ყოფაში....

და ამ წერილის პასუხიც:

წერილი მწყემსს...

რაის წერილი-მეთქი, ამ აბგას გადავუვსებ სანოვაგით და შემოფრენილ ადრიან ვეფხიას შემოვუგდებ ცხენზე-თქო, თქვენკენ უჭირავ გეზი, ვიცი, ვერ სვენობს, მოხუცი მამის ძვლები ადარდებს, ვაი თუ დამ-ეღალოსო, შემიცივდესო, გადმოვა გაღმა და აი მეც... აკი ვამბობდი, რაის წერილი, მაგრამა... შენი ბარათი მახსენდება, დღემდე ბალიშქვეშ მიდევ და შენ წილ სითბოს იპარავს... მამნატრდი სულო, ძლიერი ვარ, გან არა, მხნედაც ვარ... ეს ორი ლომის ბოკვერი მასუნთქებენ უშენო გაზაფხულს. ვეღარა ვსაყვედურობ, ვეღარცა ვემდური ამ ჯიხვზნიანებ! ... ჩემ ტკბილ ,,სასჯელნი'' არიან... ავმჩატდი, მგონ ვბერდები, ჩემო გულაბჯრიანო! სარძევე კბილი მოიცვალა ვაჟიამ, სიტყვებსა სცრის... მეცინება და მიჯავრდება ბეჩავი დათიას კი საღირღნ, პირველ კბილები წამოუვიდა, ძუძუს მკორტნის, ძალა ესაა და ძალს მე, არ მანებებს, სულ ტკბილცრემლით ვტრაპეზობთ!

ჰაი...შენი ნიშა, გაიზარდა, წაბლივით ბრიალობს მისი ფერდები... ფაფარიც გაუახლდა.... იმ დღეს სიარული აკრძალა, დუნედ იყო... შავშინდი... გატრუნული იწვა ჩეროში.... თურმე კი არადა ნალი შემოაცვდა და მარტომ ვცადე დამეჭედა... დედაკაცი შენ უნდა დაიკვეხო, ე, ფიცხელ ცხენ ნალებ რო დამიჭედებია. დელგმა და ისხარ იყო წინ დღეს... წყალი ჩამოიპარა საბძელში, აგრე რას დავტოვებდი, ვერც ვინმეს შევჩივლებდი, ცოტა გაგიცივდი... მაგრამ შენ ნაბდისძველაში გავეხვიე დედიშობილა და იგრე მიწამლა, რაღაი შენ მკლავზედ წამკიდებია ცეცხლი და რაღაი ამ ნაბადს დავუშუშხივარ... გამი-გრძელდა, ეს დედაკაცური ჟღურტული, შამინდე ჩემო მხარო და იმედო!

საგულდაგულოდ დავმალავ ამ ბარათს აბგაში, ნაზუქებთან, ან საიდმე,არავინ კია მანდ სხვის სულში ხელისუფათურა, მაგრამა მაინც,სიტყვა განძია, ოქრო, მოყვარულ ცოლ-ქმრისა კი შეუფასე-ბელი... არ დამედარდო, მალ გაივლიან ეს წოწიალა დღეები, შენც ნაკლულობ სითბოს, ვიცი ყველავ, მეც ვცარიელდები ჩემო... ფხიზლად იყავ, ქიტეთში მეტი მგელ-ტურაა, ცხორს გაუფრთხილდი, თავსა უფრო მეტად... ჩემგულ ჯავრი არ გამიკარებია, მკერდზე დასვენებული შენ ჯვარი და მე ჩვენი ლეკვები, გადაჯვარული....უფალი დიდია, ჩვენი კერიის მადლი სულ თან გდევს.... საღსალამათი დაგვბრუნებოდი ჩემო... დაგეწამლე გულზე...

პროზა

მაჩიკამ ზედგინიძე

დაორთქლილი გისოსები

ანა-მარიას ყველაზე მეტად სახლში მარტო ყოფნა უყვარდა, კარს მივარდებოდა, საგულდაგულოდ ჩაკეტავდა, მოზრდილი ქვაბითგაზქურაზე წყალს შემოადგამდა, როცა მინები გვარიანად დაიორთქლებოდა, ზოლიან პიჟამას ჩაიცვამდა, ფანჯრებზე ორთქლისგან გისოსების გამოსახულებას გააკეთებდა, რაფაზე შემოჯდებოდა და ერთ წერტილს მიაშტერდებოდა. ჰორიზონტზე ყველაფერს გაზაფხულის ფერი ჰქონდა, გარდა იმ ერთი წერტილისა, იმ შენობას სინანულის ფერი ედო – ის სასჯელაღსრულების ერთ-ერთი დაწესებულება იყო. იმ შენობაში გამოკეტილებისთვის.

ზამთარშიც და ზაფხულშიც მზე დეკორაციასავით იყო ცაზე გამოკერებული, სითბოს გარეშე... იქ ყველას თავისი კალენდარი ჰქონდა, თავისი ახალი წელი და თავისი გაზაფხული, – განაჩენის გამოცხადების თარიღი იყო მათთვის ახალი წლის, თავისუფლებამდე კიდევ ერთი ნაბიჯის დასაწყისი...

უკვე მეორე წელი გადიოდა, რაც თავისუფლების ტყვეობაში მყოფი ანა-მარია პიჟამათი და ფანჯრებზე გისოსების გამოსახვით ცდილობდა, როგორმე მიახლოებოდა დანიელის ყოველდღიურობას, დანიელის განცდებს. დანიელი ანა-მარიას ციხე იყო ციხეში. მკვლელობის მცდელობისთვის იხდიდა სასჯელს, სწორედ იმ ციხეში, რომელიც ანა-მარიას ფანჯრების ჰორიზონტის ბოლოს მოჩანდა. უკვე მეორე წელი გადიოდა, რაც ანა-მარიას – ფუფუნების მოყვარულ გოგონას სულ უფრო მეტად აღიზიანებდა ყველა ის ნივთი თუ ტექნიკა, რომელიც ზოგადი გაგებით კომფორტთან ასოცირდებოდა – საკნისთვის უჩვეულო საგნები აღიზიანებდა თავის ირგვლივ. მაღვიძარაც ნაგავში გადააგდო, ფიქრობდა,რომ ციხისთვის ყველაზე უფუნქციო ნივთი მაღვიძარა იყო.

ანა-მარიას კომფორტის ზონა იმ „ზონით“ იწყებოდა და მთავრდებოდა, სადაც დანიელი იღვიძებდა და იძინებდა.

„გაუშვი, იცოცხლოს, ნუ მოკლავ“ – როცა დანიელის დაკავების ამბავი გაიგო, მხოლოდ ეს სიტყვები ესმოდა ანა-მარიას, ეს სიტყვები თავად დანიელს ეკუთვნოდა – ლაშქრობისას ანა მარიამ ხელზე აცოცებული ჭიანჭველის გასრესა რომ დააპირა, დანიელმა სალოკი თითი ანა-მარიას სალოკ თითან მიიტანა, ჭიანჭველას „ხიდი“ გაუკეთა და სამშვიდობოს გააცილა მწერი. ახლა კი ჭიანჭველას მხსნელი დანიელი ადამიანის მკვლელობის მცდელობისთვის იხდიდა სასჯელს.

დანილის პატიმრობიდან ერთი წლის შემდეგ ანა-მარიასთვის იმდენად აუტანელი გახდა თავისფულების ტყვეობაში ყოფნა, რადაც არ უნდა დასჯდომოდა, დანიელის ყოველდღიურობა თავის თავზეც უნდა გამოეცადა, გისოსებს მიღმა უნდა აღმოჩენილიყო... სისხლის სამართლის კოდექსი აიღო და ყველა თავი პუნქტობრივად გაიარა, მუხლებს ისეთი მშვიდი სახით კითხულობდა, როგორც მეგობრობის დღიურს ბავშვობაში. ვერ გადაეწყვიტა, რა დანაშაული ჩაედინა... – ერთ დროს ყველაზე კანონმორჩილი, ფემინისტური შეხედულებების ანა-მარია იჯდა და ფიქრობდა, რა დანაშაული ჩაედინა საყვარელი მამაკაცის გულისთვის...

საბავშვო ბაღის წინ, ახლად ნაწვიმარზე გაჩენილი გუბესავით ჰქონდა გული, ყველა რომ კენჭებს ისროდა მასში... „კეთილისმსურველებს“ ვერ გაეგოთ, რატომ მიატოვა ანა-მარიამ სწავლა „ვიღაცა მკვლელის“ გამო, რატომ ჩაიკეტა სახლში და რატომ კარგავდა ცხოვრების საუკეთესო წლებს კრიმინალი ადამიანის ლოდინში... ეს ანა-მარიასაც ვერ გაეგო, თუმცა დიდად არც ცდილობდა პასუხის ძებნას... მოლოდინით ცხოვრობდა და გრძნობდა, რომ მოლოდინის შეგრძნებით ცხოვრება, მისი აწყმოც იყო და მომავალიც.. ანა-მარიას ისიც უთხრეს, პატრონი გინდა, უნდა გათხოვდე, აღარ ხარ პატარაო – ეს იმ „პატრონიანმა“ ნათესავმა უთხრა, სერიალების სიყვარულს გადაყოლილს პირადი ჰიგიენისთვისაც რომ არ რჩებოდა დრო, ქმარი – „ერთგული“ პატრონი კი ცოლზე ოდნავ მოვლილ იაფფასიან სექსმუშაკებს სტუმრობდა თითქმის ყოველღამე. ოჯახის წევრებიც დაიღალნენ ანა-მარიასთვის რჩევების მიცემით და იმ იმედით, რომ ანა-მარია ერთ დღესაც გონს მოეგებოდა და ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდებოდა. სიჩუმე არჩიეს... ანა-მარიამ კი თავის სამყაროს ისეთივე მყარი და მაღალი გალავანი შემოავლო, როგორც

სასჯელაღსრულების იმ დაწესებულებას ჰქონდა, მის სულში ჩახედვის უფლებას არავის აძლევდა – რა აზრი ჰქონდა, ვინმესთვის განცდების გაზიარებას – მაინც ყველაფერი ბანალურ რჩევებამდე მივიდოდა, იმასაც ნანობდა, აქამდე რაც გაანდო მათ...

დანიელის დაპატიმრების შემდეგ ანა-მარია სახლიდან ძალიან იშვიათად გადიოდა, ისიც ზღვის სანაპიროზე. თოლიების საცქერლად, უნდოდა ენახა, როგორი იყო ნამდვილი თავისუფლება თავისუფლებაში, სჯეროდა, რომ ერთ დღეს დანიელთან ერთად თავადაც შეძლებდა ფრენას უსასრულობაში უსასრულოდ. ისე და იმაზე უკეთ, იმ საღამოს რომ „იფრინეს“.

ანა-მარია და დანიელი ჯგუფელები იყვნენ, მათი ურთიერთობაც იმ საღამომდე ჩვეულებრივი ჯგუფელების ურთიერთობა იყო, არაფერი განსაკუთრებული... იმ მაისის საღამოს აპოკალიფსურად მოიღრუბლა და გაწვიმდა... ანა-მარიამ და დანიელმა უნივერსიტეტის კიბეები მომავალ კვირას დაგეგმილ გამოცდაზე საუბრით ჩამოიარეს... უნივერსიტეტის შენობის ზღურბლს გადმოაბიჯეს თუ არა, დანიელი ქანდაკებასავით გაშეშდა, თვალები მაგრად დახუჭა, ისე ღრმად ჩაისუნთქა, თითქოს დარჩენილი ცხოვრების სამყოფ ჟანგბადის მარაგს იგროვებდა და თითქმის ჩურჩულით თქვა: „ეს სუნი ყველაფერია“ – „ნაწვიმარის სუნი – ეს სიცოცხლის სუნია“... უცებ ისეთი ხანძარი მოედო ანა-მარიას გულს, ცოტახნის წინ გადაღებული წვიმაც რომ ვერ ჩააქრობდა – „ნაწვიმარის სუნი“, „ნაწვიმარის სუნი“ – სიცოცხლის სუნი – ექოსავით ესმოდა დანიელის სიტყვები და თავბრუს ახვევდა... ეს იყო ხმა ანა-მარიას ბავშვობიდან, ანა-მარიას სამყაროდან, ანა-მარიას ოცნებებიდან და ქვეცნობიერიდან...

ანა-მარიას უცებ ხარხარი მოესმა, თანაკლასელი ბიჭის ხარხარი ბავშვობიდან:

მერვე კლასში ანა-მარიას თანაკლასელმა ბიჭმა ვარდი აჩუქა და სიყვარულში გამოუტყდა, არც ანა-მარია იყო გულგრილი, ჩათვალა, რომ თავისი ყველაზე დიდი ოცნება მისთვის უნდა გაენდო და აცისკროვნებული თვალებით დაიწყო: დიდი რომ გავიზრდები, ნაწვიმარის სურნელს შევაგროვებ ლამაზ ფლაკონებში და ყველაზე ბუნებრივ სუნამოს შევქმნი, შენც გაჩუქებ... ბიჭისთვის, ანა-მარიას ოცნება იმდენად სასაცილო და ბავშვური აღმოჩნდა, მისი ხარხარის ხმამ მარიას სხეულის ყველა უჯრედი და სკოლის ყველა კუთხე ერთიანად მოიარა... „გაიგეთ, ბავშვებო, შანელს მალე დიდი კონკურენტი გამოუჩნდება – ანა-მარიამ წვიმის სუნი უნდა შექმნას“ – მიუბრუნდა თანაკლასელებს ბიჭი, მისმა სიტყვებმა კლასში საყოველთაო მხიარულება, ანა-მარიას ცნობიერებაში კი ფსიქოლოგიური ტრავმა გამოიწვია... თუმცა ოცნება არ შეუწყვეტია... ყველაზე დიდი საიდუმლოსავით ინახავდა ყველაზე უწყინარ ჩანაფიქრს... ღრმად სუნთქავდა ნაწვიმარის სუნს და სჯეროდა, რომ ერთ დღეს ოცნებას აისრულებდა..

იმ საღამომდე... იმ საღამოს კი ანა-მარიამ ფერადი ქოლგა გაშალა და შავ თმაზე ცისარტყელასავით დაიფარა...

ანა-მარიას მხოლოდ თმა ჰქონდა შავი, მისი ფიქრები, ნივთები, სიზმრები, სურვილები – ყველაფერი ფერადი იყო...

შემიფარებ შენს სამყაროში? – გაულიმა დანიელმა, შუბლიდან წვიმის წვეთები მოიწმინდა, მარიას ქოლგას შეეფარა, ქოლგასთან ერთად გულს... ანა-მარიას პირველ აღსარებასავით გაუჭირდა წვიმაზე ოცნების გამხელა დანიელისთვის, მაგრამ შეძლო... ცინიკური ხარხარის ნაცვლად დანიელის სიტყვები გაისმა: „მოდი, ვიფიქროთ, როგორ“... ანა-მარიამ იგრძნო, რომ გზა და გზა დანიელი სიტყვასა და სიტყვას შორის კიდევ რაღაცას ამბობდა და სწორედ ეს იყო მთავარი სათქმელი, რომელიც ანა-მარიას უნდა გაეგო... იმ საღამოს ემბრიონის პოზაში მწოლიარე ანა-მარია ჭექა-ქუხილს ხმას განაბული უსმენდა, სად წავიდა შიში, უსუსურობის განცდა, რომელსაც ჭექა-ქუხილის ხმა ჰგვრიდა ანა-მარიას?! იმ საღამოს დანიელის სახის წარმოდგენით დაცულობის საოცარი განცდა დაეუფლა, ელვა გაიკლაკნა და ანა-მარიას ტუჩის კუთხეებში გაჩენილი ღიმილს „ფოტო გადაუღო“. ანა-მარიამ იმ ღამით თითქმის ყველა ვარსკვლავი დაითვალა, დანიელის ხილვის მოლოდინით ანთებულ თვალებს წამწამები საბნებივით გადააფარა და დაიძინა.

დილით, საყვარელი კაბის დაუთოებას ჩვეულებრივზე ორჯერ მეტი დრო მოანდომა, ჩვეულებრივზე მკვეთრად წაისვა წითელი ტუჩსაცხი და ჩვეულებრივზე უფრო ქალური ნაბიჯებით გაემართა უნივერსიტეტისკენ.

რა მოხდა? – იკითხა აუდიტორიაში შესულმა, ჯგუფელების ნაცრისფერი სახეების დანახვისას? – დანიელი დაკავეს, წუხელ... ვიღაცა დაჭრა... კიდევ ამბობდნენ რაღაცებს, თუმცა ანა-მარიას აღარაფერი გაუგია... სიმწრისგან მაჯით პომადა მოიშორა და გარეთ გავარდა..

არც მაშინ და არც მერე არ დაინტერესებულა ანა-მარია, ვინ და რა გარემოებაში გაიმეტა დანიელმა სასიკვდილოდ... დარწმუნებული იყო, რომ დანიელი უდანაშაულო იყო და „ჭიანჭველას მხსნელი“ ადამიანი ადამიანს სასიკვდილოდ ვერ გაიმეტებდა. დანიელის სანახავად წასვლაზეც არასოდეს უფიქრია, ან რა უნდა ეთქვა, ან რა უნდა ეკითხა, როცა კითხვებიც და პასუხებიც უკვე ჰქონდა... თავად იყო იმ სამყაროს არქიტექტორი, რომელშიც დანიელს მთავარი ადგილი ეკავა...

„მჯერა, შენს საკნამდეც აღწევს ნაწვიმარის

სუნი“... – გააკეთა მინაწერი ერთ-ერთ წიგნზე ანა-მარიამ და ქუჩაში მდგარ იმ ყუთში მოათავსა, რომლითაც პატიმრებისთვის წიგნებს აგროვებდნენ მოხალისეები. შესაძლებლობა, რომ ნაწვიმარის სუნს და წიგნს დანიელის საკნამდე მიეღწია, ძალიან ცოტა იყო, მაგრამ ანა-მარიას სჯეროდა..

იმედისფრად გათენდა, მზეს ცხრა სხივიდან ჯერ მხოლოდ ოთხი სხივი გამოეჩინა, ზურგჩანთამოკიდებული ანა-მარია რამდენჯერმე ინსტინქტურად ფეხის წვერებზე აიწია იმ იმედით, რომ ციხის ხუთმეტრიანი კარის მიღმა მისკენ მომავალ დანიელს დაინახავდა... ციხის ჭიშკართან იმაზე ნელა გავიდა დრო, ვიდრე დანარჩენი ორი წელი, დანიელის ლოდინში... გოგონამ ელექტროსადენზე ჩამომჯდარ ბელურას ახედა, მოეჩვენა, რომ ფრინველმა რაღაც ანიშნა... ანა-მარიას დანახვისას დანიელს ზუსტად ის განცდა დაეუფლა, როგორც ანა-მარიას იმ საღამოს – დანიელმა წვიმას სიყვარული რომ აუხსნა.. ანა-მარიას კი ისეთი განცდა დაეუფლა, თითქოს მაჯებიდან მასაც მოხსნეს ბორკილები... საუბრობდნენ, სიტყვასა და სიტყვას შორის კიდევ რაღაცას ამბობდნენ და ეს რაღაც იყო მთავარი სათქმელი... მიდიოდნენ და ზურგჩანთებთან ერთად დიდი სიყვარული მიჰქონდათ...

ანა-მარია შეიშმუშნა, საწოლზე, რომელზეც დანიელის დაკავების შემდეგ ლეიბის გარეშე ეძინა, სხეულის სიმძიმე იგრძნო, შესაძლებლობა რომ ჰქონოდა, სამყაროს სცენარიდან სიზმარს ამოიღებდა, წამების წინ იმდენად რეალური იყო დანიელთან შეხვედრის განცდები, ვერ იჯერებდა, რომ ისინი მხოლოდ სიზმრისეული ფანტაზია, ცხოვრების ცინიზმი იყო და მეტი არაფერი... თანაკლასელი ბიჭის ხარხარი ჩაესმა, სიძულვილის განცდით გაეჟღინთა სისხლის ყველა წვეთი...

იმედგაცრუების შეგრძნება ყელთან ბურთივით მოებჯინა და კოკისპირულად ატირდა... ფანჯრების დასაორთქლად წამოდგა, ისე უმწეოდ მიაბიჯებდა, თითქოს მტრედის ფეხებზე ამოსვლოდა სხეული..

მოსამართლეს რომ სცოდნოდა, რას გრძნობა ანა-მარია იმ მომენტში, დანიელს მეორე ადამიანის მკვლელობის მცდელობისთვისაც გაასამართლებდა...

• • •

ძველანაგის საჯარო სკოლამ თემურ ჩალაბაშვილს უმასპინძლა

,,მე მინდა შენზე ლექსები ვწერო,
ყოველი სიტყვა დაგეფინოს გულზე ვარდებად,
რომ დავარხიო ალბათ შენი მაყვლის
კენწერო, –
ჩემი ბავშვობა გადმოვარდება“, –

ამ სიტყვებით შეეგება სიღნაღის რაიონის სოფელ ძველანაგის საჯარო სკოლა (დირექტორი ნინო ღვედაშვილი) საყვარელ პოეტს, თემურ ჩალაბაშვილს.

მოსწავლეები და პედაგოგები გულთბილად შეხვდნენ ხსენებული სტრიქონების ავტორს, ვისმა ბავშვობამაც სწორედ ძველანაგის ორღობეებსა და მზიან ველ-მინდვრებში ჩაიარა...

II, IV, X კლასის მოსწავლეებმა საინტერესო კომპოზიციები წარმოადგინეს პოეტის ლექსებზე. ცეკვას სიმღერა ენაცვლებოდა, სიმღერებს – გულიანი გამოსვლები. მადლობას იმსახურებენ კლასის ხელმძღვანელები: ლია ჯალიაშვილი, ციალა შავლიაშვილი, ლელა აბულაშვილი.

პოეტს მიესალმნენ: სოფელ ძველანაგის გამგებელი ზაზა ბეგიაშვილი, სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერი გოგი გოგილაშვილი, მერის მოადგილე თემურ ბალარჯიშვილი, მასწავლებლები – მარიამ ბასილაშვილი, ამალია ნატროშვილი, სკოლის დირექტორი ნინო ღვედაშვილი. პოეტები: თამარ შაიშმელაშვილი, ედუარდ უგულავა...

მასწავლებლებს, ბავშვებს, მშობლებს დიდხანს გაჰყვებათ საყვარელ პოეტთან შეხვედრის დაუვიწყარი წუთები.

ზურაბ კაზიშვილი

კაკო

ჩემს ძმას, დავით კაზიშვილს, სიყვარულით და მადლიერებით...

კაკომ ნელა, თითქმის მშვიდად შეიწმინდა თითებზე სისხლი. ხელსახოცი ჯიბეში ჩაიდო. მაგიდაზე ცელოფნის პარკს დაწვდა. ხელზე თათმანივით წამოიცვა. პარკით შემოსილი ხელით გრაფინი აიღო. წყალი პირში ისე ჩაისხა, გრაფინს ტუჩებით არ შეხებია. გრაფინი მაგიდაზე დააბრუნა. ტახტთან გაშოტილ სხეულს მიუახლოვდა. უადგილოდ დაგდებულ დახვეულ ხალიჩასავით გადაბიჯა. იატაკიდან პარკიანი ხელით სისხლიანი დანა აიღო. პარკი შიგნიდან გარეთ ისე ამოატრიალა, რომ დანა შიგ მოჰყვა. ოთახი მოათვალიერა. ისევ მაგიდასთან დაბრუნდა. გრაფინის გვერდით მდგარ მინის ნათალ ჭიქას ახლოდან დააკვირდა. გაიმართა. ჭიქა აიღო და პარკში ნელა ჩადო. თავის ტანს დახედა. შეხსნილ პიჯაკზე აწყვეტილი ღილის ადგილი თითებით მოსინჯა. ირგვლივ იატაკის თვალიერება დაიწყო. მუხლებზე დადგა. პოლიეთილენის პარკი გვერდით, ნოხზე დაიდო. ჯიბიდან ამოღებული ასანთი გაჰკრა. ცეცხლი მაგიდის ქვეშ შეყო.

მერე, უძრავი სხეულისკენ გაიშვირა. ასანთმა თითები დაწვა. სწრაფად გააქნია ხელი და უკვე ჩამქრალ ღერს შეუბერა. ნამწვი პარკში ჩააგდო, დანასა და ჭიქასთან. ახალი ღერი გაკრა. მუხლებით რამდენიმე ნაბიჯი წინ წადგა. უსულო სხეულის გვერდით იდაყვებზე დაეშვა. ტახტის ქვეშ სცადა შეხედვა.

მეშვიდე ასანთზე, კომოდის ქვეშ ღილი იპოვა. ჯიბეში ჩაიდო. მერე ისევ ამოიღო, სისხლიან ცხვირსახოცთან ერთად. ორივე პარკში ჩაუძახა.

მაგიდასთან სკამზე ჩამოჯდა. სიგარეტს გაუკიდა. საფერფლე მაჯით მოიჩოჩა. ჩუმად ჩაათავა ღერი, უკვე სიბნელით შესუდრული სხეულისთვის თვალის მოუშორებლად. თითქოს მისთვის რაღაცის თქმას აპირებდა. შიგარეტი საფერფლეს დაასრისა. ნამწვი პარკში ჩააგდო. ნელა წამოდგა. არკი სახელურით მაჯაზე წამოიცვა. კართან მივიდა. ყურადღებით გაიხედა საჭვრეტში. მარჯვენა ხელი პიჯაკის სახელოში ჩამალა. სახელოთი კარი ფრთხილად გამოაღო. უხმოდ გაიპარა ვესტიბიულში. სახელოთივე, კარი ზანტად გამოიხურა. სადარბაზოს ბნელ სიჩუმეში საკეტის ენამ უვაზნოდ გასროლილი რევოლვერის ტკაცანი გაიღო. კაკომ კიდევ გულდასმით მიმოიხედა. პარვით დაუყვა კიბეს. ქუჩის სუსხმა გაოფლილი შუბლი დაწვა. იშვიათი გამვლელი ათასად მოეჩვენა. დაყენებული სიმშვიდით ჩაათავა უბანი. ზოზვით მიმავალ სამარშრუტო ტაქსს გვიან დაუქნია ხელი. თვალი გააყოლა. მერე, მყისვეულად, ქუჩა გადაჭრა. გაცდენილი სამარშრუტო ტაქსის მიმართულებით დაუყვა გზას.

სასაფლაოზე მხოლოდ მთვარე,კაკო და მეტწილად უგემოვნო საფლავის ქვები იყო. ხეებში უწყინარად მორბენალ ნიავს გარემო იდუმალების სუნს სძენდა. კაკომ ნელა შეაბიჯა ერთ-ერთ საფლავზე. მიწაზე თითქოს უდიერად დაგდებულ, უსურათო, მშრალწარწერიან ქვას წამოადგა. კარგა ხანს ჩუმად იდგა. მერე გვერდი იქცია. მიწაზე ჩაჯდა. ზურგით დაბალ გალავანს მიეყრდნო. პარკი იქვე, თეძოსთან დაიდო. ერთხანს მიწას უყურა. მერე კეფა გალავნის ცივ ქვას მიადო და სახე მთვარის შუქს მიუშვირა. დიდხანს იჯდა, გაუნძრევლად, ჩაძინებულივით.

უცბად პარკს გადახედა. მიწაზე წამოაპირქვავა. მთვარის შუქზე ნივთები გაქექა. ჭიქა პერანგის კალთაზე გულდასმით შეიწმინდა. მერე პიჯაკის სახელოში ჩამალული ხელით შორს გაჰკრა. ჭიქამ ყრუდ გაიშხუილა ჰაერში, დადუმდა, მერე ხმამაღალი ჭექით დაემსხვრა ვიღაცის საფლავის ქვას. კაკომ ღილიც ჭიქისკენ გაჰკრა, მაგრამ ის უჩუმრად ჩაიკარგა სიბნელით გასქელებულ ჰაერში. დანა სისხლიანი ცხვირსახოცით გააპრიალა. ცხვირსახოცი მის წვერსვე წამოაცვა. ასანთს გაჰკრა და ცხვირსახოცს ცეცხლი წაუკიდა. ცეცხლიანი ცხვირსახოცი დანით სახესთან მიიტანა. სიგარეტს გაუკიდა. დანა რამდენჯერმე შამფურივით დაატრიალა. სანამ ბოლომდე არ ჩაიწვა, ცხვირსახოცისთვის თვალი არ მოუშორებია. დანა რამდენჯერმე მიწას დასცა. მერე პიჯაკის კალთით გულდასმით გაწმინდა. სახელომოსილი ხელით ისიც სიბნელეში გაუძახა. დანა დაშნისებური ჟღრიალით ასხლტა შორეულ ქვაზე და სიჩუმეს შეერწყა. კაკომ სახე ისევ მთვარეს მიაპყრო. თვალი ზეცის უკუნ სიბნელეს უაზროდ გაუშტერა. ცრემლმა ცივი კვალი დატოვა მის წმინდად გაპარსულ ლოყაზე.

— ახლა რა ვქნათ? — ჩაილაპარაკა.

დიდხანს, კვლავ მდუმარედ იჯდა. მერე ნელა აითრია ტანი. საფლავის ქვას თვალი გადაავლო. გარეთ გავიდა. ჩუმ ნაბიჯებად მიიკარგა სიბნელეში.

ბუნაზ ბვაია

მზია ხეთაგურის „ჩინური პენტატონიკა“

შეუცნობი სამყაროდან გამოგზავნილი ამანათების მიღება და ყოფიერში უშურველად გასაჩუქრება,პოეტური მისიის ძირითადი ასპექტია. თუ ვინ როგორ შეასრულებს ამ დავალებას,პასუხად მათი შემოქმედებაა უტყუარი მასალა.

ნიჭიერება გადამწყვეტი ფაქტორია შემოქმედის გენიაში, რამეთუ, კოსმიური გზავნილების სალაროს გახსნა და მიზნობრივი მიწოდება საზოგადოებისათვის, არა მხოლოდ წარმატებისა და სიყვარულის წყაროა, არამედ, მარადისობასთან მარადიული პაემანის რომანტიკა და უფალთან წილნაყარი პოეზიის ზეობაა.

მარადიული კოსმიური პოეზიის მარადიულ მეწილეობას მზია ხეთაგურის გონიერი სამყარო არასოდეს მოსწყდება. თემები, რითაც პოეტმა დაიმკვიდრა თავისუფალი მოქალაქეობა „ორთავ სოფელსა ზედა,“ სინათლესა და სიბნელეს, ხილულსა და და უხილავს, მისტიკურსა და ცხადს, თანაბარი რეალისტური ფერებით აწვდიან მკითხველის გონსაწიერს და უხსნიან საიდუმლო შრეებს, რითაც უზენაესთან ზიარების შეუცნობელი რიტუალი იმართება. მ. ხეთაგურმა ადამიანის გარდასახვადი ასპექტები ბუნებრივად მოირგო და კოსმიურ ფოსტალიონად გამოგვეცხადა. მის პირთამდე ავსებულ საფოსტო ჩანთას აწერია: ზეციურიდან ამსოფლიურში. პოეტის სტრიქონები უზანაესი ჭეშმარიტების პირუთვნელ სიმართლეს ასხივებს.

მხილება ქრისტიანული ვალია, მზიასათვის კი სისხლხორცეული მორალი. ქვეყანას უგონობის სენი სჭირს. ცოდვათა სიმწვავე რომ გულღვიძლს ამოგვაცლის, მხოლოდ მაშინ ვწუხვართ და ვქოთქოთებთ, არადა, სათავეშივე რომ მოვაშთოთ, სწორად შევნიშნოთ და თუნდაც ბავშვის შეუცნობი ოინების მძიმე შედეგების მოსალოდნელი წარმოსახვა გონივრულად განვსაზღვროთ, რამდენად უცოდველი იქნებოდა სამყარო.

მისთვის მიუღებელ გარემოში მზია ხეთაგური მძაფრი სოციალური კონფლიქტების მიმართ თავის დამოკიდებულებას მწვავე სულიერი განწყობით ააშკარავებს: „მე შევიშალე“, – აცხადებს იგი და გამოხატავს ყველა იმათ პროტესტს, ვინაც უკმაყოფილოა საზოგადოების მორალური და ზნეობრივი ცხოვრების წესით.

ლექსში – „ჩინური პენტატონიკა“ ავტორი ავითარებს ფილოსოფიურ მსჯელობას. მისი პოეტური აზროვნების ჭრილში გადამუშავებული შეხედულება მიწიერთა ცოდვილი არსებობის გზაზე არქაული ბილიკებიდან იღებს სათავეს. ასე რომ, დროისა და სივრცის მიღმიეთიდან ამეტყველებულის ლოგიკა შეიძლება უცნაურადაც ხმოვანებდეს, მაგრამ სინამდვილე წარსულის დღიურებიდან ამოუკვეთ დაღად აზის თანამედროვე საზოგადოების ქცევას. ადამიანის მიმართება სოციალურ გარემოსთან ყველა დროში იგივეა, უბრალოდ იცვლება ფორმები განვითარების კვალად.

მზია ხეთაგურმა, იმისათვის, რომ კაცობრიული უკეთურების არქაული ფესვები გამოეხატა, მიზნობრივად მიმართა „პენტატონიკას“ (პენტატონიკა მუსიკალური აზროვნების ერთ-ერთი ადრინდელი საფეხურია. მრავალსაუკუნოვანი განვითარების პროცესში სპეციალური მცირე ტერციული ინტერ-

ვალების თანდათან შევსების გზით იგი მრავალი ხალხის მუსიკაში სრულ შვიდსაფეხურებიან ჰემიტონურ (ნახევარტონიან) კილოდ ჩამოყალიბდა. პენტატონიკა სუფთა სახით გავრცელებულია უმთავრესად აღმოსავლეთ ხალხთა მუსიკაში (ჩინელები, ვიეტნამელები,თათრები,ბაშკირები,ბურიატები,მაგრამ მისი ელემენტები გვხვდება მრავალი სხვა ხალხის არქაული წყობის მელოდიებშიც. ამ მუსიკალურ სისტემაში არ არის ნახევარი ტონი,რის გამოც მას არ ახასიათებს მძაფრი კილოური მიზიდულობანი).

მ. ხეთაგურის მუსიკალური პარალელი მიმზიდველი მხატვრული სვლა და ზუსტი მიგნებაა პოეტის სათქმელის არქაული ძირების გამოსახატად:

„მე შევიშალე –
როიალის კლავიატურას
ამოვაცალე საღი კბილები,
სამგლოვიარო განცხადების სევდიან ხაზებს
დაემსგავსნენ
გადარჩენილი შავი ბგერები“.

სტრიქონებში გამოხატული აზრის დინამიკა შედარების ფონზე მიზეზ-შედეგობრივია და პენტატონიკურ სისტემასთან ორგანულ კავშირს თანამედროვე ეპოქიდან ადრინდელ საფეხურებზე გადასწვდება, ამით პოეტი მხატვრულად განსაზღვრავს ადამიანური არასრულფასოვნების არქაულ სათავეს, მის მიმართ სულიერ (მგლოვიარე) განწყობას და, რამდენადაც „პენტატონიკას“ არ ახასიათებს კილოური მიზიდულობანი, არც ეს ლექსია მხოლოდ ქართული აქცენტის, ავტორი ზოგადკაცობრიულ განცდას გამოხატავს. „ჩინური პენტატონიკა“ სამგლოვიარე განაცხადია მსოფლიო საზოგადოებისათვის ადამიანთა თანდაყოლილი შეშლილობის გამო.

ამ ერთი როიალით, ერთი ლირიკული გმირით, ერთი ოთახით პოეტი კაცობრიული სამყაროს გულისთქმას მკაცრად აკონტროლებს. უკეთურ ზრახვათა ბრბოში საკუთარი „მე“-ს შერთვით ცოდვაგამრავლებული არ გაურბის ცოდვის აღიარებას,არ თაკილობს მხილებას და სწორედ ასეთი კრიტიკული მიდგომა განაპირობებს ლირიკული გმირის სამხელი სივრცის გაფართოებას.

დანაშაულების გადაფარვა, ღირსებების დაქვეითება, კონტრასტულ ურთიერთობათა ხელშეწყობა, პირადულის წინ წამოწევა და ეგოისტურ ვნებათა დაკმაყოფილება თანამედროვე საზოგადოების უმრავლესობისათვის თანამყოფი მუდმივაა. პოეტის აღიარება –

„მე შევიშალე –
ძურწა ბალახს ვუწოდე შვილი,
მერე მოვცელე უმწვანესი ლორთქო ბალახი
და ჩემს სიგიჟეს დავარქვი ვნება
და სიყვარული“...

სხვა არაფერია, თუ არადა შეშლილთა მოგონიერება და სინანული,თუმცა ვერც ნორმალურებად აღიარებულების საქციელი აკმაყოფილებს მზია ხეთაგურის ცნობის წადილს. თუ ადამიანი უგულებელყოფს ღირებულებებს და, მითუმეტეს, სახეს უცვლის მის არსს,რა თქმა უნდა,ანორმალურია იგი, ეს გასაგებია, პოეტს უფრო ის აინტერესებს, როგორ უნდა შევაფასოთ მათი დამოკიდებულება,ვინაც შეგნებულად თვალს ხუჭავს გარშემო ფეხმოკიდებულ ბოროტებაზე, პატარა ბიჭების უმწიფრობიდან დიდების უგუნურებით გასიგრძეგანებული ყოფის ბოროტეულ არსზე.

არა გიჟების, არა შეშლილების, არამედ ნორმალურების გულგრილობით უფრო შეშლილი გმინავს პოეტი:

„მაბოდებს
როიალი, კნუტი, ბიჭები, წყვილი აქლემი,
ბურატინო,
მკვდარი ბალახი...
თუმცა რაღა დროს... მე შევიშალე!“..

მზია ხეთაგურმა ის, რასაც თითქმის არ ვანიჭებთ მნიშვნელობას და, მითუმეტეს, არც რაიმე სახის დანაშაულთა ნუსხას მივაკუთვნებთ, ადამიანის ათასწლოვანი გონების ფსკერზე დალექილი აზროვნებიდან პოეტურ სამსჯავროზე გამოიტანა და საკუთარი სულიერი „მე“-ს მიწიერ ინტერპრეტაციაში გამოავლინა.

მოცემული სტრიქონი „უწყინარ ცოდვად“ მონათლულ ქმედებებში აღმოჩენილი მწარე რეალობის – უწყინარობის მოწყინარობის – განცდაა, აღმოჩენაა დამოუკიდებელ ნაბიჯებში ბოროტის შეპარვისა, დადუმებული, გაცივებული საზოგადოების უემოციო, გულგრილი დამოკიდებულებისა ადამიანის ზრდის პროცესში სხვადასხვა ეტაპზე გამოვლენილი შეუსაბამოებების მიმართ.

ბავშვთა „ძურწა სურვილებს,“ დინამიკურად განვითარებადს, მხცოვანების საფეხურამდე, მზია ხეთაგური ბედუკუღმართი აწმყოს ბოროტეულ სინდრომად მიიჩნევს. დიდაქტიკის ზნეობრივი უფლებამოსილებაც დარღვეულად წარმოუდგება –

„და ბოროტ ბიჭებს არ
ტუქსავენ უსასტიკესად...
რა ვუყოთ იმათ! თორემ მე ხომ,
მე... შევიშალე!“
ჯერ სწორი გზა უნდა დაინახო, რომ მიხვდე,

რამდენად გადაუხვიე მას. პოეტის შეწუხების დონე ზოგადი თავსატეხის მიმართ, სწორედაც რომ დასტურია ყოფითი საზრისების უნივერსალურთან შეჯერებისა,რაც პოეტის შინაგანი სამყაროს სრულ-ფასოვნებას გვაუწყებს და ავტორის სათქმელიც აშკარავდება: არ უნდა არსებობდეს შენთვის ჭირი თუ უბედურება მხოლოდ სხვაში დანახული ან სხვისთ-ვის გადამისამართებული – ვიღაცის ნამუხთლარმა პირად გრძნობათა ჭიდილით სულის სიღრმეში უნდა ჩააღწიოს და იქიდან ამოგახივლოს:

„მე... შევიშალე!“

„მე“-ეების სიმრავლე სამ წერტილში იმალება და ამ ნაცვალსახელით შემოსილი თითოეული სუბიექტის მონანიე სულის ერთობა წარმოაჩენს განსაცდელის სიმწვავეს. მზია ხეთაგურის მართალი ჭვრეტის პრიზმიდან დანახული რეალობა ანორ-მალობაა, მისი განმაპირობებელი სუბიექტი (ები) კი შეშლილია, რამდენადაც ამრევია (შემშლელია) ნორმალური აქტებისა.

„მე... შევიშალე“, „ჩინური პენტატონიკის“ რე-ფრენული მშვენებაა,მკითხველის ცნობიერებისათვის კი წარღვნა,რამეთუ დროა,ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას – ასე ფიქრობს პოეტი. ლექსის ცალკეული სტრიქონი ელვა-ქუხილით ანაწევრებს დაკონსერვე-ბულ აზროვნებას. მისტიკური განზომილებებიდან, პოეტის გენიალური აზროვნების შუამავლობით, არაცნობიერიდან ცნობიერში შემოდის უნივერსალ-ური ღირებულებების შეგნების აუცილებლობის გადაუდებელი მოთხოვნა. მზია ხეთაგური პირველი პირით, საკუთარი „მე“-თი, შეეჭიდა ადამიანის ცოდ-ვილიანი გენეტიკის ყოფითი დეტალების, თითქმის ცხოვრების შაბლონამდე დაყვანილი საქციელების ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიურ სიღრმეთა რთული მემკვიდრეობის ზოგადკაცობრიული დინამიკის ლე-ქსის ჩარჩოში გამომზეურებას.

პენტატონიკას პოეტმა სიმბოლური დატვირთვის სივრცე გაუფართოვა, ადამიანთა გენეტიკური მეხ-სიერების არქაულ ძირებში ჩათესილი ევა-ადამისეუ-ლი ცოდვის დღემდე განვითარებადი პროცესების დინამიკურობის რეალურ ტონალობაში აღსაქმელად. ამ ლექსის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ,პენტატონიკა შეიძლება არა მხოლოდ მუსიკალური, არამედ, მხ-ატვრული აზროვნების სივრცეშიც დამკვიდრდეს, როგორც მხატვრული ხერხი სხვადასხვა მოვლენათა მორალური ასპექტების დინამიკური განვითარების არქაული ძირების გამოსარკვევად.

პოეტური ინდივიდუალობით გამორჩეული მზია ხეთაგური,ყოფიერში მძაფრ შეჭიდებათა აზრობრივად დამხარისხებელი და მკაცრად განმსჯელია:

„რა ვუყოთ იმათ, თორემ მე ხომ,
მე შევიშალე!“

განუკითხაობის სევდა სტრიქონებშია ჩაფენილი, თან ისე კოხტად, რომ გარეგნულად ვერაფერს შეამჩნევ. მაინცდამაინც არ სწყალობს მხატვრულ ხერხებს პოეტი. არც სჭირდება ზედმეტი მოხატვა-მოჩუქურთმება, რადგანაც მის ბუნებრივ მდგომარეო-ბას რეალობის ისეთი სხივი აქანდაკებს სტრიქონებად, რომ ყველა მეტაფორა დაიჩოქებს მის წინაშე. პოეზია უნდა გავათავისუფლოთ სიყალბისგანო – ეს დევიზია ახალი საუკუნისა და, აჰა, შეუდარებელი ნიმუში, თუმც არა მხოლოდ ეს სტრიქონები, არამედ, მთელი შემოქმედება მ. ხეთაგურისა.

„მაგრამ რა ვუყო არაშეშლილებს?“ – ამ შეკითხვით მ. ხეთაგურის ცნობიერი განგებულება ანორმალობას ანიჭებს უპირატესობას, რამდენადაც მიაჩნია, რომ ჩვეულებრივი, მონოტონური ყოფა, ნორმალურს რომ განასახიერებს, სულაც არ არის მისაღები. დოგმატებად, წესებად და კანონებად ქცეული ცხოვრება ხშირად იძლევა ფატალურ შედე-გებს. მზიას პოეტური ფილოსოფია „შეშლილობის“ ასპექტში განჭვრეტას ურჩევს თანამედროვეთ და საკუთარი პრიზმიდან ღირებულებების გადაფასების შანსი უფრო რეალურ პერსპექტივად ესახება. ეს „შეშლილობა“ სულაც არ არის ფსიქიკური მდგო-მარეობა, ის ანორმალური აქტია ყოველი დიადიდან გადახვევის შესამეცნებლად, რამეთუ ნორმალურები ვერაფერს ამჩნევენ. ასეთ არალოგიკურ ლოგიკას ხშირად ამკვიდრებს პოეტი და ის უკიდურესობიდან თავდაღწევის შესაძლებლობად უნდა ჩაითვალოს გაუყალბებელი რეალობის ფონზე.

ნოდარ ჯაჯუაშვილი

„არც სიყვარული არ მაპატიეს, არც სიყვარულის ნიჭი“...

(პოეტი და ექიმი მერი – ბარნაბიშვილი)

მერი ბარნაბიშვილი და მერი ბიწაძე

ქ-ნ მერი ბარნაბიშვილს პირველად სიღნაღის რაიონული გაზეთის რედაქციაში შევხვდი, სადაც ახლად ინსტიტუტდამთავრებული სამუშაოდ მივედი. ერთ-ერთი განყოფილების უფროსი მედეა კოჭლამაზაშვილი იყო და მასთან მოდიოდა ხშირად. გაზეთს მაშინ, ასევე პოეტი და კულტურის სფეროს ქომაგი, ლერი ბეგიაშვილი ხელმძღვანელობდა. აქვე მუშაობდა გოგი კრაწაშვილიც, პროფესიით მუსიკოსი, მხატვარ დათო კრაწაშვილის მამაც. მაშინდელი გაზეთის რედაქციის სასურველი სტუმრები იყვნენ პოეტები: თენგიზ კრაწაშვილი და თენგიზ ბეჟაშვილი.

მეუღლესთან ერთად

ქ-ნი მერი სიღნაღის საავადმყოფოში მუშაობდა კარდიოლოგად. დილაობით, სანამ სამსახურში მივიდოდა, ჩვენთან, რედაქციაში შემოივლიდა, ახალ ლექსებს მოიტანდა, ახალ ამბებს ლიტერატურული ცხოვრებიდან და მერე სამსახურში გარბოდა. ძალზე უშუალო, თბილი, გულისხმიერი და სხვებისადმი ყურადღებიანი იყო. სისტემატურად ბეჭდავდა თავის ლექსებს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთის ფურცლებზე. ორი პოეტური კრებულის ავტორი პროფესიისაგან მოცალეობის ჟამს ლექსებს უბრუნდებოდა და არც საზოგადოებრივი ცხოვრება ავიწყდებოდა. გახლდათ რუსთაველის საზოგადოების სიღნაღის ორგანიზაციის ბიუროს წევრი და არა ერთი იდეა-პროექტის ავტორიც.

პოეტი სიღნაღთან ახლოს, მართლაც პოეტური სახელის მქონე სოფელ ნუკრიანში ცხოვრობდა, სადაც მშვენიერი ოჯახი ჰქონდა. მისი დედმამიშვილებიც პროფესიით ექიმები არიან: ეთერ და სოსო ბარნაბიშვილები. დასთან სტუმრობისას, ჯერ ჩემთან სახლში შემოივლიდა, საუბრობდა ყველაფერზე: ლიტერატურაზე, ახალ წიგნებზე, ადამიანებზე, მედიცინაზე. მერე ჩემს საგაზეთო პუბლიკაციებს მიუბრუნდებოდა-აუცილებლად თავი უნდა მოუყარო და გამოსცეო.

მის ლექსებში ფიქრთან, სინაზესთან, ბუნების მშვენიერებასთან და ამ ქვეყნის წარმავლობასთან გაშინაურეული პოეტი იკითხება, დიდი გრძნობითა და გულის გულში გატარებული სათქმელით:

„წუხელის დიდხანს არ დამეძინა,
ჩემს ფანჯრის მინას
აწყდებოდა პატარა წვეთი.
წუხელის ფიქრმა დიდიდხანს, დიდხანს
არ დამაძინა,
შენ შემჩიოდი, შენ ხმა გქონდა,
ხმა გულჩამწყვეტი,
არადა, აღარ გადიღო წვიმამ,
ხეთა ბუბუნი მოისმოდა ღამეულ ქუჩით,
აწვალა ქარმა ჩემს მინაზე პატარა წვეთი
და გახმიანდა ბევრჯერ, ბევრჯერ შენი ხმა ყურში,
შენ შემჩიოდი, შენ ხმა გქონდა,
ხმა გულჩამწყვეტი“.

თვითონაც, გულითა და სულით წრფელს, ადამიანებში სიწრფელე უყვარდა. ლექსებშიც ფერებად ლაგდება ეს სიწმინდე და სხვადასხვა პოეტურ განზომილებად აღიქმება:

„მაისი მოვა თეთრი ვარდებით
და ულამაზეს ზმანებებს ნახავ,
მაისი მოვა თეთრი ვარდებით
და მოგაწყურებს რაიმე ახალს.
მიგნება სხვისგან მიუგნებ გზათა,
იქნება ზუსტად ამ მაისს მოსდევს,
მაისი მოვა თეთრი ვარდებით
და მთელ ქვეყანას გაზაფხულს მოსდებს.
აუხდენ სიზმრებს აუხდენს ვინმეს,
ვინმეს აუხდენს აუხდენ ზრახვას,

ძმასთან - სოსო ბარნაბიშვილთან ერთად

მაისი მოვა თეთრი ვარდებით,
რაიმეს იტყვის უთუოდ ახალს".

ცალკე თემაა მერი ბარნაბიშვილის, როგორც ექიმის ურთიერთობა პაციენტებთან. არაერთი ადამიანი მინახავს, რომელთაც ანაზღაურების გარეშე მკურნალობდა. უფრო მეტიც, ღამე გაუტეხია პაციენტის გვერდით მჯდომარეს და ეს იმ დროს, როცა ესა თუ ის ოჯახი სიღნაღიდან 9-10 კმ-ის მაძილზე ცხოვრობდა სოფელში.

ალბათ ეს ლექსიც იმ უძილო, ფიქრით დაღლილი ღამეების დასტურად დაიწერა:

„გიკაკუნებენ უდროოდ კარებს,
სადღაც ვიღაცა მშველელად გელის,
შენ დაატარებ უძილო თვალებს
და უკვე ჩემგან არ ელი წერილს.
გიკაკუნებენ უდროოდ კარებს
და მოგაბეზრეს კინაღამ თავი.
ნეტავ ვიცოდე, ვინ შეიყვარე,
ვინ იცის შენი კარგი და ავი.
სახლში ყოველთვის ბრუნდები გვიან
და დაკეტილი გხვდება კარები.
შენ ახალბედა მკურნალი გქვია,
სულ გზათაუკან დაიარები.
შენ გზაზე ხშირად გაცილებს მთვარე,
სადღაც ვიღაცა იმედით გელის,
გიკაკუნებენ უდროოდ კარებს
და შემოგიტანს ვინმე ჩემს წერილს".

ყველასათვის მზრუნველს ცხოვრების მიზნად სხვათა დახმარება და ხელის გაწვდენა ჰქონდა მიზნად. მის სახლში ხშირად იმყოფებოდა მისი სტუდენტობის მეგობარი, კარდენახელი პოეტი ქალი მერი ბიწაძე, რომლის ულამაზესი, ტრაგიკული ჟღერადობის პოეზია სხვა თემაა, რომელმაც ვერანაირად ვერ გაარღვია მაშინ, პროვინციული და სხვადასხვა ჩინოვნიკთა ბარიერები და დარჩა ასე — საზოგადოებისათვის უცნობი და მისგან გარიყული. მერი ბარნაბიშვილი მატერიალურად და სულიერად გვერდში ედგა კარდენახელ კოლეგას და ამაოდ დაშვრა, გზა რომ გაეხსნა მისი ლექსებისათვის. მახსენდება მერი ბიწაძის ლექსი, მერი ბარნაბიშვილს რომ უძღვნა:

„სიბრძნის ქალღმერთის მშვიდი ღიმილით
სნეულთ სიცოცხლის საკმეველს უკმევ,
სიღნაღს ამაღლებ მზედ შენი ლექსით
და ნუკრიანში ამრავლებ ნუკრებს...
მე გარქმევ ნეტარს,
რადგან ქვეყანას
მისაგებელი მიაგე უკვე"...

პოეტი და ექიმი შენივთდა მასში. გარეგნულად ყურადღებიანი, მგონია, რომ ყოველთვის ატარებდა სულიერ ჭმუნვას და ეს ჭმუნვა თუ სევდა ხანდახან გარეგნულადაც ეტყობოდა. რა იყო ეს? დაუფასებლობა? არადა, ყველა აფასებდა! მიგებულის მიუგებლობა? ან იქნებ სხვა?..

„აქ გული ვერსად ვეღარ დავტიე,
ამიღეს თქმით და იჭვით,
არც სიყვარული არ მაპატიეს,
არც სიყვარულის ნიჭი.
ნუთუ ყველაფერს ტალახს ესვრიან,
არვისთვის არვინ იღწვის,
ყველასთვის ნახავ რამეს გესლიანს,
და შეურაცხყოფ იჭვით.
აქ გული ვერსად ვეღარ დავტიე,
ამიღეს თქმით და იჭვით,
არც სილამაზე არ მაპატიეს,
არც სილამაზის ნიჭი".

უკურნებელი სენით დაავადებული, მაინც არ ყრიდა ფარ-ხმალს. ბოლოს რუსთაველის გამზირზე შევხვდით ერთმანეთს. გურამიშვილის იუბილეზე მიიჩქაროდა. „შენთვისაც ვიშოვე მოსაწვევიო". ჩამქრალი და სევდიანი მეჩვენა. რომ გარდაიცვალა, მაშინ კახეთის დამოუკიდებელ რადიოში ვმუშაობდი და მისი გასვენების საათს პირდაპირი გადაცემა დავამთხვიე — „მზე მზის ასულებს მოუხმობს ზევით".

პოეტებს, მწერლებს, მხატვრებს, მუსიკოსებსა და მსახიობებს, ჩვენი მკაცრი რეალობის შვილებს, შეუძლიათ ნაწილობრივ მაინც შეცვალონ ეს უღიმღამო ყოფიერება თავიანთი გადამდები რწმენით, სულიერებითა და სიკეთით, დიდი სიყვარულის ნიჭითა და იმედით. სწორედ ამ ცნებათა ურთიერთობა და კავშირი ჰბადებს ზე მაღალ პიროვნულობას ამქვეყნად.

და, მერი ბარნაბიშვილის პოეზიიდან ერთ-ერთი ლამაზი ლექსით „სიზმარი" დავამთავრებ ამ გახსენებას:

„მე ვერცხლისფერი მუარი მეცვა
და დავფრინავდი ვარდების ზღვაში,
დაფნის გვირგვინებს მესროდა ზეცა
და ფიანდაზებს მიფენდა გზაში.
ატმები კრძალვით მართმევდნენ ხელსა,
ნუში ყვავილებს მიბნევდა თმაში,
მხრებზე ღუღუნა მტრედები მესვა,
კამარას კრავდნენ მტრედები ცაში,
მერე ციური გალობა მესმა,
კვნესოდა ერთი იმ ათას ხმაში.
მე ვერცხლისფერი მუარი მეცვა
და დავფრინავდი ვარდების ზღვაში".

თარგმანი

თამაზ თევდორაძე

სერგეი ესენინი

* * *

ტბაზე ამოიქარგა მკრთალი შუქი ცისკრის,
ფიჭვნარიდან ფრინველთა გლოვის ზარი ისმის.

გულსაკლავად ქვვითინებს მოლაღური ტევრში,
მე კი არ მეტირება, სიხარულით ფრთებს ვშლი!

ვიცი, შებინდებისას ამოივლი შარას,
თივის ზვინთან გავთელავთ ახალმოჭრილ ბალახს,

კოცნის ზღვაში ჩაგძირავ, ყვავილივით გაგსრეს,
გული ნეტარებისგან მეცხრე ცისკენ გასწევს!

აბრეშუმის თავსაფარს ჩამოიხსნი მყისვე,
ვნების ალით გათანგულს გაგიტაცებ ტყისკენ...

ჩიტებმა კი უმატონ გლოვასა და ტირილს,
სევდაც მხიარულია ამ ჯადოსნურ დილის!

1910

СЕРГЕЙ ЕСЕНИН

* * *

Выткался на озере алый свет зари.
На бору со звонами плачут глухари.

Плачет где-то иволга, схоронясь в дупло.
Только мне не плачется – на душе светло.

Знаю, выйдешь к вечеру за кольцо дорог,
Сядем в копны свежие под соседний стог.

Зацелую допьяна, изомну, как цвет,
Хмельному от радости пересуду нет.

Ты сама под ласками сбросишь шёлк фаты,
Унесу я пьяную до утра в кусты.

И пускай со звонами плачут глухари.
Есть тоска весёлая в алостях зари.

1910

ალეკო ბელთაძე

მამულში დაბრუნების ნატვრით...

მომეტებული სიდინჯე და ფეთქებადი ემოციურობა მისი პიროვნების განუყრელი თანმხლებნი არიან. ღიმილს იშვიათად მასპინძლობს. სევდიანი და მოფიქრალი სიარული მისი სტილია. 22 წლის იყო, პირველი გაკვეთილი რომ ჩაატარა ისტორიასამართალში. ქუთაისის მე-7 საშუალო სკოლიდან დაიწყო პედაგოგიური საქმიანობა. მერე იყო და ქალაქის განათლების სამმართველო, ისტორიული პირველი საშუალო სკოლა, ბოლოს მისივე მცდელობით და ინიციატივით აღდგენილი ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, რომელსაც 10 წელი თავკაცობდა.

ყველა მის ნამოწაფართა და კურსდამთავრებულთა კუმირი იყო და ეს სიყვარული მისადმი დღესაც არ განელებიათ. აკი, კიდეც წერდა თავის მოსწავლეებზე:

„არ არის საჯელი თქვენ გარდა,
რომელსაც მომივლენს განგება“.

ლექსისთვის არასოდეს უღალატია. ლირიკა და სამშობლოსადმი სიყვარული მისი პოეზიისა და ცხოვრების განუყრელი თანამდევია.

„მამაც გტოვებს, დედაც გტოვებს.
ებარები სიმარტოვეს.
ოქროა თუ ვერცხლებია.
პანტა-პუნტით გეცლებიან.
სიცოცხლეში და სიკვდილში,
რაც არ გტოვებს, ლექსებია“.

ლექსისადმი უსაზღვრო სიყვარულმა აპოვნინა გზა მკითხველისა და მისი პოეზიის თაყვანისმცემელთა სულიერი სამყაროსაკენ. მორიდებული, თავმდაბალი და უპრეტენზიოა ყოველთვის და ყველაფრის მიმართ. სასტიკი და დაუნდობელია მხოლოდ მამულის ხელმყოფთა მიმართ.

„იკორთის ლიბოს ასპიტი ლოკავს,
კუმურდოს გუმბათს ყორნები ფხოჭნის,
ეს ცბიერება, თუ დღეს ვერ მოკლავს,
ხვალ მამულს მაინც მარჯვენას მოსჭრის“.

ალეკო ბელთაძე 15 წელია ემიგრაციაში ცხოვრობს და მისი ფიქრის ყოველი წუთი მამულში დაბრუნების ნატვრადაა ქცეული.

„ნატვრებს წვეთებად ვიპკურებ,
ძილს მიფრთხობს თავსასთუმალი,
მე გხედავთ, თქვენ ვერ მიყურებთ,
ნეტავ, რომელს გვსჯის უფალი“.

რატომ მეგონა

რატომ მეგონა, ხიბლი ჰქონდა
იმერულ მგზავრულს.
შეღამებისას ორღობეში
ამოვლილ მარხილს.
ჭკვიანის დუმილს,
გიჟის ჯირითს,
უვიცის ხმაურს,
ტაშს დაუკრავდა –
პეტრიწის და იბერის ხალხი.
რატომ მეგონა მიშტერებულს
სიკვდილს თვალებში,
მტრობით აღგვილის,
სიყვარულით მწადდა შენება;
კარგამოკეტილ სოფლებსა
და ძველ ქალაქებში,
ქართველის მოდგმას
არ ეწერა გადაშენება.
აღარც იმედი,
აღარც რწმენა,
აღარც ნუგეში,
დამხობილია შავ კუბოსთან
თეთრი იღბალი,
ასეთი ცოდვა რა ტრიალებს
ამ ღვთის უბეში,
რომ დასისინებს.
დასისინებს შეუნიღბავი.
მარჩიელივით გაცრეცილებს
გავიშლი კარტებს,
შენამდე თურმე – რა გრძელი გზა
ყოფილა, ღმერთო,
ყველა ქართველი მართლა სულელს
მეგონა დანტე,
გულში რომ გულში,
სიყვარულის ხანძარი ენთო.

იმათაც ხომ არ დაუძმაკაცდა

ბევრჯერ დაფასდა და გადაფასდა,
ტინგიცობებმა გამასავათა.
დღეს, არაგველთან, მივალ სამასთან,
სხვა გზა არა მაქვს, მივალ ცხრა ძმასთან.
ვისაც შემორჩათ სული სუფთანი,
ვინც მამულისთვის დღემდე არ გაცვდა,
ვკითხო შაჰი და ვკითხო სულთანი,
იმათაც ხომ არ დაუძმაკაცდა?!

სულის რეკვიემი

ამგვარი გრძნობა არ მაზიარებს,
ისე მიცქერის, რომ ვითვალები,
ჩინი წაერთვა დღეებს მზიანებს,
და ღიად რჩება ღამეს თვალები.
მზერას ვაწვდენ და მაინც ვერ მოჩანს,
აქ ჩაუყრიათ ნერგი სხვა თუთის,
შემეცოდება, ვისაც შემორჩა,
გული სათნო და სული სათუთი.
ვით აღასრულოს კაცმა მისია,
ანდა ალაგმოს ასე თარეში,
როცა ყიდულობს ქისა ნისიად
სიცოცხლეს – დარჩე მუდამ ვალებში.
სული ხან ბრგე და ხან მოფახფახე,
ვერსად ვერაფრით ვერ დავასახლე,
და სიყვარულის ლამაზ ქოხმახებს,
ელანდებიან ცოდვის სასახლედ.
დროს – თავწაკვეთილს, როგორც ლახანას,
მრუშს, გაქნილსა და გამტყვრალ-გალეშილს,
ცბიერს, ურჯულოს და სალახანას,
ტახტი უდგიათ სიალალეში.

ქ ა ლ ი

ნუ მოინდომებ,
ჰგავდე ჰეროდეს.
ანდა სამოსი – გეცვას მისანის,
ოღონდ გიყვარდეს,
ოღონდ გჯეროდეს,
სწორედ ისეთის,
როგორც ის არის.
არ გამოსცადო,
არცერთ საცდურით,
თუ სამოთხედ აქვს,
შენი აული,
არ აუწონო,
რამ დიაცური,
შენი სასწორით
და სარწყაულით.
...წავა, წაიღებს სულს
და კაკალ გულს,
და ნუ იფიქრებ,
სულ რომ ენთება,
ვაი, ვინც კარგავს,
თორემ დაკარგულს,
ვინმე, უთუოდ შ ე ე ფ ე თ ე ბ ა.

ბროწეულები

ორღობეებში გადმორწეულებს,
ჩამწკრივებულებს თანმიყოლებით,
ვისი სცხვენიათ ამ ბროწეულებს,
რომ შეფაკვლიათ ასე ლოყები.
იქნებ დაცალეს ღვინის ამფორა,
ან დევკაცებმა მოსდეს ტორები,
იქნება, მართლა, მზე ეამბორათ,
და გაუვრცელა მთვარემ ჭორები.
ო, ეს ცბიერი ყველა დროება,
ვისთვის ადრეა, ვისთვის გვიანი,
რა ხალასია უმანკოება
და რა ბოროტი ადამიანი.

თეთრი სარაფანი

ედევნებოდნენ მას გახელებით,
აშოლტილიყო, როგორც ლაფანი.
ალალ გულით და სუფთა ხელებით,
დაჰფოფინობდა თეთრ სარაფანით.
არ აწუხებდა, დარდი მისხალი,
არც შეფარვითი ჰქონდა უნია,
ბეჭთან მოშავო უჩანდა ხალი,
და, ეს იცოდა მთელმა დუნიამ.
უყვარდა ყველას, ბლუს და ონავარს,
გრძნობებს უყრიდნენ, როგორც ქვირითი,
ზედ არ უცქერდა, მის მონაპოვარს –
ერქვა ლექსი და ლექსში ჯირითი.
ყველა პრინცისთვის ჩახურა ფარდა,
და გამოკეტა კოშკში ხალისი,
მაგრამ, როდესაც მას შეუყვარდა,
მაშინ, მოუწყვეს აპოკალიფსი.
და მისი ცოდვით, მიწაც იწვოდა,
თუმც, მოთმინება ჰქონდა იობის,
მიზეზი, დიდხანს, არც მან იცოდა,
ამ სიყვარულის არ პატიობის.
ეგუებოდა იღბალს ეკლიანს,
ქცეულს გალიად, სახლს და ლაფაროს,
და ყველაფერში რომ გაერკვია,
ის ქალი იყო უსარაფანო.
ო, დიდხანს, დიდხანს ემახსოვრება,
მას ეს ცრემლები და საკმეველი,
ვის შესამჩნევი ერგო ცხოვრება
და სიყვარული შეუმჩნეველი.

მგლები ფარეხთან გვიყმუის

ყაბულს ვართ სხვის ნასუფრალით,
სხვისას არ ვწუნობთ დუქანსა,
როგორც ჩვენ გვიყვარს უფალი,
ისე ვუყვარვართ უფალსაც.
ერთმანეთში ვერ გავარჩევ,
მჭლეს, უხორცოს და მსუქანსა,
რაც ერთს სჭირს, ის სჭირს დანარჩენ
ჩვენნაირ ჭირისუფალსაც.
ისეთ შარბათით დაგვათვრეს,
ცეცხლსაც ვერ ვუნთებთ ბუხარსა,
კარიდან – კარზე დავათრევთ,
ძღინკებგამოკრულ ფუთასა.
საფლავებს ვბილწავთ ცხრა ძმისას,
ცრემლსაც ვერ ვაღვრით მდუღარსა,
ვერც გზას ვადგივართ ტაძრისას,
ვერც ბედს ვცვლით სულის მხუთავსა.
მგლები ფარეხთან გვიყმუის,
ჟანგი სჭამს თოფს და გუთანსა,
როდემდე გინდა ქართველო,
უცქერდე აბლაბუდასა.
თავი მოქიშტე სიცრუის,
ზურგზე მოდებულ გუდასა.
მამულს მოუკვდი, მიუხვალ
გმირად შხარას და გუდანსა.

დუმილის სამრეკლო

ბეწვი თუ ერთხელ არ აგბურგძვნია,
ვერ მიუხვდები სევდას ბარაკონს,
გული რას ფიქრობს, სად შეუძლია,
ენას – მასზე რომ ილაპარაკოს,
უნდა ფარულად მუდამ ომობდე,
როგორც მაჭართან ომობს ჭურები,
სანდო, თვალებიც არა ბოლომდე,
იყიდებიან ჩაპაჭუნებით.
ბევრი წამომცდა, ისევ ბევრს ვნატრობ,
და რომ არ ავყვე – ზღაპრებს, არაკებს,
მაინც, დუმილი მგონია მარტო,
ყველაზე დიდი მოლაპარაკე.

დაჟანგულ ზანდუკში იხილეთ

ჯავრებში ყელამდე ვეფლობი,
სასახლეს უღრენენ ქოხები.
ნამეწყრალს ჩამოჰგავს სოფლები,
ერთბაშად სულ მონაოხრები.
მითხარით, ვინ ვერ იმყოფინა,
სიძველის აქ სიგელ-გუჯრები,
თითქოსდა არასდროს ყოფილან,
ნაუჯარმ-ნახორნაბუჯები.
გრძელდება შამათის შახმატი,
ჯირგალობს სიცრუის გოდრები,
სიმაღლეს სწუნობენ ხახმატის,
სულით და სხეულით ქონდრები.
ღელვებში ცხრებიან ომები,
და როგორც გაქნილი მოლარე,
ბანკები ითვლიან მოგებით
მობოჭილ, მოპარულ დოლარებს.
მადლი სულ ყველაფერს გასცლია,
ყოველგან ცოდვები პარპაშებს,
მამულის ჩოხები აცვიათ
უცხოს და შინაურ დამქაშებს.
მობეზრდა მთვარესაც კაშკაში,
და მკვდარი დუმილი აწვალებს
სატევარჩაჟანგულ ქარქაშებს,
მცხეთის და გელათის საძვალეს.
ბრძოლებით ანთებულ მხედართა,
სიმუნჯე სიშმაგეს მიმატებს,
ვბანცალებ საკუთარ ცხედართან,
ხელს მართმევს ასობით პილატე.
ხმაური ვერაფრით დავძარი,
ცოდვილად ირაცხის მართლები,
ყრუ არის მაცხოვრის ტაძარი,
ხატებთან ბჟუტავენ სანთლები.
ჩაბარდა უხილავს ნისიად,
ხელ-ფეხზე დაიდგა ხირაგი,
აღარ აქვს საქვეყნო მისია,
გაბერწდა ქართული ჯილაგი,
გვაკმარეს, რაც დღემდე ვილხინეთ,
დასრულდა აღქმული წანწალი,
დაჟანგულ ზანდუკში იხილეთ,
ქვეყანა ცხრა ძმის და წაწალის.

ქოსტონარი



„ერთი ძაფი მეც ვიქნები საუკუნო ქსოვაში“...

ბეგი მამალაძე – 18 წლის თბილისელი ბიჭი, რომელმაც თავისი ლექსებით, მოთხრობებით, სიმღერებით და ნახატებით უზარმაზარი სიყვარული მოიპოვა ახალგაზრდებს შორის.

3 წლის წინ, 25 მაისს, ბეგი სასტიკი მკვლელობის მსხვერპლი გახდა. ადამიანის ცხოვრება ალბათ იმით იზომება და ფასდება, რას დატოვებს გარდაცვალების შემდეგ. ბეგიმ საკმაოდ ბევრი მოასწრო. სოციალურ ქსელში მისი სიმღერები ძალიან პოპულარულია, მილიონობით ნახვა აქვს ბეგის სიმღერებს და საქართველოს თითქმის ყოველ კუთხეში ახალგაზრდები მღერიან მის რეპებს. წელს უკვე მესამედ გაიმართა „ბეგის კვირეული“, რომელიც მის ხსოვნას ეძღვნებოდა.

2016-2017 წლებში, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს თანადგომით, ორჯერ გაიმართა ქალაქის მოსწავლეთა გარბენი დევიზით: „არა ძალადობას!“ გამარჯვებულებს გადაეცათ ბეგი მამალაძის სახელობის თასი.

ყოველ წელს, კვირეულის ფარგლებში, იმართება კლასიკური მუსიკის საღამო ბეგის მეგობრების მონაწილეობით. კურორტ ბახმაროში გაიხსნა ბეგის სახელობის ბიბლიოთეკა, რომელსაც ზაფხულში მრავალი დამსვენებელი სტუმრობს. რამდენიმე სკოლაში გაიმართა ბეგის მოთხრობების განხილვა. ნატოს და ევროკავშირის ცენტრში 151-ე საჯარო სკოლის მე-9 კლასელებმა წაიკითხეს მისი მინიატურები, ლექსები, შეასრულეს ბეგის სიმღერები. გასულ წელს ბეგის ფონდის სახელით ჩატარდა საქველმოქმედო აქციები და შემოსული თანხა გადაირიცხა ნ. ხომასურიძის ფილმ „ექვთიმე ღვთისკაცის“ ფონდში.

2018 წლის 26 მარტს, მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში ქართული ენის და ლიტ-ერატურის მიმართულების წრის მოსწავლეებმა გაიხსენეს ბეგი. წაიკითხეს მისი მოთხრობები და საკუთარი ესეებით გამოხატეს თავიანთი დამოკიდებულება ნიჭიერი ახალგაზრდა მწერლის მიმართ. ბეგის შემოქმედებაზე ისაუბრეს წრის პედაგოგებმა: ნინო სალიამ და ნელი ნიკურაძემ. ეროვნული სასახლის სახელით ბეგი მამალაძის დედას გადაეცა სამახსოვრო ალბომი, რომელშიც იმავე დღეს გაჩნდა პირველი ჩანაწერები:

„ჩემო ნიჭიერო, ნათელო ბიჭო, წვიმად მოხვედი და ყველას გულში დარჩი. ჩვენც გვინდა იმ ლამაზ საქართველოში, შენ რომ აღმოაჩინე. იმედია, შენი თაობა ასეთ საქართველოში იცხოვრებს და შენც მათთან ერთად“. – მარინა აბულაძე.

„ბეგი, ჩემი წვიმის ბიჭუნა... შენ გაგვაერთიანე ძალიან ბევრი ადამიანი, ძალიან მიყვარხარ და მენატრები“, – ნინი ჯინორიძე.

„იმედით ენთება ცა“, – ასე ჰქვია სიმღერას, რომელსაც სამყაროს ჰიმნი ვუწოდეთ. ის სიყვარულს, ერთგულებას, მეგობრობას, ყველაფერ იმას უმღერის, რაც შენთვის ძვირფასია, რასაც შენი შემოქმედება გამოხატავს. სამყაროს ჰიმნს ერთად ვასრულებთ მე, შენ და შენი საყვარელი სტუდიის – „ლურჯა ცხენების“ მოსწავლეები. ბეგი, ჩვენ სულ ერთად ვიქნები. გვიყვარხარ“, – ნანა ბალახაშვილი.

25 მაისს, ბეგის გარდაცვალების დღეს, მესამედ დაიწყო უკვე ტრადიციად ქცეული „ბეგის კვირეული“. ნიკოლოზ ბარათაშვილის სახლ-მუზეუმში ბეგის ფონდის ორგანიზებით ახალგაზრდა პოეტებმა (გიორგი არაბული, ოთო ფალიანი, გური დავითლიძე, თაკო კერესელიძე) გაიხსენეს გარდაცვლილი ახალგაზრდა პოეტები: დათა გულუა, ოთო გურგენაშვილი, ბექა მარგიშვილი, ირაკლი ჭინჭარაული, თეონა ქუმსიაშვილი, ირაკლი კოსტავა, ბეგი მამალაძე. მათი შემოქმედების შესახებ საინტერესოდ ისაუბრა ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა – თამარელა წოწორიამ.

ბეგის ფონდის ინიციატივით დამსწრე საზოგადოებასთან ერთად გადაწყდა, რომ ყოველი წლის 25 მაისს გაიმართოს მსგავსი ღონისძიება. 26 მაისს, მერაბ კოსტავას სახლ-მუზეუმში, ბეგის მეგობრების მონაწილეობით ჩატარდა კლასიკური მუსიკის კონცერტი. დაიბადა იდეა, ყოველ წელს გაიმართოს მერაბ კოსტავას სახელობის ქართული კლასიკური მუსიკის ფესტივალი მოზარდებს შორის.

დღეს ამ გულგაციებულ საზოგადოებაში ძნელია, მწერალმა, პოეტმა თავისი შემოქმედებით ადამიანების გულებში შეაღწიოს. ბეგიმ თავისი ლექსებით, სიმღერებით, მოთხრობებით უამრავი ადამიანი გააერთიანა საკუთარი სახელის ირგვლივ, მან შეძლო და თავისი სათქმელი მიიტანა ახალგაზრდებამდე, გულები გაუთბო და სიყვარულით შეკრა ისინი. ბეგიმ თქვა: „ერთი ძაფი მეც ვიქნები საუკუნო ქსოვაში“, – თქვა და შეასრულა. ნათელი მის სულს.

გთავაზობთ ბეგი მამალაძის ერთ ლექსს მომავალი კრებულიდან.

ბეგი მამალაძე



თქვენ ხართ ხალხი

თქვენ ხართ ხალხი,

რომელიც რომ არ განიცდის სიყვარულს.
გებრალებათ სხვები,

თვითონ იმსახურებთ სიბრალულს.
ბორკილები დაგიდიათ სხვისთვის,

თვითონ მიჯაჭვულს,
არც ეძებთ თავისუფლებას

თქვენ სვე სულში მიმალულს.

ისევე ვერ მოიშალეთ სიწმინდეზე თამაში,
სიმართლესაც ვერ პოულობთ,

თან ბერდებით კამათში.
ღმერთი მინდა ვიპოვო

და ვერ ვიპოვე ამათში,
ქვიშის ნამცეციც ვერ ვნახე

ვითომ ქვიშის საათში.
ისევ ისე გეზარებათ

თქვენი ლოდის ტარება
უკუღმა დაგიჭერიათ

ეგ თქვენი სახარება
დანაშაულს სჩადიხართ

და არ გსურთ აღიარება
ისევე ვერ მოიშალეთ

სხვაზე გადაბრალება.
გული სულ მთლად გაგიშშდათ,

თვალზე ცრემლი დაგიდით,
მრუშობას კი გმობდით,

მაგრამ თვალი მაინც გაგირბით.
სხვაზე ნურას ლაპარაკობთ,

თქვენ თქვენს თავზე რას იტყვით?!
ქრისტე კვლავ რომ დაიბადოს,

ალბათ ისევ გაყიდით!
განსხვავებულს შეშლილებად

და გიჟებად აკურთხებთ.
თქვენ თუ ნერწყვი მოგდგომიათ,

სხვას სულში ნუ აფურთხებთ.
გულთან არაფერი მიგაქვთ,

არაფერი გაწუხებთ,
პატარა სიმართლესაც კი

ტყუილებით ასუქებთ.
თქვენ ხართ ხალხი,

რომელიც რომ არ განიცდის სიყვარულს..
ცხვირწინ გიდევთ ეგ გრძნობა

და თქვენ დაეძებთ მიკარგულს.

ლექსიოლი

ბიოხბი უეხთაშვილი

მოდის ნისლი, მოდის წვიმა

მოდის ნისლი, მოდის წვიმა...
და მე ყველაფერი მტკივა!
მოდის თოვლი, ბარდნის ცაზე,
მე ვიწვი მხოლოდ შენს ხმაზე.

შენი სახე მუდამ მათბობს,
ფიქრი, დარდი მუდამ მახრჩობს,
ჩემი გული შენს თავს ნატრობს,
შენს თავს ვერა, ვერ თმობს, არ თმობს.

ანგელოზი შენ ხარ ერთი,
ამ ცხოვრების ერთი ღმერთი,
სიყვარული ერთადერთი...
შენზე ფიქრებს ვეღარ, ვერ ვთვლი.

შენ ხარ ერთი მშვენიერი,
და შენით ვარ ბედნიერი,
სხვა არ არის მიწიერი,
შენნაირი ღვთისნიერი.

მიყვარხარ და მენატრები,
შენგან ვერა ვერ გავქრები,
მე შენ გნატრობ გამუდმებით,
გული მიძგერს მზარდ მუხტებით.

შენ ხარ მხოლოდ ჩემი მარსი,
შენთვის ვცოცხლობ წელი ასი,
ეს გრძნობები არ არს ფარსი,
ერთ დარდს კვლავ მოჰყვება დასი.

პირველ მუზას

ერთადერთი ხარ, ვინც ამ მიწაზე
სიყვარულით მე მადარდიანებს!
ერთადერთი ხარ, ვინც სიყვარულზე
ალბათ ხანდახან მაფიქრიანებს...

ალბათ შენ ფიქრობ, აღარ ვუყვარვარ
და რატომ მიძღვნის ლექსებს მდინარედ?!
იცი? მე გეტყვი, აღარ მიყვარხარ,
მაგრამ შენ ჩემში მუდამ ბრჭყვიალებ.

რომ მახსენდება მე ის დღეები,
არ მასვენებდა შენზე ფიქრები,
ვოცნებობ ხოლმე მე იმ წუთებზე,
როცა შენ გწერდი ლამაზ გრძნობებზე.

იცი, როდესაც შენზე ვფიქრობდი,
იქ, ჩემ გარშემო, ყველა ქრებოდა,
ვიყავი ჩემთვის და დავდიოდი...
და მე მაშინ ხომ ყველა მტკიოდა.

ალბათ შენ მაშინ სულ იცინოდი,
ალბათ მაშინ შენ ძლიერ ბრაზობდი,
შენზე პატარამ როგორ გითხარი,
ასე ძალიან რომ შემიყვარდი.

ჩემს ბოლო სიყვარულს და მუზას

გარეთ წვიმაა, ნისლი, ქარია,
მაგრამ მე ერთი რამ მიხარია,
შენი დანახვა თუნდაც წვიმაში,
უბრალოდ შეხვალ ისტორიაში.

უბრალოდ შეხვალ ისტორიაში,
როგორც ყველაზე ლამაზი ქალი,
მე კი ვიქნები შენთან წვიმაში,
მაგ სილამაზით მე კიდევ მთვრალი.

შენ გვერდით ყოფნა – ედემის ბაღი,
შენ ხომ ხარ ჩემი სიცოცხლის თაღი,
შენთვის ლექსები კი – სისხლის კვალი,
ჩემი გულის და გრძნობების ალი.

* * *

ქ არი უბერავს, ანგრევს ყველაფერს,
ე სხმის თავს ყველას, ყველას, ყველა ერს,
თ ითქოს ახლა შლის ის ჩემს ყველა ფერს,
ე რთს ის ვერ წაშლის, მხოლოდ ჩემს ნაფერს!
ვ იცი, არ მოგწონს ეს სიყვარული,
ა ხლაც მთვრალი ვარ, თან არეული,
ნ უ მიწყენ, თუ მაქვს გრძნობა ეული...

კ არს ვერ გაარღვევს ვერვინ შენ გარდა,
ა მ სიყვარულს აქვს თვისი ბალადა,
კ არს ვერ გაარღვევს, ვინც მე მიყვარდა,
ა ხლა შენ დგახარ, შენ მის ფარადა!
უ ფსკრულის პირად ვდგავარ მყარადა.
რ ომელ სიყვარულს აქვს მეტი ძალა?!
ი ცი, ამ გრძნობამ უკვე დამცალა,
ძ ილს მივეცემი... სანამ აქ არ ხარ...
ე რთადერთს გეტყვი, მე შენ მიყვარხარ!

ორი ვარსკვლავი მთვარიან ცაზე

ორ ვარსკვლავს ვხედავ მთვარიან ცაზე,
მე კი კვლავ ვდგავარ თოვლიან მთაზე,
მე გადავედი შავ ღვინის სმაზე,
და მე გავლოთდი ამ გრძნობის გზაზე.

ორნი ვარსკვლავნი – ერთურთისაგან ძალიან შორს,
სულ იმ მანძილით, რაც ჩვენ გვაშორებს, ახლა ჩვენ ორს,
მე შენ მიყვარხარ, შორიდან გეტრფი და თან ვსვამ რომს,
ეს სიყვარული ბრძოლას კი არა, უფრო ჰგავს ომს.

ის ვარსკვლავები ჩვენ ძლიერ გვგვანან,
არ ერთდებიან, ცალ-ცალკე ჩანან,
მე შენს გრძნობებში რა არს, არ ვიცი,
ჩემი ღმერთი ხარ, მასზე მაქვს ფიცი.

ამ სიბნელეში შენ ხარ მნათობი,
და ამ გრძნობების ერთი გამთბობი,
მე შენზე ვფიქრობ ამ შუაღამეს,
და შორს გავცქერი ვარსკვლავებს, მთვარეს.

ნანა ბარამიძე – სწავლობდა ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკის ფაკულტეტზე. მერე სოციალური თერაპიის სახლში სამწლიანი ბაზისური კურსი გაიარა და დღემდე იქ სოციალ-თერაპევტად მუშაობს. ასევე, სტამბის დიზაინერ-დამკაბადონებელია.

სოციალური თერაპიის სახლში დასაქმებულ შშმ პირებთან ერთად ულამაზეს კონვერტებს, ბლოკნოტებს, წიგნის სანიშნეებს აკეთებენ. ქმნიან ყვავილის ქოთნებს, სასანთლეებს, სანათურებს. გაზეთებისგან წნავენ კალათებს, საპურეებს.

ამ ქაღალდის დაბლენდერებით ახალ ულამაზეს ფურცლებს ქმნიან, მათ აფორმებენ თავიანთი ბაღის მცენარეებით.

„მთავარია, ყოველი დღის მადლიერი იყო“...

– 10 წლის ვიყავი, დედა რომ გარდამეცვალა. დავრჩით მამა, ჩემი და და მე. მამა ძალიან მკაცრად და თბილად გვექცეოდა. მისი ერთი სიტყვა, გადმოხედვა საკმარისი იყო ჩემთვის და ჩემი დისთვის. თუმცა ისეთი თბილი და მოსიყვარულე იყო და დღეს – კიდევ უფრო მეტად (ეტყობა, ასაკმაც იმოქმედა), რომ შეიძლება ბევრს გაუკვირდეს.

ოცი წლის ვიყავი, მეორედ რომ დაქორწინდა. მაგრამ ეს ნაბიჯი ჩემი და ჩემი დის სურვილის გარეშე არ გადაუდგამს. ჩვენ, რა თქმა უნდა, დავთანხმდით. ახალგაზრდა იყო, რატომ უნდა ეცხოვრა მარტოობაში. დღემდე დაქალებივით ვართ დედინაცვალთან. მე და ჩემს დას ძმა შეგვემატა. ახლა უკვე ოცი წლისაა. საამაყო და უთბილესი ადამიანია.

ბავშვობა არ მენატრება, მახსენდება უდედობა, უშუქობა, სიბნელე, სიცივე. პიროვნულადაც ჩაკეტილი, მორცხვი, გაუბედავი და უთქმელი ვიყავი. სკოლის პერიოდში საკუთარი აზრის გამოხატვა არ შემეძლო. გაკვეთილზე ხელის აწევაც მერიდებოდა.

ძალიან მიყვარდა მუსიკა, თუ ვინმეს არ ველაპარაკები, გულში სულ რაღაც მელოდიას ვღიღინებ. ბავშვობიდან ასე ვარ. ვიოლინოზე დავდიოდი, მაგრამ ვერ გამოვიდა ჩემგან მუსიკოსი. ჭადრაკზეც დავიდოდი. ძალიან მიყვარდა ჩემი ჭადრაკის მასწავლებელი, ყოველ გაკვეთილზე პეჩენიას ვაძლევდი. მეგონა, მთელი დღე გაკვეთილებს რომ ატარებდა, შიოდა.

უნივერსიტეტში გარდატეხა მოხდა. დიდი როლი შეასრულა ჩემმა კურსელმა, რომელიც ახლა ჩემი მეჯვარეა. ის ჰარმონიული, ლაღი, ერთგული ადამიანი იყო. თავისთავად შევიცვალე. დიდ ძალისხმევა არც ჩაუდია. უბრალოდ ჩემთან მეგობრობდა. მის გვერდით მე შევძელი, ჩემი თავი გარემოსთვის მეჩვენებინა, როგორიც ვიყავი სინამდვილეში, რა მიხაროდა, რას ვფიქრობდი, რა შეხედულებები მქონდა. ეს იმას ჰგავდა, ჩიტი რომ გალიიდან გამოფრინდება. ძალიან სასიამოვნო იყო. გარემოსგანაც დიდი სიყვარული, დაფასება, სითბო წამოვიდა. ცხოვრება უფრო ლამაზი და საინტერესო გახდა.

– სოციალური თერაპიის სახლში მუშაობთ სოციალ-თერაპევტად და სტამბის დიზაინერ-დამკაბადონებლად...

– 17 წლის წინ სოციალ-თერაპიაში მოვედი, როგორც სემინარისტი. გავიარე 3-წლიანი ბაზისური კურსი სოციალ თერაპიაში. მეორე დიდი გარდატეხა მოხდა ჩემს ცხოვრებაში. ყველაფერს სხვა თვალით შევხედე. ძალიან ბევრ საკითხს მოიცავს ეს კურსი, მაგრამ ყველაზე უმთავრესი ჩემთვის ის იყო, რომ აღმოვაჩინე – ყველა და ყველაფერი მნიშვნელოვანია, დასაფასებელია. ყველას და ყველაფერს თავისი ფუნქცია აქვს. ამჟამადაც არსებობს ეს კურსი. მიხარია, რომ თითქმის ყველა სტუდენტი იგივე აღფრთოვანებით გამოხატავს თავის შთაბეჭდილებებს.

– რამდენი ბენეფიციარი ჰყავს სახლს დღეს და როგორ ზრუნავს ის განვითარების შეფერხების მქონე ახალგაზრდებისა და ზრდასრულების ინდივიდუალურ განვითარებაზე, სოციალურ ინტეგრაციაზე?

– სოციალური თერაპიის სახლი 1990 წელს დაარსდა და 50 განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ადამიანს ემსახურება, რომლებიც ჩართულები არიან სხვადასხვა შრომით საქმიანობაში. ქმნიან ორიგინალურ, ხელნაკეთ პროდუქციას, რაც დიდი მოწონებით სარგებლობს. ვაწყობთ სხვადასხვა კულ-

ნანა ბარამიძე და გია გაგანაშვილი შვილებთან ერთად

ტურულ ღონისძიებას, დავდივართ ექსკურსიებზე, გამოფენებზე. თითოეული წვრისთვის შემქმნილი გვაქვს ინდივიდუალური განვითარების გეგმა. გარდა შრომითი საქმიანობისა, ჩართულები გვყავს სხვადასხვა თერაპიულ საქმიანობაში. ისინი საოცარი ადამიანები არიან, ძალიან თბილები, მოსიყვარულეები, ერთგულები, შრომისმოყვარენი. მათ გვერდზე თავს მშვიდად და ლაღად გრძნობ. ისინი არ არიან საცოდავები, ეს დიდი შეცდომაა, როცა ვინმე მათ იცოდებს. ყველა ადამიანი განსხვავებულია, და რაღა მათი განსხვავებულობა უნდა იყოს თვალში საცემი?

სოციალური თერაპიის სახლში სხვადასხვა საქმიანობა ხორციელდება, რომლებიც შესაბამის სახელოსნოებში ხორციელდება: საქსოვის, სადურგლოს, მინისტამბა-საამკინძაოს, მაიკებზე ბეჭდვის, ლაზერული ჭრის, სანთლების, შემოქმედებით და ქაღალდის გადამამუშავებელ სახელოსნოებში, ასევე – ბაღი და სამზარეულო...

– თქვენთან შშმ პირები აერთებენ წიგნის ფურცლებს...

– მე სტამბისა და ლაზერული ჭრის სახელოსნოებში ვმუშაობ სოციალ- თერაპევტად და დიზაინერ-დამკაბადონებლად. კომპიუტერულ მომსახურებას ვუწევ დამკვეთს. მაქსიმალურად ვცდილობ, წიგნის ავტორი კმაყოფილი იყოს. ხშირად ყოფილა ისეთი შემთხვევები, როცა დამკვეთთან ერთად რამდენიმე დღეც გვიმუშავია მის წიგნზე, ვასწორებთ ტექსტს, ყოველ ხარვეზს და ამ პერიოდში ისე ვეჩვეოდი მათ, რომ წიგნის დაბეჭდვის მერე თითქოს სიცარიელეს ვგრძნობ. ისე, როგორც მეგობარს რომ ველარ ხედავ და გენატრება.

ამობეჭდვის მერე, მთელი რიგი ოპერაციებია, სანამ წიგნი დასრულებულ სახეს მიიღებს. ჩვენთან დასაქმებული შშმ პირები აერთებენ წიგნის ფურცლებს, გვერდების მიხედვით წებოთი კინძავენ და ჭრიან. რა თქმა უნდა, ჩვენი – თერაპევტების მოვალეობაა, დავეხმაროთ მათ, რა საქმიანობაც უჭირთ. მათი უნარების აღმოჩენა და განვითარებაც ჩვენი მოვალეობაა.

– სოციალური თერაპიის სახლს ბენეფიციარების მიერ შექმნილი ნაკეთობები ამშვენებს, რითაც შრომითი და საცხოვრებელი ერთობა იქმნება...

– ჩვენი სამუშაო დღე რიტმულად არის გადანაწილებული. რიტმზეა აწყობილი სამყარო და თავად ადამიანის ორგანიზმიც. სწორი რიტმი ჯანმრთელობის საწინდარია. ჩვენი დღის რიტმიც ისეა აწყობილი, რომ ჩვენს წევრებს მთელი დღისადმი მშვიდი დამოკიდებულება აქვთ, იციან, რა რის შემდეგ მოდის და ეს არ იწვევს შფოთს, მოულოდნელობებისადმი შიშს. დილით ვგეგმავთ, თუ ვინ რას გააკეთებს. შემდეგ იწყება საქმიანობები, გვაქვს, შემოქმედებითი პაუზა, როდესაც ვხატავთ, ვკითხულობთ, ვთამაშობთ ჩვენს ბაღში... დღის ბოლოს ვიკრიბებით და ვაჯამებთ, ვინ რა გააკეთა. გარდა შრომითი საქმიანობებისა, უტარდებათ ევრითმია, მუსიკის, დრამის, ხატვის, პლასტიცირების შემოქმედებითი თერაპიები. ყოველი დღე აზრით არის სავსე.

სოციალური თერაპიის სახლი მათთვის მყუდრო და ხალისიანია. აქ აქვთ მათ ის გარემო, სადაც ჰყავთ მეგობრები, მათი უნარები რეალიზდება. ქმნიან

ისეთ ორიგინალურ პროდუქციას, რომელიც ხალხს მოსწონს და იყენებს.

— ამ პროცესში, ვიცი, რომ იყენებთ ნარჩენებს, გამოუსადეგარ ნივთებს აცოცხლებთ და ახალ ფუნქციას სძენთ... მე მაქვს ცოცხალი ფოთლებით გაფორმებული რამდენიმე ულამაზესი ბლოკნოტი, რომლებიც თქვენთან არის დამზადებული...

— სტამბაში წიგნებისა და ჟურნალების დამზადებისას გვრჩება ჩამონაჭრელი ქაღალდი. ჩვენ ამ ქაღალდს ვაბლენდერებთ და ახალ ულამაზეს ფურცლებს ვქმნით, მათზე ვასხამთ სხვადასხვა ფერს, ვაფორმებთ ჩვენი ბაღის მცენარეებით. ამ ახალი დეკორატიული ფურცლებისგან ვაკეთებთ კონვერტებს, ბლოკნოტებს, წიგნის სანიშნეებს. ვაფორმებთ პლასტმასის ბოთლებს და ვქმნით ყვავილის ქოთნებს, სასანთლეებს, სანათურებს. გაზეთებისგან ვწნავთ კალათებს, საპურეებს. გვინდა გამოუსადეგარი ნივთები გავაცოცხლოთ, ნარჩენები გადავამუშავოთ და ახალი ფუნქცია შევძინოთ...

— რისი შექმნა გიყვართ?

— ძალიან მიყვარს ისეთი პროდუქციის შექმნა, რომელიც ვინმეს გამოადგება, დაეხმარება. თუნდაც ბავშვის განსავითარებელი სათამაშოების გაკეთება. მიყვარს ბლოკნოტების კერვა, დეკორატიული ნივთების გაფორმება.

ჩემი საქმიანობა, ძირითადად, კომპიუტერულ პროგრამებში მუშაობა და ხელნაკეთი ნივთების კეთებაა, თითქოს აწონასწორებს ჩემს ვირტუალურ საქმიანობას და თითქოს გარკვეული რეაბილიტაციაა.

— ვიცი, რომ სოციალური თერაპიის სახლის დიდი პრობლემა დაუფინანსებლობაა...

— სამწუხაროდ, უცხოელი დონორები აღარ აფინანსებენ ჩვენს ცენტრს. ჩვენი შემოსავალი სახელმწოფოსგან მოცემული 11- ლარიანი ვაუჩერი, მცირე შემოწირულობები და პროდუქციის გაყიდვაა. ასეთი ყოფა დიდ რისკთან არის დაკავშირებული. ჩვენი ცენტრი დიდ ფინანსურ კრიზისს განიცდის. 50 ოჯახის ბედი ჰკიდია ამ კრიზისზე. ჩვენი შშმ პირების ოჯახის წევრები ახლა მუშაობენ, მოგეხსენებათ, სამსახური და შემოსავალი რამდენად მნიშვნელოვანია ყველა ოჯახისთვის. ამას ახერხებენ, რადგან მათ შვილები დღის მანძილზე ჩვენს ცენტრში დადიან. ეს რომ მოაკლდეთ, სამსახურებისთვის თავის დანებება და სახლში შვილების მომვლელებად დარჩენა მოუწევთ.

— გვიამბეთ ოჯახზე... მეუღლე გია გაგანაშვილიც სოციალური თერაპიის სახლში მუშაობს...

— მე და ჩემი მეუღლე ერთად ვმუშაობთ. 24 საათი ერთად ვართ. ბევრს უკვირს, არ არის ძნელი, ან მომაბეზრებელიო? მაგრამ, პირიქით. ასე უფრო ვავსებთ ერთმანეთს, საერთო მიზნები გვაქვს, საერთო პრობლემები. ერთი ცხოვრება გვაქვს და ერთნი ვართ. ჩვენს ორგანიზაციაში არსებულ სტამბას ხელმძღვანელობს, რომელიც ადრე მხოლოდ რვეულების სახელოსნო იყო.

ყველაზე საუკეთესო, რაც გამაჩნია, ჩემი ოჯახია. შემიძლია მადლიერებით ვთქვა, რომ ძალიან იღბლიანი ვარ. საუკეთესო მეუღლე და ორი შვილი მყავს.

როცა ოჯახი ერთიანია, ყველა პრობლემა მოგვარებადია. ვცდილობთ, ყველაფერში დადებითი დავინახოთ და თითქოს უფრო ადვილად ვაგვარებთ ყველაფერს. მთავარია, ყოველი დღის მადლიერი იყო.

ძალიან მიყვარს ოჯახთან, მეგობრებთან ერთად ბუნებაში გასეირნება. მომწონს ხეების ყურება, ტოტების განშტოება, ფოთლები. ეს საოცარი სანახავია, თვალწინ უამრავი სასწაულია, დანახვა უნდა მხოლოდ.

მე და ჩემს მეუღლეს ძალიან გვინდა, როცა ჩვენი შვილები თავის გზას იპოვიან, სადმე სოფელში ვიცხოვროთ, მოვიყვანოთ ბიოლოგიურად სუფთა პროდუქტი, გავაკეთოთ ეკოლოგიურად სუფთა ნივთები და საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმეში ჩვენი წილი ერთი აგური მაინც დავდოთ.

ესაუბრა თამარ შაიშმელაშვილი

ფილმის ნაკვალევზე

ლევან ბოთუა



დაუვიწყარი მოგზაურობა „ქართულ პალესტინაში“

სათაურისათვის გთხოვთ მაპატიოთ... ამჯერად ჩვენ ფეხი არ მოგვიცვლია, ხოლო ჩვენს წინ კი იშლებოდა უჭაღარესი მიწის შთამბეჭდავი სურათები. დიახ, ეს ისტორიულ რეალიებზე დამყარებული, მეცნიერულ კონსულტაციით კარგად შერჩეული, მაღალი შემოქმედებითი თვალით დანახული „ქართული პალესტინა“ იყო. ფილმმა კარიდანვე „უცხენოდ და უაქლემოდ“ გადაგვტყორცნა „აღთქმულ ქვეყანაში“, ბიბლიურ გზებზე... და ახლა ამ კინოსურათზე რომ ვფიქრობ, თავიდანვე მომეგულისხმა დიდი საცერი ისტორიისა!..

დიახ, ისტორიას აქვს არა მარტო თავისი რეალური არსი და ნაშთი, სულიერი და ლიტერატურული გაგრძელება, არამედ ძნელად დასანახი, პლასტიურად მეტყველი სახე. ნანგრევების გადაღება ადვილია, ძნელია მისი შემოქმედურად შევსება, ძირითად ნიშნის პოვნა და ყველასათვის მისაწვდომად ამეტყველება. სწორედ ეს პლასტიური სახე ზედმიწევნით მოუპოვა თავის „უძნელეს მასალას“ შემოქმედმა სამეულმა, მწერალმა **ილია რურუამ,** რეჟისორმა **გურამ პატარაიამ** და ოპერატორმა **გივი მელქაძემ**. შემდგომ კი მთელმა გადამღებმა ჯგუფმა.

პალესტინა, ისტორიულ მეხსიერების შთასახვიდან, მრავალ ეპოქათა განმავლობაში, მრავალ თვალსაზრისით საკვანძო ჟამთსაბრუნავს წარმოადგენდა. მარტო ისიც კმარა, რომ სამი მსოფლიო სარწმუნოების აკვანია! **აქედან არიან მოსეც, ქრისტეც და მაჰმადიც!** აურაცხელმა დამპყრობლებმაცა და კეთილმა მაშენებლებმაც დასტოვეს აქ თავისი შესაფერისი კვალი.

ჩვენ, ფილმის ჯადოქრულ ძალით, ქართველთა სახელოვან ნაკვალევს გავყევით. სწორედ ამ მიზნით, 1966 წელს ჩავიდა საქართველოს ტელეხელოვანთა ჯგუფი პალესტინაში. მათი გზა და სავალი მშენებელი წინაპრებისა და თანამედროვე ქართველი მეცნიერების მიერ იყო შეპირობებული და გაკაფული. მაგრამ ის, რაც დღემდე თითო-ოროლა მეცნიერის ნამუშავარსა და ცოდნის მარჭვალს შეადგენდა, ამ ჯგუფმა ეს საქვეყნოდ შეჰკრა, ნანგრევებსა და ახალ ნაშენებში გამოსცრა-გამონახა, სიჩუმესა და დავიწყებას გამოსტაცა და სამშობლოს ხელოვნების გზით დაუბრუნა. ასე წარმოიშვა ფილმი „პალესტინის სიძველეთა საიდუმლოება“.

...და აი, ჩვენს თვალწინ ეპიური თხრობით იშლებიან შორეული პალესტინის ქართული ადგილები... აბა, ერთ ფილმში რა ამოსწურავს ამ დიდსა და დიდებულ თემას, მაგრამ ჩვენი ხელოვნების წარგზავნილებს თავდადებით უღვაწიათ, მრავალი უაღრესად მნიშვნელოვანი, ხშირად ჩვენთვის სრულიად ახალი, ხელშეუხებელი მასალა მიუკვლევიათ და მოუტანიათ...

იერუსალიმის ქართველთ-ჯვარი, ერიქონი, ბეთლემი, საბა-წმინდა, კატამონი, მალხა და სხვანი... აქ ყველაფერი გაღელვებს. ისტორიით შესულდგმულებული საერთო ხედი თუ მხატვრული ხედვით მიგნებული დეტალი! თითქოს საუკუნეების სიღრმეში მიმავალი ქვის კიბეები და მარტოსული ძველი ვაზი!. შორეული, ჯერ უხილავი, იქნებ უკვე გადასული ადამიანის ფეხის ხმა და ხვიფლოვან კედლების სიჩუმეში ჩარჩენილი, ოდესღაც დარხეული გალობა ქართველ მამათა.

ფილმის შემქმნელთ მართებულად მიუგნიათ იერუსალიმის ქართველთ ჯვარის მონასტრის სიმბოლიური გასაღებისთვის. იგიც სამთაგანაა, როგორც მრავალი ციხე-ტაძარი ჩვენში – წიგნის, სარწმუნოების, თავდაცვის კერა ერთად! ეს ხუროთმოძღვრული სულისკვეთება აქაც კარგად იგრძნობა, მიუხედავად მრავალ, შემდგომი დროის გადაკეთებისა... ხოლო რა ვუყოთ, რომ ამჟამად ტაძრის კარის გასაღები სხვის ხელშია! ზღურბლის მიღმა, ჯერაც ჟღერს და ჰღაღადებს ასომთავრულში შეაბჯრული ქართული სიტყვა – „სდექ მტკიცედ და ურყევად!“ – სწორედ ეს გახლავთ სურათის ძირითადი კილოც და იგი, წარმოშობის შემდეგ, ქვეშეცნეულად გასდევს მთელ თხრობას. ეს უკვდავი ძახილი ასულდგმულებს ათასწლოვან ქარბუქების მოწმე ქართულ უნგრევ-ნანგრევებს, სხვის ტყვეობაში ჩარჩენილ ტაძრებს, სანახევროდ სახეჩამოშლილ ფრესკებს, მშობლიური ჩუქურთმებისა და თაღების შეტეხილ ცისარტყელებს, ჩვენი ხელნაწერების დაფანტულ ფურცლებს!

ასე ერთიან თხრობად, შემჭიდროებულად, იშლებიან ჩვენს წინაშე, შორს გაშენებული, ქართულ სამყაროს, დიდი, თავის დროზე, ამაღლებული მწიგნობრული და სულიერი ოაზისები! საქართველოს კულტურული გარეკერები, მუდამ თავისი დედა-სამშობლოს სიცოცხლითა და ისტორიით

საზრდოობდნენ, ცხოვრობდნენ და არსებობდნენ. მის, ასე ვთქვათ, საგარეო ლეგაციებს წარმოადგენდნენ. ამ მხრივ მათი ღვაწლი კიდევ მოელის საამაყო საქმეთა გამოვლენას.

აბა გაიხსენეთ, ფილმში აღბეჭდილი პალესტინის სხვადასხვა ქართულ ძეგლზე მოხსენებულნი: მარუანი (პეტრე იბერის საერო სახელი), ბურზენი, პაპა ბაკური, ნიკიფორე ჩოლოყაშვილი, ლევან დადიანი, ქაიხოსრო ზედგინიძე, მამისიმედი, პატრიძე და ბოლოს ყველა სახელთა გვირგვინი შოთა რუსთველი. ხოლო ჯერ რამდენი სახელია ამ კედლებზე ამოუკითხავი, აღაპებსა და წიგნებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რამდენი საიდუმლოა ამოუხსნელი!

აქ წარსული ჩვენი კვლევისათვის ჯერ კიდევ მომავალია; ფილმის შემქმნელებს, ბუნებრივია, ქართულ თემასთან გზადაგზა, ისტორიულად თუ ბიბლიურად ცნობილი ადგილები და ღირსშესანიშნაობანი გადაუღიათ. მაღალმხატვრული კადრებით გვაზიარეს გეთსიმანიის ბაღს, ელეონის მთას, იერუსალიმის კედელს, ომარის მიზგითს, ქრისტეს საფლავს, გოლგოთას, სხვა ტაძრებს, ბაზრებს, ქუჩებს...

ყველგან ამჟღავნეს ლაკონიური ჩაწვდომის უნარი, დიდი ზომიერება და მხატვრული ტაქტი. სომხების იერუსალიმელ საპატრიარქოში, იაკობის ტაძარში, სომხურ წიგნებს შორის აღმოაჩინეს 32 გვერდი აქამდე უცნობი ქართული ეტრატისა. აი კიდევ ნიშანი იმისა, თუ რამდენი რამ აქ საკვლევი და საძებარია!

სოფლის წარმავლობა, ყველაზე უფრო მაინც ნასოფლარში იგრძნობა. ფილმმა იერუსალიმის მახლობლად, **ძველი ქართული ნასოფლარი მალხა** აღბეჭდა. მისი დასახლება, გადმოცემით, ვახტანგ გორგასალის სახელთან არის დაკავშირებული. ვაგლახ, მეორე სამშობლომაც ვერ შეიფარა მალხელები. ისინი ამ რამდენიმე წლის წინათ იორდანიაში წასულან, არა ძველებური წესით — ქართულ კერების გურჯი — მცველებად, არამედ უკვე უსახო ლტოლვილებად... იმათი კვალის მიგნებაც არ იქნება ურიგო საქმე! ხატოვნად გადაღებულია იორდანე, ეს ლეგენდებში გადასული მდინარე, გიკვირს მისი გამსჭვირვალება.... მაინც ახლა იგი ამჟამად ხომ ფრონტის ხაზია!

საერთოდ ფილმში გარემოს ფერიც შესანიშნავად არის დაჭერილი. იგი ხელს უმართავს საერთო განწყობილების შექმნას... აქ მიწაც ჭაღარაა და წყალიც კამკამა!! მკვდარი ზღვაც, თითქოს უძირო სარკეა გადასულ ჩრდილთა და ლანდთა! და გჯერა, რომ იგი შეჯერებულია არა მარტო მწარე და მძიმე მარილებით, არამედ გამწარებული ისტორიის ნალექებითაც!

დაე, მეპატიოს პარადოქსი — ამ კეთილ ფილმში გაცოცხლებულია არა მარტო დადუმებული გარექართული ძეგლები, არამედ თვით მკვდარი ზღვაც! სულის მოუთქმელად მიჰყვებით ამ სრულმეტრაჟიან, ფერად პლასტიურ თხრობას, ხილვასავით ამაღლებულ კადრებს და ყოველ მიჯნაზე შინაგანად გრძნობთ, როგორ ხელჩართულად იბრძვიან — შემოქმედება და დავიწყება. „ვინ ვის!“ — აი სურათის კონტრაპუნქტი!.. ხოლო არსად არ არის ისეთი უძირო და ადვილი დავიწყება, როგორც აზიის ისტორიულ გზებზე!...

აი, **ბეთლემის მიდამო**, უძველესი ქართული ტაძრის ნანგრევები. მის გათხრის დროს იტალიელმა მეცნიერმა კორბომ აღმოაჩინა მოზაიკური ქართული წარწერები. ერთი მათგანი ოთხას ოცდაათიან წლებისა, რაიც ნახევარ საუკუნეზე მეტით უსწრებს ბოლნისის 492 წლის, აქამდე ცნობილ, დათარიღებულ უძველეს წარწერას. იერუსალიმის ბერძნულ პატრიარქიაში ახლაც ინახება ქართული ხელნაწერების კარგა დიდი, გადარჩენილი ნაწილი.

ფილმში ნაჩვენებია ეს ქართული მწიგნობრული განძი, ერთ ერს სულ რომ ამოუვსებდა უმწიგნობრო ისტორიას! — სდექ მტკიცედ და ურყევად! — თითქოს ახლაც გაიძახიან სხვის კარადებში ჩარჩენილი ჩვენი წიგნები! კიდევ ერთხელ აიღო რევანში შემოქმედებამ, სძლია დუმილსა და დავიწყებას! მთელი ეს შესანიშნავი ფილმი თითქოს ასომთავრულით არის „დაწერილი“. განცდილი და განხორციელებული! მრავალ ადგილას, თითქოს გამჭვირვალენი გამხდარან უძველესი კედლები, გამომეტყველდნენ უცხო ბათქაშში და ნახატში ჩამარხული ქართული კედელხატულები!

საქართველოს კინოთვალს ასე კარგად, ასე ღრმა და საფუძვლიან, მეცნიერულ კონსულტაციის წყალობით, ასე მაღალი ცოდნით ვგონებ არც გადაუღია საქართვგლოს გარე, ჩვენი კულტურული კერები. ჩვენ კი არა მარტო შინა, გარეისტორიაც გაგვაჩნია! იგი ქართლის ცხოვრების განუყრელი ნაწილია და ჩვენივე სულიერი საპატრონო. სურათის შემქმნელთ, შეგნებულ ისტორიზმთან ერთად, სრულიადაც არ ჰღალატობთ თანამედროვეობის გრძნობაც. ყველაფერი თანამედროვე ქართველის თვალით არის დანახული. ობიექტივის უკან თანამედროვე ქართველის გული ჰფეთქავს. ამიტომ არის ეს სურათი ასე ერთობლივად ჩამწვდომი, დიდ ზემოქმედების უნარის მქონე, კეთილი გრძნობების აღმძვრელი...

მათ წარსულის გრძნობასთან ერთად, თანამედროვე მკვლევარობაც ახასიათებთ და ორივე საწყისი დიდი სიყვარულითა და შემოქმედური წვით მკეს და თესეს! მკეს და თესეს!

ქართველები ოდესღაც გაშლილ დროშით შედიოდნენ იერუსალიმში. **ახლა იმ მედროშეების შთამომავლებმა ამ „ქართულ პალესტინის“ გაშლილი ფილმი — სურათი ჩამოგვიტანეს.** ეს ფრიად მნიშვნელოვანი მხატვრულ დოკუმენტური და ზოგად შემეცნებითი ფილმი უდაო მიღწევაა ჩვენი ეროვნული კინო და ტელეხელოვნებისა და იგი არ უნდა დაგვრჩეს სახელოვნად აღუნიშნავი.

„ძეგლის მეგობარი“, 1969, №16 (16-24).

პოეზია

ირინა ტაბალუა

გაცილება ვარდობისთვის

იხალებოდა მზეზე კოლხეთი
და ვარდობისთვე თმაზე მცვიოდა,
ძალზედ გავჯავრდი, რომ არ მოხვედი,
ტანს სიცხე მწვავდა, გულში მციოდა.

წუხელ თავხედი ქარის შრიალმა
ვიცი, ძვირფასო, ჯვარი დაგწერა,
შემოვიშენე თვალცრემლიანმა
ცივ საფლავივით ეს ბედისწერა.

მივრბოდი სადღაც მოუსავლეთში...
მომდევდით შენ და თავხედი ქარი,
შემომეხეთქა გლოვა სახეში,
იმსხვერპლა ჩემი ორივე თვალი.

მე გიკვდებოდი გულის უბეში
და გჩურჩულებდა ჩემი თმის ღელვა,
საღამო იდგა რაღაც უხეში...
მავიწყდებოდა შენ გარდა ყველა.

გეწვეთებოდა ცისფერ პერანგზე,
ჩემი სისხლის ღვრა, ცრემლდა სანთელი,
შემომეხვიე გაჭრილ ვენაზე,
როგორც სპეტაკი თეთრი სახვევი.

მეფერებოდა პატარა წვივზე,
ახალშობილი სიმინდის ყლორტი,
დაფრიალებდა მზე ჩემს თბილ ჩრდილზე
და... მაწანწალა ძაღლივით მოვკვდი.

და რა გაუძლებს...

და რა გაუძლებს,
ამ ხეტიალს ფეთქებად ქარში,
ცარიელ ქალაქს დაემსგავსა
ეს სიმარტოვე,
შემომეხარჯა ყველა ქუჩა
შენს ძიებაში
და დღეს უსიტყვოდ
მარტოობა მეც მივატოვე.

და რა გაუძლებს,
უმზისხივო ამოთენებას,
ხვალ ალბათ ჯიბრზე,
სხვის ბაგეებს ბრმად შევეხები,
კვლავ მოვიპოვებ
დარდით ახალ ამოჩემებას,
მაგრამ უბედურს,
დღეს რომ ისევ შენ მეჩემები.

გალაკტიონს

რა მადლიანად დამცქერიან
ცავხვის ტოტები,
თითქოს მღერიან ძველ სიმღერას
დარდით ფესვები...
თმაზე მაცვივა ფერწასული
ხმელი ფოთლები...
აქ გალაკტიონს უწერია
თრთოლვით ლექსები.

რიონის პირას
აიშალა ყარყატთა ჯარი,
ალვის ხეებში ჩაიზმორა
მზის თბილი სხივი..
მე, პოეტესას, გულს მიმძიმებს
პოეტზე ჯავრი,
გული მაქვს თბილი,
ხელები მაქვს დღეს ძალზე ცივი.

როგორ მამშვიდებს,
როგორ მხიბლავს ეს თბილი ოდა,
ობლად ჰკიდია სუროებში, –
თრთის ლამპიონი...
აქ იზრდებოდა,
აქ ფიქრობდა,
აქ ღვინდებოდა,
სივრცეებისთვის
ფრთებს აქ შლიდა გალაკტიონი.

ხვანჭკარა

იწვნენ ქვევრები მთვრალი ფერდებით,
და მათ ბაგეზე ვმაჭრობდი, ვდუღდი,
მერე ვიფიქრე, რომ დავბერდები,
ამ სიქაფქაფეს წამართმევს მწუხრი.

რამდენი დღენი, რამდენი ღამე,
შენი ტუჩები აღარ დამთვრალა...
ვტკბებოდით, ვდუღდით მე და ის მთვარე
და ვღვინდებოდით, როგორც ხვანჭკარა.

წითელი სისხლი, წითელი ღვინო,
უერთდებოდა ერთმანეთს შფოთვით,
ეს იყო რაღაც ჩუმი, სალხინო...
ეს იყო რაღაც ტკბილი და მორცხვი.

პაემანი ვაჟაზე...

რა დამავიწყებს აპრილის ღამეს,
გელოდით მე და სიჩუმე მხოლოდ,
ვითვლიდი გულში მთრთოლვარე წამებს,
ალბათ ეს იყო შეხვედრა ბოლო.

შენ მოდიოდი ჯიუტი მხრებით,
მოგქონდა თითქოს მთაცა და ბარიც,
მომიახლოვდი ტკბობის შეგრძნებით,
თრთოდა სიჩუმე მღელვარე ღამის.

ალბათ მაისსაც შევეცოდები,
ვინ იცის, ივნისს რა შეუძლია...
კვლავ ძველ ქუჩაზე დაგელოდები,
დღეს ვაჟას ქუჩა დამილოცნია.

• • •

ხაშმში რევაზ ინანიშვილის დღე მესამედ აღინიშნა

10 ივნისს, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფელ ხაშმში, რევაზ ინანიშვილის დღე მესამედ აღინიშნა.

დიდი ქართველი მწერლის ხსოვნის უკვდავსაყოფად, სოფელ ხაშმში მისი ოჯახის წევრებმა, მეგობრებმა, პოეტებმა და მწერლებმა მოიყარეს თავი.

12-00 საათზე, სოფელ ხაშმის წმინდა გიორგის ეკლესიაში რევაზ ინანიშვილის სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გაიმართა. ხოლო შემდეგ სოფლის ადმინისტრაციული შენობის დარბაზში მწერლის შემოქმედებითი საღამო გაიმართა.

მწერლის ცხოვრებაზე და მოღვაწეობაზე ისაუბრეს რევაზ ინანიშვილის მეგობრებმა, ოჯახის წევრებმა, მწერლებმა. სიტყვით გამოვიდნენ: მზია ხეთაგური, ერეკლე საღლიანი, ჯუბა ღებელი, ტარიელ ხარხელაური, თამარ შაიშმელაშვილი, მანანა ჩიტიშვილი, გივი შაჰნაზარი, იოსებ ჭუმბურიძე, ბელა ალანია, თინა ჭეჟია, ცისანა კვინტრაძე, ბესო ღვინაშვილი... კომპოზიტორმა ია მაისაიამ აფხაზეთზე საკუთარი სიმღერა შეასრულა.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი კოლექტივები: ანსამბლი „პატარა გარეჯელები“ (ხელმძღვანელი ბექა ღვინაშვილი), ანსამბლი „ჩინარი“ (ხელმძღვანელი ნელი გულიკაშვილი), ანსამბლი „ბერიკაცები“ (ხელმძღვანელი ნიკო გიგოშვილი).

თბილისის რევაზ ინანიშვილის სახელობის №159 საჯარო სკოლის ლიტერატურულ კლუბ „ნეკერჩხლის“ (მასწავლებელი მარინა ბედოშვილი) წევრებმა წაიკითხეს ნაწყვეტები მწერლის უკვდავი მოთხრობებიდან.

საღამოზე კიდევ ერთხელ ხმამაღლა ითქვა, რომ დროა, სოფელმა და რაიონმა მწერლის სახლში მუზეუმისთვის ერთი ოთახი მაინც მოაწყოს და გაისად რევაზ ინანიშვილის ხსენების დღე სწორედ მის ეზოში გაიმართოს.

მწერლის მეუღლემ, როზა ინანიშვილმა მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას მობრძანებისთვის და რევაზ ინანიშვილის ხსოვნის პატივისცემისათვის. ღონისძიების წამყვანი იყო გიორგი ფარეშიშვილი.

რევაზ ინანიშვილი:

„...ათეული წლებია, უჯარმაში ვატარებ ზაფხულის ორ თვეს მაინც, უჯარმას არასოდეს ვნახულობ სიზმრად, ხაშმში კი, კვირა არ გავა, იქ არ ვიყო, თან სულ მძიმე სიზმრებში! ხან ჩემი ეზოს დიდი კაკალია გამხმარი და ტოტებჩამოლეწილი, ხან მღვრიე წყალია ბაღჩაში შევარდნილი, ხანაც სახურავი ენგრევა, ან უკვე ჩანგრევია, ჩვენს სახლს. შიგაც არავინ არის, არც ჩვენთან, არც ბიძაჩემთან. ვდგავარ ხოლმე ძირს და ვეძახი ჩემს ძმას, მერე ბიძაჩემ გიორგის. ხმას არავინ მცემს. ცივად და შავად იყურებიან ფანჯრები. ამომიჯდება გული, ავტირდები“...

ეთეი ყიფიანი

მეორე მუზა

ამ სტრიქონების ავტორი, ეთერ ყიფიანი ასი წლის მშვენიერი ქალბატონია. იგი მხატვარია. მან ცხოვრების დიდი გზა გაიარა. ბევრი რამ უნახავს, ბევრიც გადახდენია. ამას წინათ, ძვირფასმა შვილებმა და ახლობლებმა ფიროსმანის მუზეუმში იუბილე გადაუხადეს.

რაღა დასამალია, პირველად გახლდით ასეთ უცნაურ იუბილეზე. ეს ლექსიც იქ გადმომცეს, მე კი ჟურნალ „ანეულს“ ვთავაზობ ჩვენი დიდებული ქალბატონის, ხანმოყრილი მხატვრის ამ ნაწარმოებს.

თემურ ჩალაბაშვილი

შემოდგომის მთვარე ქვიშხეთში

შემოდგომით, როცა მთვარე
მრუმე ღრუბლებს გამოსცდება,
გაგვიღიმებს, თვალს გაახელს,
ლოცვით ცაზე ამაღლდება,
გამოაფენს თავის შვილებს,
ლამაზებს და მოხდენილებს,
სახელებსაც ჩვენ შევარქმევთ,
ვარსკვლავებად წოდებულებს.
მოდის, მოაქვს თან სიმშვიდე,
არას ამბობს მნათობებზე,
მთვარის ენა რომ გვესმოდეს,
მოგვითხრობდა ყველაფერზე.
გვითხარ, როგორ დაიბადე,
მთვარედ როგორ მოინათლე,
ვინ შეგარქვა, ვინ გიწოდა
ციურ მნათობს ჩვენი მთვარე.
ქვიშხეთი მე იმად მიყვარს,
მთის ფერდობზე შეფენილი,
აქ გულგრილად ვერ დაჯდები,
ვერ იქნები მოწყენილი.
გაიხსენეთ, ვინც აქ იყვნენ,
მწერლები და პოეტები,
ყველამ წერა თეთრ ქაღალდზე
ლექსები და პოემები.
დიმიტრის ხმაც აქ ისმოდა,
ყველამ გულით შეიყვარა
და სამშობლომ სიბრძნისათვის
ის წმინდანად აღიარა.
მთვარე ხვალაც ისევ მოვა,
წამოასხამს თავის შვილებს,
არ გეგონოთ მიგვატოვა,
ხვალაც ისევ გაგვიღიმებს.
ცის ტატნობზე ტახტზე მჯდომი
ქვიშხეთს გულით გაუღიმებს,
მთაწმინდაზე ამაღლდება,
იქ კი სწრაფად გადაირბენს.
ამ მხარეში მრავალია:
წყარო, ღელე, მთა და ბარი,
ფრინველებით სავსე არის
ფოთლოვანი და ფიჭვნარი.
ხის ძირებთან სოკოები
გაჩნდებიან, სადაც ველით,
იხატება სურათები,
გეგონება მხატვრის ხელით.
ყოველ მხარეს ფერდობები
ხალიჩებით მორთო წყნარად,
მისი შუქით განათებულს
სულ ვარდები დაგვაყარა.
გადაუვლი ცის კამარას,
გადმოგვხედავ სიყვარულით,
ჩვენც მზადა ვართ, ყოველ ღამე
რომ გიყუროთ სიყვარულით.
წავა, მაგრამ ისევ მოვა,
ასე ივლის ყოველ ღამე,
გთხოვთ არავინ დაივიწყოს
მთვარიანი გრილი ღამე.
გვიხარია, ჩვენთან რომ ხარ,
შენი სხივი ჩვენ გვაჩუქე.
მე მადლობას მოგახსენებ,
ასი წელი რომ მაჩუქე!

ეულ აფრასავით შთენილი...

გუშინ ვიყავი ლონდონის ეროვნულ გალერეაში, სადაც ახლა კლოდ მონესადმი მიძღვნილი გამოფენა – „მონე და არქიტექტურა“ მიმდინარეობს.

ეს ბრწყინვალე ექსპოზიცია სრულად წარმოაჩენს გენიალური ფრანგი მხატვრის გამოკვეთილ ინტერესსა და ყურადღებას არქიტექტურის მიმართ. 75 სურათი მართლაც გამაოგნებელ შთაბეჭდილებას ახდენს და ყოველდღიურად ათასობით მნახველს აღაფრთოვანებს. ერთმა ბრიტანელმა არტკრიტიკოსმა ამ გამოფენის შეფასებისას ასეთი აზრი გამოთქვა: რა მდიდრები არიან ფრანგები ჩვენთან შედარებითო. ჩვენ ვერცერთ ბრიტანელ მხატვარს ვერ დავასახელებთ, რომელსაც ამ სახელწოდების გამოფენას გავუმართავდითო.

ჩემი ფიქრი უნებურად მისწვდა ქართველ მხატვრებს, ნეტავ ჩვენ თუ შევძლებთ ამ სახელწოდების გამოფენა რომელიმე ქართველ მხატვარს რომ მივუძღვნათ? ჩვენში რამდენიმე მხატვარს კი აქვს არქიტექტურა გადმოცემული ფერისა და ხაზის მეშვეობით, მაგრამ მათი რაოდენობა იმდენად დიდი როდია, რომ ამ მასშტაბის გამოფენა მივიღოთ.

თუმცა რატომ? გამახსენდა, რომ ჩვენ დიახაც გვყავს ასეთი მხატვარი, ვინც ამ სახელწოდების ვრცელ ექსპოზიციას შეავსებს და მნახველს აგრძნობინებს, რა „დამარხული თუ თვალსმოფარებული“ განძი აქვს მისი სახით ქართულ კულტურას.

ერთადერთი ქართველი მხატვარი, ვინც ჩვენი არქიტექტურის სიმდიდრე და მშვენიერება ასე ვრცლად და ამაღელვებლად გადმოსცა, გახლავთ საქართველოს სახალხო მხატვარი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ნათელა იანქოშვილი. მან ალბათ ასზე მეტი ფერწერული ტილო უძღვნა ჩვენს არქიტექტურულ ძეგლებს და თანაც რა ეპოქაში?!

აღსანიშნავია, რომ წლეულს იანქოშვილს 100 წლისთავი სრულდება. მის საიუბილეო გამოფენებზე თბილისის MOMA-სა და ხელოვნების სასახლის ექსპოზიციებზე ძირითადად პეიზაჟებს, პორტრეტებსა და გრაფიკას წარმოადგენენ, რითაც უფრო ცნობილია იანქოშვილი. საინტერესოა შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი ან ეროვნული გალერეა როგორ აპირებს ქართული ფერწერის ამ საამაყო წარმომადგენლის საუკუნოვანი იუბილის აღნიშვნას? საგულისხმოა ისიც, რომ იგი იყო თვით შალვა ამირანაშვილის ფავორიტი თანამედროვე მხატვარი. და რა უსამართლობა იქნება, თუ მისი სახელობის მუზეუმი აინუნშიაც არ ჩააგდებს ამ თარიღს?

ჩემთვის უცნობია, რას აპირებს ამასთან დაკავშირებით აღნიშნული მუზეუმი, მაგრამ მონეს გამოფენის ნახვის შემდეგ გამიჩნდა აზრი, რომ შესანიშნავი იქნება, მის კვალდაკვალ გაკეთდეს გამოფენა: „იანქოშვილი და არქიტექტურა“.

ამდენი არქიტექტურული ძეგლი არცერთ ქართველ მხატვარს არ მოეპოვება. თანაც ის არტისტული სიძლიერე და სითამამე, რაც ამ სურათებს ახასიათებს, ნამდვილად არის დიდი მხატვრული მონაპოვარი, რომელიც მნახველმა მუდამ თვალწინ უნდა იქონიოს და აივსოს სიამაყით, რომ ქართველებს ღმერთმა ასეთი ტალანტი მოუვლინა. ეს ტაძრების ან სხვა ნაგებობათა მარტო იმიჯების დაფიქსირება როდია, ისინი უმალ ფილოსოფიური ნამუშევრებია, რომელიც ფიქრისა და განჯისთვის უხსნის სადინარს თანამედროვე ქართველს. ვის არ დაუხატავს მცხეთის ჯვარი, მაგრამ დროის და სივრცის პირისპირ ასე ეულ აფრასავით შთენილი არავის დაუნახავს...

აუცილებლად ვურჩევდი სახელწიფო მუზეუმს, ამ თემატიკის ექსპოზიციის მომზადებას. იგი, პირველ რიგში, ათვალსაჩინოებს ჩვენი არქიტექტურის მრავალფეროვნებას და მშვენიერებას, ასევე ცხადყოფს მხატვრის ნაყოფიერებასა და ავტონომიურ ხელწერას, რომელიც ქართული ფერწერის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს. სხვა თუ არაფერი, საჭიროა ახალგაზრდა თაობამ იცოდეს, რომ ჩვენც გვყავს ასეთი მხატვარი.

თუ კლოდ მონე არის ფრანგულ ფერწერაში, რომელმაც ამდენი სურათი უძღვნა არქიტექტურას, ჩვენ გვყავს ნათელა იანქოშვილი, ვინც ქართული არქიტექტურა ვრცლად და მრავლისმეტყველად ასახა თავის ხელოვნებაში.

მარტო მათი დასახელებებიც კი მოწმობს, თუ რა სიუხვე და სიმდიდრე გაგვაჩნია ამ სურათების სახით, მართლაცდა, როგორც რუსთაველი იტყოდა: „გვაქვს უთვალავი ფერითა“, „მცხეთის ჯვარი“, ატენის სიონი“, „სხალთა“, „უფლისციხე“, „დავით გარეჯი“, „ქვარას ციხე“, „შატილი“, „იყალთო“, „ნიქოზის ტაძარი“, „უბისი“, „უჯარმა“, „გურჯაანის ყველაწმინდა“, „შემოქმედი (გურია)“, „ოპიზა“, „გოგიუბას ეკლესია“, „ჯვარი პატიოსანი“, „“ნეკრესი“, „მუხრანის ტაძარი“, „შენაქოს ეკლესია“, „ქურმუხა (კახი)“, „ალავერდის

ეკლესია (ქიზიყი)“, „იოანე ნათლისმცემლის ეკლესია“, „ოზაანის ამაღლება“, „მოწამეთა“, „ლებაისკარის კოშკი“, „ზარზმა“, „კაცხის სვეტი“, „ომალო“, „ლომისა“, „გრემი“, „უჯარმა“, „დარია დედოფლის სასახლე“, „შილდის ეკლესია“, „ხორნაბიჯის ციხე“ ... და კიდევ სხვა მრავალი.

არ უნდა იქნეს დავიწყებული ისიც, რომ ეს სურათები, ძირითადად, კომუნისტურ ეპოქაში იქმნებოდა და თუ კონსტანტინე გამსახურდია არის პროზაში ჩვენი სიძველეების სიტყვით მეჩუქურთმე, პოეზიაში კი – გალაკტიონი და ანა კალანდაძე, ფუნჯით იგივე მოიმოქმედა ნათელა იანქოშვილმა.

და ახლა, როცა უკვე მხატვარი ცოცხალი აღარ არის, მარადისობის წინაშე უპირატესობით უნდა გაიზომოს ამიერიდან მისი დანატოვარი. ჩვენი ხელოვნების ისტორიკოსებსა და კრიტიკოსებს ევალებათ, კარგად გაუთვალსაჩინონ საზოგადოებას ამ მხატვრის ღირებულება. იგი დიდი და მრავალმხრივი ხელოვანია, ვინც ქართულ და მსოფლიო ხელოვნებას სულისშემძვრელი სილამაზე ნოვატორული მხატვრული ენით გაუმხილა. ასეთი ბედი ერგოთ ბრაზილიელ ტარსილა დო ამარალის, მექსიკელ ფრიდა კალოს და ამერიკელ ჯორჯია ო’კიფს, მათ წლები დასჭირდათ, ისე ამობრწყინებულიყვნენ, როგორ ისინი იმსახურებდნენ. მხოლოდ ათი წელი გავიდა იანქოშვილის გარდაცვალებიდან და ალბათ, შორს არ არის დრო, როცა მის შესახებაც ასევე ალაპარაკდებიან!

„იანქოშვილი და არქიტექტურა“ კი მართლაც შესანიშნავი თემაა, რომელიც მიიზიდავს როგორც ადგილობრივ დამთვალიერებელს, ასევე უცხოელ სტუმრებს, რომლებსაც ასე აინტერესებთ საქართველოს სხვადასხვა კუთხის ძეგლები და მათი ისტორია. გყავდეს ასეთი მხატვარი, ვინც ამდენს ელოლიავა ფერით საკუთარი სამშობლოს ისტორიას და სათანადოდ არ დააფასო და არ წარმოაჩინო მისი თავგანწირვა, ეს იქნება უმადურობა და საკუთარი სიმდიდრისგან თვითგანძარცვა. აქვე ვიტყვი იმასაც, რომ ქართული ეკლესიის წინაშე არცერთ მხატვარს არ მიუძღვის იმგვარი ღვაწლი, როგორც ნათელა იანქოშვილს და ამ სახელწოდების გამოფენის გამართვას ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში მათი მხრიდან განსაკუთრებული მხარდაჭერა უნდა ჰქონდეს...

ამასთან, ჩნდება სულ უფრო მეტი საჭიროება, რომ გულდაბეჯითებით ჩავუკვიდრეთ, შევისწავლოთ, თვალი ხელახლა მივადევნოთ ჩვენი მხატვრობის ისტორიას, რომელიც თავიდან არის დასაწერი და მოუსყიდავი, გულდინჯი ანალიზით არის ასაწონი ყველას ღვაწლი, თავისთავადობით და არა მარტო საინტერესო ბიოგრაფიით!

აქ იგულისხმება მეოცე საუკუნის ოციანი წლების რამდენიმე მხატვარი, რომლებმაც პარიზში გაიარეს სწავლა და ამით ლეგენდარულის სახელი შეიმოსეს. სინამდვილეში, გულწრფელები რომ ვიყოთ, ასეთ მხატვრებს სხვაგანაც შეხვდებით, მაგრამ იანქოშვილის დარი თავისთავადობა და სიანკარე არცერთ მათგანს არ მოეპოვება. იანქოშვილს მიერ დამკვიდრებულ სიახლეებსა და თავისებურებებზე ხმამაღლა უნდა ითქვას და დაფიქსირდეს ჩვენი ხელოვნების ისტორიაში. და როცა თვალს მივადევნებთ ასობით მხატვარს მთელ მსოფლიოში, მაშინ კიდევ უფრო ვირწმუნებთ და დავაფასებთ იანქოშვილის უნიკალურობას.

ნათელა იანქოშვილს აქვს ის მხატვრული ძალმოსილება, რომ გასცდეს ეროვნულ საზღვრებს და მსოფლიოს ელაპარაკოს, რასაც ფიროსმანთან ერთად მხოლოდ იგი თუ გაუძლებს. ამიტომ ელის მას აღიარებაც და უკვდავებაც და ეს 21-ე საუკუნეში მოხდება!

დროა, ქართველმა ხელოვნებათმცოდნეებმა, ასევე ისტორიკოსებმა, ფილოლოგებმა, ფილოსოფოსებმა და შემოქმედებითი ფსიქოლოგიის სპეციალისტებმა იანქოშვილი საგულდაგულო კვლევის საგნად გაიხადონ. მასთან უცილობლად იპოვიან ძალიან ბევრ მიღწევას, რითაც იგი კიდევ უფრო ამაღლდება და ყველაზე ანგარიშგასაწევი მხატვრების გვერდით დაიმკვიდრებს ადგილს. იმათ შორის მოხვდება, ვინც თანაბრად ეკუთვნის როგორც ეროვნულ, ასევე მსოფლიო ხელოვნებას.

გრიგოლ რობაქიძეს განსაკუთრებით უყვარდა ფიროსმანი და ის რომ მოსწრებოდა იანქოშვილს, კვლავაც ალაპარაკდებოდა ქართული სულის არისტოკრატიზმზე.

დასანანია, რომ ასეთი მოაზროვნეები აღარ შერჩა საქართველოს, თუმცა ოთარ ჩხეიძე, ნოდარ დუმბაძე, შალვა ამირანაშვილი და სხვებიც იმთავითვე გრძნობდნენ და აღიარებდნენ იანქოშვილის უდიდეს ნიჭიერებას. დასანანია, რომ მეოცე საუკუნეში მსოფლიომ სათანადოდ ვერ შეიტყო და ვერ გაიზიარა მისი ჭეშმარიტი ფასი. ახალი თაობის ვალია, ამ ყველაზე იდუმალი ქართველი მხატვრის ხელახლა აღმოჩენა და ხელოვნების ისტორიაში მისთვის ღირსეული ადგილის მიჩენა.

მანამდე კი, საქართველომ იანქოშვილის 100 წლის იუბილე უნდა აღნიშნოს.

გიორგი ლალიაშვილი,
ლონდონი, 23 აპრილი, 2018 წ.

(ნახატები იხილეთ გარეკანის მე-2 გვერდზე)

სალომე ბობოლაძე

სამურაის სიზმარი

მზე შენი თვალებიდან ამოდის, ოკაი,
სძინავს ჩემს მკლავებზე საკურას,
არ მინდა ჰარაკირი, მომკალი!..
ფრთები შემახე და განმკურნავ,
საღამომ აირეკლა ჰიკარი,
ტბა კალთებს აიკრეფს და დუმდება,
და როგორც ახდენილი სიზმარი,
თვალები გაახილეს ბუდებმა.
შემოგფლეთს ქარი მერქნის კიმანოს,
მთვარე ხის ტოტებზე ქანაობს,
ო, ჰარუ, – მე გაგათბობ, მცივანო,
ო, ჰანა, – მოგიჩრდილავ მარაოს.
და არ თქვა ეს წყეული სახელი,
ცრემლები წვიმასავით შემიშრა,
კვდებიან შემოდგომის ბაღები,
და ხელებს გიკოცნიან გეიშა.
ამ მთაზე, ამ აღმართზე აგიყვან,
ლოდივით მიმძიმდება წარსული,
„შიტერუ“ – მეუბნები, – სად მიხვალ?
„შინიგამ“ – ჩურჩულებენ ავსულნი!...
მზეს ვიმწყვდევ ხელისგულში მასაი,
თეთრ ყელთან იბუდებენ ჩიტები,
მშვიდობით – „ოიასუმი ნასაი!“
შენ თვალებს დახუჭავ და მშვიდდები!..

უცხო სიტყვები:

შინიგამი – სიკვდილის ღმერთი;
ჰარუ – გაზაფხული;
ოიასუმი ნასაი – ღამე მშვიდობის;
ჰიკარი – სინათლე;
შიტერუ – მიყვარხარ;
ჰანა – ყვავილი;
გეიშა – ლამაზი, იდუმალი ქალი;
ოკაი – ქალის იაპონური სახელი;
მასაი – აფრიკული ტომი.

ჩემო არლეკინ!....

დღეს შენი დღეა, სად ხარ, არლეკინ?
ქუჩა სავსეა თოვლის გამებით.
ციდაც ქარები ზარებს დარეკენ,
და დაფრთხებიან შენი თვალები.
გაფრინდებიან ოღონდ ვერსაით,
ჩემო არლეკინ, დროა დაშვების.
და დარბაზები თეთრი ვერსალის
დუმილით დგანან, როგორ პაჟები.
ახლა მაგ ღიმილს ვერცხლის ფასი აქვს.
რადგან სიცივე თითებს მითოშავს
და სიტყვებს, როგორც ანოტაციას,
მშრალი ყელიდან ვახველებ როცა,
მანგრევს და მსერავს რაღაც სხეულში
ქარია, ხეებს, მუხლები უთრთით,
და ვაწერ ყველგან თოვლის რვეულში,
ასე ჯიუტი, უტყვი და მუნჯი.
მზე გადმომხედავს თვალებით ტყვიის,
ჩემო არლეკინ, უნდა დაგტოვო.
გული, რომელიც უცრემლოდ ტირის.
მას არაფერი უკვირს, ბატონო.
ასე მგონია, მომედო კეთრი,
არ არქაული ვხატე ბილინგვა,
ჩემო არლეკინ, მაჩვენე ღმერთი,
შენი თვალების სულის ჭრილიდან...

მოგონება

როგორ იწვის თხმელა. დევის მკლავის ხელა,
და სიმშვიდე ჩემში ბინდისფერად მოდის
ჯერ სხეულში დამშლის, მერე გამიდნება
ეგ ღიმილი შენი, როგორც თეთრი თოვლი.

ჩუმად წამიმღერე მელოდია ქარის.
აკაციის სურნელს ვისუნთქავ და ვთვრები,
შემოეხა მკერდზე წითლად კანდამსკდარი
აბრეშუმის კაბა ბროწეულის ყვავილს.

სიმინდები ცეცხლში ნაკვერცხლებზე წვანან
და ათასი ვერცხლის საფასურად მიღირს...
შრიალებს და ღელავს გაღმა ლურჯი ყანა
და ბავშვობა ჩემი წამოიწყებს ღიღინს.

მთვარე მოჩანს ცაზე, როგორც თეთრი ცური
და შებღავის ჭიშკარს თვალგიშერა ღამე,
თავს დაგადებ მხარზე, როგორც გაზაფხული
და დავრჩები შენთან სულის ამოსვლამდე.

თეთრი ცის აგონია

ანუბის, ლომები მოდიან,
უდაბნოს მზისფერი თვალებით,
მტვერია, ქარია, ლოდია,
უკვალოდ გამქრალი ზმანება.
მიწიდან ცას სწვდება ოხვრა და...
ჰაერში სუნია ჰაშიშის,
ლომებს მზე ტორებით მოჰყავდათ,
ცეცხლივით მწველი და საშიში.
თვალები გახლეჩილ ნუშს გიგავს,
ტანი გაქვს ქვისფერი ნაკრძალი,
ისეთი ცხელი და მრუში ხარ,
მნებდები უთქმელად, კანკალით.
გატყვია სხეულზე ნახმლევი,
უდაბნოს მზისა და ქარების,
შენ როცა ალაჰის სახელით,
დამჭერი გულში და წახვედი.
ქარაფზე დგები და მაღლდები,
მოგვები ანთებენ კელაპტარს,
და შენი ზურმუხტის ბაღები,
ქალწულის მკერდივით ღელავს და,
ცა როცა გახელდა საჰარის
და ღამე მოისხეს პალმებმა.
მთვარე, ვით ლომების ნადავლი,
ცეცხლივით ჩაქრა და განელდა.
სფინქსივით ისუნთქავს ცა ჰაერს,
მუხლებში სიცივე დაუვლის,
ნუ აფრთხობთ, მდუმარე საფლავებს,
ლომები მოდიან, ანუბის!...

ჩემს საქართველოს!..

ამ ცხელ გულში, სადაც მზეა, ჩქეფს და მიდუღს სისხლი შენი,
საქართველო სამოთხეა და ზღაპარი საკვირველი.
ოდითგანვე მოყმეს ზრდიდნენ, მიწისა და ციხის მცველად.
გამიფრინდა ოდიშისკენ ჩემი თეთრა, ხოხბისყელა.
ხმა ჩამესმის სიზმრად ტკბილი, არწევს აკვანს ფოთლის ჩქამი.
მე ვარ საქართველოს შვილი, შუბლზე დასერილი ჯვარით,
შენ საფლავებს მირონი სდის, ვარდის სურნელს აკმევს ზეცა,
სულში ჟრუანტელი მივლის, გული ისე ამიკვნესდა.
ჩავყევ ფშავში ბებერ არაგვს, მცხეთის კალთებს ალტობს მტკვარი.
მტკივა: ზარზმა, ოშკი, ბანა, როგორც მოკვეთილი მკლავი,
მოვდიოდი ფეხშიშველა, მხარზე მეჯდა თეთრი მტრედი.
ვერაფერმა ვერ მიშველა, აქ ვარ, ჩაკირული დედი!...
ნატაძრალზე ქარი დაჰქრის, ფეხით ვთელეთ დიდი მეფე.
თვალი დაუხუჭეთ დავითს, საქართველოს აღმშენებელს.
ფრესკის ფერი ადევს დილას, ქუჩა, სულამონისლული.
ჩემი წილი მიწა მიმაქვს, როგორც მოგლეჯილი გული.
ფეხზე ძლივს დგას თეთრი ციხე, ვერ იცილებს ყვავს და ყორნებს.
დღეს თუ დიდგორს დაივიწყებთ, ხვალ ქრისტესაც მიაყოლებთ.
სად წავიდე, რომ წავიდე, გულში ჯავრი შემეპარა.
„თეთრ პერანგებს ხრამში ყრიდნენ, შავ იცმევდნენ ხანდახანა,
მთვარე, როგორც ამორძალი, ამოცურდა ქაფიდანა.
ქალი – ალვა ტანკენარი, თმა ტალღებად გადიყარა,
ვკითხე – „ვინ ხარ? ვისი გვარის?“.. – ცრემლის ტბაში დაიმალა.
რა შევკადრე ტურფა ყვავილს, ნეტავ, რა ვთქვი ამისთანა?!..
ჩემი ზეცა შემინახეთ, ჩემი ტურფა იავნანა.
საქართველოს სიყვარული დამაქვს, როგორც გულში დანა,
ვერაფერმა ვერ წაშალოს მზე ბორჯღალა, ნაფერალა.

„ღირდა ამქვეყნად მოსვლა“

იაკობ მელიას დაბადებიდან საიუბილეო 95 წელი შეუსრულდა.

„მწერლობა ჯვარცმა და მუდმივი ბრძოლაა“ – პოეტის „რჩეულის“ ანოტაციიდან. ერთხელ კიდევ ვათვალიერებთ იაკობ მელიას პოეტურ კრებულს. ვგრძნობთ, შინაგანი ქარიშხალი ექვემდებარება ნებისყოფას, ემოცია პოეტის სულშივე თავშეკავებით ფორმდება, სიკეთის მადლით ვიმსჭვალებით.

იაკობ მელიას შემოქმედებაში პიროვნული „მე“, პიროვნულ ცნობიერებაზე გასვლა, მიძინებული სულიერი ენერგიის გამოღვიძება და სამზეოზე გამოტანაა. მწერლის ეს ჟინი სოციალური ჟესტის მნიშვნელობას იძენს, რამდენადაც სულიერება თავადაა საზოგადოების კეთილდღეობის მყარი საყრდენი.

„რა ძვირფასია
უბრალო წამიც,
რა ღვთაებრივი
სიკეთით მმოსავს,
ერთი სიმღერის
სათქმელად მაინც,
ვფიცავ,
რომ ღირდა ამ ქვეყნად მოსვლა“...

პოეტი მუდამ მზადაა, გაეპასუხოს ხმას, რომელსაც არ შეიძლება არ დავუჯეროთ.

„შენ ხარ ვენახი, ჩემო მამულო!
ჩვენ კი უჭკნობი შენი რტოები
და მიგვაჩნია სასიქადულოდ,
გაჩენის დღიდან რომ ვართ ტოლები“.

სამშობლოს გაცნობიერებისათვის შემოქმედს გააჩნია ხანგრძლივი სუნთქვა. მამულის ისტორიასა და თანამედროვეობას აღიქვამს ადამიანისადმი რწმენასა, სიძლიერესა და ძალაში. თითქოს პოეტი იმდენადაა დატვირთული ცხოვრების და სახეების სიჭარბით, რომ მზადაა, ისარგებლოს თავში გაელვებული პირველივე აზრით, რომ მისგან გათავისუფლდეს. გვესმის გამოძახილი, უსიტყვო ხმა, რომელიც ყოველგვარ სიტყვაზე ძლიერია:

„ფიცივით მინდა ამ ლექსს მივანდო
სამშობლოსადმი ჩემი სათქმელი,
გულში მარადჟამ წმინდად ბინადრობს,
კავკასიონის მთების ნათელი,
სხვისი სიმდიდრე რაღად ვინატრო,
მე ისიც მყოფნის, რომ ვარ ქართველი!“

სამშობლოს სიყვარული ი. მელიას ზნეობაა, მამულის განახლება-სიცოცხლის მიზანი.

შემოქმედი მთხრობელიცაა, მხატვარიც, მოაზროვნეც. მისი პოეტური საკურთხეველი მონოლითურია. მთელი ენერგია სამშობლოსკენაა მიმართული, სამშობლოთია მისი ყველაზე ამაღლებული, წმინდა გრძნობა. რწმენა ითხოვს ერთგულებას. საჭიროა სუბსტრატი, რომელსაც შეიძლება დააკისრო ამოუხსნელის პასუხისმგებლობა.

ჰუმანისტური ოპტიმიზმია იაკობ მელიას რელიგია.

ფასი თანადროულობისა ვიცით მხოლოდ წარსულთან ზიარებით.

თავისი პრობლემატიკით „ისტორიული“ ლექსიც რომანტიკულ პლანშია გადაწყვეტილი. ვრცელი ამბავია მოთხრობილი ლექსში „დავით აღმაშენებლის აღსარება“, ნარატივის გმირი რომანის გმირივით გვაინტერესებს. ერთი ადამიანია და ვრცელ ამბავს აღვიქვამთ. პოეტთან ისტორიული პიროვნება განსჯილია თანადროულობით.

ლექსი რთულია და ამავე დროს უბრალო შინაგანი აგებულებით. ჩანს ისტორიის რეალური სვლა, მისი ზიგზაგები და პერიპეტიები: „ვიყავ ამ ქვეყნად, ვაოტე მტრები, ტვირთივით ვზიდე სიმძიმე ჟამთა, სამშობლოს ბედი, ავწიე მხრებით და ღვთისმშობელმა გზა გამინათა... და ჩემი სული აღჩნდა გელათად“.

პოეტი აღიარებს ინდივიდუალობათა ერთობლიობას, რომელთაგან თითოეული თავისთავადს, სუბსტანციურ არსს წარმოადგენს. სამყარო ღიაა ამ პერსონისათვის. გმირი საკუთარი თავის განმსაზღვრელიცაა, სამყაროს მიერ განსაზღვრულიც და სამყაროს განმსაზღვრელიც. იგი ვიზუალურია, რომლის იქით დგას გონებაჭვრეტითი სახე. განყენებული ხედვა ცოცხლდება და ამითვეა გაახლებული.

ქართულ პოეზიაში ყველაზე უფრო სრულყოფილად აირეკლა ქართული სულობა. იაკობ მელიას პოეზიის განვითარება ჩვენი ეროვნული თვითშემეცნების განვითარებაა.

უსათაურო ლექსი „მეც მიჭირს ზოგჯერ“ არ-

ღვევს ლირიკული სიუჟეტის ფარგლებს და აფართოებს პოეტური სახეების მნიშვნელობას. პოეტი საკუთარ თავს ადამიანთა ბედნიერებას უძღვნის. მზადაა, უზენაესი მაგალითისათვის, რათა ისინი „სულის რეცხვით“ განიწმინდონ. შემოქმედის ცნობიერებაში მთელი სიცოცხლე კი არ აისახა, არამედ მხოლოდ მებრძოლი მხარე სიცოცხლისა. „მე“-ს ცნობიერებაში „მეს“ მებრძოლი ნაწილი. ობიექტის ცნობიერებაში – სამყაროს მხოლოდ ის ნაწილი, რომელიც „დაუფლებული“, ან უკუგდებული უნდა იქნეს. იგი ოსტატობას კი არ ეყრდნობა, არამედ – განცდას. ოსტატობა სჭირდება, როცა ლექსს განცდის გასამხელად ქმნის. პოეტი მზადაა, წინააღმდეგობა ჰარმონიად აქციოს:

„მე მიჭირს ზოგჯერ,
იტანჯები,
როგორც მინდია...
...მაგრამ სამშობლო,
მეგობრებო!
ისე დიდია, –
არა მგონია,
რამე იყოს
სამშობლოს იქით!“

იაკობ მელიაზე ფიქრისას მკვიდრდება ერთი აზრი, რომელიც შეეხება ქართულ ხასიათს. ჩვენი ეროვნული ფსიქიკის ერთ თავისებურებას. ისმება კითხვა: რა არის მელიას შემოქმედებაში ყველაზე მეტად დამახასიათებელი თვისება? რა არის ის ძირითადი თავისებურება, რომელიც განსაზღვრავს პოეტის ინდივიდუალურ პროფილს?

პასუხს იძლევა იაკობ მელიას ბიოგრაფიაზე დაკვირვება. მისი ბედი ზოგან აშკარად, ზოგან კი უაღრესად ფარულად ჩანს, რომ ეს თვისება მოყვასისათვის თავგანწირვაა, მსხვერპლია, საკუთარი სიცოცხლისა არად ჩაგდებაა მოყვასისათვის საკეთილდღეოდ.

მოყვასისათვის თავგანწირვაშია პოეტის შემოქმედების პათოსი.

როგორც არ უნდა იყოს, ერთი რამ უდავოა. შემოქმედის ბიოგრაფია ისტორიის ფურცლებზე მისივე შემოქმედებით იწყება და ამ „კანონს“ ვერავინ გააუქმებს.

მწერლის ბიოგრაფიული მიმართება ისტორიულ პროცესთან შემოქმედებითი მარტოობითაა გაშუალებული. იგი დროის კულტთან მონაცვლეობით განხეთქილებისა და შერიგების კვანძებითაა გადახლართული.

ადამიანური კრიტერიუმებით თუ ვიმსჯელებთ, ი. მელიას ცხოვრება დიდი ცხოვრებაა, მისი თავგადასავალი უფრო ვრცელ პარტიულ-პოლიტიკურ პორტრეტს წარმოადგენს. ვერავინ აღწერს მის ცხოვრებას თვით მასზე უკეთ. მისი შინაგანი მდგომარეობა, მისი ნაღდი სიტუაციები მხოლოდ მისთვის არის ცნობილი. წარსულზე რომ ფიქრობს, სინამდვილეში იმაზე საუბრობს, როგორ გადაიქცა წარსული აწყმოდ. წარსულის დავიწყება შეუძლებელი შეიქმნა, იმ წარსულისა, რომლის მოვლენებიც აახლოებენ სამშობლოსთან, რომელიც საასპარეზოდ უხმობდა.

„ალბათ განგებამ განსაცდელი ასე ინება, –
ვწევარ დანის ქვეშ
ბედ-იღბალი ან გამიღიმებს,
ანდა დაბანგულს სამუდამოდ ჩამეძინება.
კაცის სიცოცხლეს ზოგჯერ თურმე
იღბალი ჰქვია...
დღეს რელიქვიის მსგავსად
ვხედავ ჩემს მაგიდაზე
ორმოცდერთის მოგონებად
დარჩენილ ტყვიას“.

ეს ლექსი აღიქმება, როგორც აღსარება სულისა, ოცნებისა, მოგონებისა. ესაა მისი ბიოგრაფია. ლექსი საყურადღებოა იმით, რომ მღელვარე ფიქრებს იწვევს. წყევლის ომს, თუმცა ომი არც კი არის ნახსენები. მიღწეულია ხასიათის, თქმის, განწყობის მთლიანობა, პროზაული ხედვა საგნებისა. აქ მთავარი, არსებითია ფსიქოლოგიური თემა. იდეა თითქმის საფუძველშივეა გაანალიზებული. განცდათა რეალობაში რწმენის გარეშე სიცოცხლე შეუძლებელია. პოეტმა იცის, ბედნიერება წარმოსახვაშია.

იაკობ მელია ცხოვრებისეული პროზის სევდიანი დამკვირვებელია. სამყარო და პოეტი – ესაა ნაპერწკალი, რომელიც მათი კონტაქტით იქმნება. შემოქმედი საკუთარი მეობით არის დაინტერესებული. ორმაგად განიხილავს თავის „მე“-ს, როგორც სუბიექტს და როგორც ობიექტს.

შემოქმედი ლექსებში: „მონატრება“, „ფიქრები ნიკოლოზ ბარათაშვილზე“, „ლადო ასათიანს“, თვითგამოსახვით არის გართული, საკუთარი მეობა, საკუთარი სამყარო გადმოგვიშალა. ჩვენთან ერთად ფიქრობს. ფიქრობს რა საყოველთაოზე, არ ივიწყებს ინდივიდუალურს, სახასიათოს. პოეტის გონება დახეტიალობს და ესწრაფვის, მაგრამ ხედავს. ხედვა გამჭოლია, რეალური. სულის რეალობა მასში მეთოდია, ხერხია, განაწყოს საგნები რიგზე.

„და ლექსში
ვერ შემოგეპარა,
ვეღარც წყეული აბსტრაქტი და,
ვერც მოდერნიზმი,
არც გვჭირდებოდა,
არც ეძებდი ყალბ მოწყალებას.
იყავ ამბოხი,
სიკვდილამდე მლიქვნელთა ურჩი“.

(„ლადო ასათიანს“)

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, ნაციონალური ხასიათის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი

აძლევს ტონს პოეტის შემოქმედებას.

პოემების „მზე და სანგარი“,„სიმღერა სიყვარულზე“, „ბალადა ხელმანდილზე“, „კოლხური მწუხრი“ ცხოვრებისეულად ტევადი და საინტერესონი არიან. იაკობ მელიამ, ფსიქოლოგმა, სოციალური მოვლენების აზრი და წონაც იცის. პოლიტიკურ ამბებს თავს არიდებს. საკუთარი სამყარო აქვს, სადაც თავს მეუფედ გრძნობს. ეპოქის პოლიტიკური და ყოფითი სურათები სჭირდება ფონად, რომელზედაც აღბეჭდილია გმირთა ხასიათები.

პოემების ძირითადი მოტივია პიროვნების რაობა, მისი დანიშნულება და ადგილის ძიება სოციალური და სულიერი მოვლენების მჭიდრო ურთიერთკავშირში.

მაღალ რეესტრში თხრობა აქ ფსიქოლოგიურ გამოსახვას უდრის. პოეტი მათ ყოფაქცევებს იძიებს, ორმხრივად განიხილავს „მე“-ს, როგორც სუბიექტს და როგორც ობიექტს.

პოეტი მოვლენების, ეპოქის არსს ხატავს ტიპის, პიროვნების დონეზე. ადამიანთა ბედის ჩვენებით ხსნის მათ ადგილს ცხოვრებაში და არა უბრალოდ სულიერი წყობისა და მატერიალურ-წარმოებითი პირობების მექანიკური შენაერთით.

თვითანალიზი აღრმავებს ტიპურობის ხარისხს.

იქ, სადაც საქმე ეხება ადამიანის სულის იდუმალ ხვეულებში შეღწევას, ი. მელია თავის საუფლოშია, განცდის ფესვი ცხოვრებისეული, რეალური, ღრმა და ლამაზია. განა საჭიროა იმის განმარტება, რომ გრძნობა, რომელიც ამ პოემებს უდევს საფუძვლად, დასაწყისში წყნარი, თითქოს შემთხვევითიც, ყოველ სტროფში ამაღლებული, ფსიქოლოგიურად ახალი და პოეტურად მოულოდნელია!

ამ პოემებს ჰყავთ თავისი მოქმედი პირები, აქვთ თავისი დამთავრებული ისტორია და ახალი მოქმედების ადგილი.

იაკობ მელიასათვის სიცოცხლე მოქმედებაა, მოქმედება კი – ბრძოლა.

მეტყველების სიმბოლურობაშია ი. მელიას პოეტური ხელწერის არსი, როგორც სიტყვათშემოქმედის თავისებურება, სიტყვის ტკივილის განცდაში, ძირითადი ლექსიკური მარაგიდან ახალი შედგენილობის სიტყვების შექმნასა და მათი ახალი სემანტიკურ-ემოციური იერით დატვირთვაში იჩენს თავს.

ახალი ფორმა ახალ გამოთქმას ეძებს....

პოეტმა დაიმორჩილა ფორმა და გახდა ბატონი თავისი სტილისა.

ბათუმისადმი მიძღვნილ ლექსებში, რომლებიც ფოლადისებური კონსტრუქციითა და თვითმყოფადი, ლაზათიანი, მსუბუქი ნაჭედობით გამოირჩევა, პოეტი ფაქტის ფიქსირებით მიდის განზოგადებამდე...

„მე მივდიოდი
შავი ზღვის პირად...
ვპოვე ქალაქი
მზით დახატული.
ხელი შევახე პალმას, –
ვით ლირას,
და ხმა გამოსცა
ანდამატური...
თურმე ეს იყო,
რასაც ვეძებდი,
ახდა ოცნება
ბევრჯერ ნატრული,
გულში დამკვიდრდა,
როგორც სიმღერა: –
ჩემი შავი ზღვა,
მზე და ბათუმი“.

(„მზე და ბათუმი“)

პოეტი დასდევს თავის სულიერ აჩრდილს. მისი მეობა განაგრძობს სრბოლას სულის სფეროში და მარად ახალ ამოცანებს უსახავს თავის თავს.

„...სამოთხე თურმე სიცხადე არი,
მე რომ სიზმარი მეგონა წინათ,
ბათუმო!
ამ ზღვას,
ამ ბაღნარს,
ამ მთებს,
ვიცი, ვერასდროს ვერ დათმობს გული.
მე შენი ტრფობა მარადჟამს მმართებს,
შენ ძვირფას დღეთა ხარ ნავსადგური“.

(„სიმღერა ბათუმზე“)

ეს სიტყვები პოეტის მოულოდნელი აფეთქების ნაყოფია. იგი იმ სათქმელის აღმოთქმაა, რომელსაც შემოქმედის გულში ღრმად გაუდგამს ფესვები.

მას ძალა შესწევს ასახოს საკუთარი თავი და სამყარო, ამიტომაც ფეხს იკიდებენ მისი ლექსები ბათუმზე, როგორც ცხოვრების მოვლენები.

მის ლექსებში ვიპოვით პასუხს სულის კითხვებზე. მხოლოდ ლექსებმა ბათუმზე მიანიჭა მის სულს მშვიდობა და ჰარმონია. ისეთი ამაღლებული წუთები აჩუქა, რომელსაც გარეგანი ცხოვრება ვერ მისცემდა.

პოეტი დაუპყრობელი სიმაღლეებისკენ ისწრაფვის, ეძიებს მხატვრულ იდეას, რომელიც ხორცს შეასხამს ეთიკურ პრობლემას. შემოქმედი დაჯილოდებულია ადამიანური თვისებით – ფიქრის უნარით, პრობლემასთან მიდის დიალექტიკურად....

„შავი ზღვა მეალერსება,
გარშემო მთები მახლავს,
ყოველდღე ვიბადები და
სიცოცხლეს ვიწყებ ახლად“...

იაკობ მელიას პოეზიაში სამყაროს მრავალფეროვნების შემეცნების სათავეა თვითანალიზი,

რომელიც მოკლებული არაა სკეპტიკურ ნიუანსებს.

პოეტის შემოქმედება არ ემორჩილება ორდინალურ ფორმებს. იგი მიზნად ისახავს, აბსურდულ სამყაროში მარადიული ადამიანის გამოვლენას, რომლის ლანდი და მონახაზი, როგორც საფუძველი, თითქმის ყველგან და ყველაფერშია მოცემული. სურს ადამიანმა შეიცნოს სიდიადე თავისი ხატებისა, შეიცნოს და შეიყვაროს მეობა ინდივიდუალურ და სოციალურ ყოფაში. არ ვიცით, რომელი მხრიდან გახსნის ავტორი გამოსაკვლევ საგანს, რომელი მხრიდან შეხედავს ობიექტს. საგნებზე საუბრისას პოეტი არ შემოსაზღვრავს მათ.

„...ზღვა მშვიდია და სათუთად მთრთოლი,
მზე მაღალ მთების გადაღმა ქრება,
სანაპიროზე მივდივართ ორნი,
ღამდება ისე, ვით ჩაფიქრება“.

პატარა ლირიკული ლექსი – „ქალს პაექრობა კაცთან არ შვენის“ მოიარებით ნათქვამია, მაგრამ სავსებით გასაგები. ღრმა და საგულისხმოა მისი გააზრება. არის ამ ლექსში სიცოცხლეც, სიცოცხლის წყაროც, მოვლენაც და მოვლენის მიზეზიც.

„ქალს პაექრობა კაცთან არ შვენის,
როგორც მზაკვრობა, ანდა ღალატი.
უპირველესად ოჯახი შენი,
ქვეყნის ავ-კარგზე მერე ღაღადი.

ამ ლექსში სიყვარულის მშვიდი ტანჯვაა, ბედისაგან მოვლინებული გულის ხარკია ნაზად და ღრმად შეყვარებული ადამიანის მიმართ.

თითოეულ სტროფში არის ზესკნელი და ქვესკნელი. არის დრო, არის სიყვარული, არის სამყარო. სამყაროში არსებობს მეთოდი, სიყვარულის მეთოდი. მეთოდი წავიდა და დაიწყო ცხოვრება. იმარჯვებს სიყვარული, სიცოცხლე იმარჯვებს.

„წყაროსთან ჩამოგისწარი,
ჩემს ბედს მადლობას ვწირავდი,
მე მონადირე ვიყავი,
გამოვედევნე ციცარს...
...ნამდვილად ჰგავდი ლამაზო,
მთაში აფრენილ ციცარს“!

სიყვარული... ეძიე სიყვარული, აჩუქე სიხარული და თავადაც ესწრაფე მას. გიყვარდეს, ვიდრე სიყვარული შეგიძლია. ეს იდეა უდევს საფუძვლად მის შემოქმედებას.

პოეტი საკუთარ ღმერთს უმღერის, საკუთარი მიკრო-სამყარო გადმოგვიშალა. ლექსები სიყვარულზე ლოცვაა.

თავდაპირველად შთაგონებული შემოქმედი თხზავს ღვთიურ ექსტაზით. ყველაფერი, რისთვისაც თხზავს, მასშია ჩაფლული, მისი ნამდვილი ღმერთია. თითქოს დაჟინებით მიემართება ღმერთისაკენ იმის საკითხავად, რაშია სამყაროს აზრი.

როცა სიყვარულზე წერს, ვგრძნობთ, როგორ აუჩქარებლად, თუმცა მღელვარედ თხზავს. მისი შემოქმედებითი ფანტაზია სიყვარულია.

„მარტოობაში ვინ იპოვა გულისთვის სითბო?!
ქალის სიყვარულს
მზიურ მადლით ამშვენებს ზენა.
იდეისადმი მხარდაჭერა თავად იდეაა“!

ი. მელიას პოეტური ენის ნიშანდობლივ სტიქიაში თავისი პირველადი და უცვლელი ე.წ. ინვარიანტული, შინაარსით ფიგურირებს ქართული ცნობიერებისათვის ისეთი საკრალიზებული ნიშნები, როგორიცაა სიყვარული, რწმენა, სიკეთე, თავისუფლება, პიროვნული და ეროვნული ღირსება. როდესაც ეს ნიშნები გარემოს მოთხოვნილებებთან ერთად თანხმიერ კავშირზე გადიან, ხდება მათი ინტენსიური ამოქმედება.

უჩვეულო შთაბეჭდილებას ტოვებს ფორმის მრავალფეროვნება, აზროვნებისა და მეტყველების თავისებურება, ენერგიულობა, სიღრმე და სისადავე. პოეტი ემორჩილება მხოლოდ თავის შინაგან მოწოდებას, იდუმალ ხმას. ყველა მოვლენა სამყაროში არსებობს თავისთავად. პოეტი გადადის მათში, ცოცხლობს მათი სიცოცხლით, სიყვარულით ელოლიავება მათ.

იგი იყენებს სალექსო მეტყველების მისეულ მანერას, რითმაც თავისებური აქვს. ხანდახან, ლექსის ამ თითქმის აუცილებელ სამკაულს პოეტი გაურბის. მას ტექნიკური უსრულობა ისე არ აშინებს, როგორც ლექსის უშუალობის დაკარგვა. შემოქმედი ზოგჯერ მიმართავს დატეხილ სტრიქონებს, რასაც აზრი მოითხოვს. ბევრი ლექსი ინტონაციაზეა აგებული. რიტმი, როგორც ბგერითი სისტემა, არა აქვს, მაგრამ ეს უკანასკნელი მასში მონაწილეობს, როგორც განწყობა. სიტყვათა დაჯგუფება გარკვეულ სახეს წარმოგვიდგენს. სინთეზი ერთ მთლიან სურათად აღიქმება.

შემოქმედების პროცესში პოეტი საგანგებოდ არ ფიქრობს ფორმაზე. ფიქრობს სათქმელის არსზე. ასე იბადება ფორმა თვითმყოფადი, მოულოდნელ აზრთა მსვლელობანი.

„დუმილში ჩუმად
მძიმდება წამი
და ამ ლამაზი
ასულის ღელვით, –
სურიდან თითქოს
იღვრება წყალი“.

ძიება აერთიანებთ ადამიანებს. დრო მიდის, დრო ამტკიცებს ჭეშმარიტებას.

ლუიზა ბოჩკოვა-ხვიჩია,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი,
საპატიო პროფესორი

მიხეილ ღანიშაშვილი



ბებოჩემი და იმისი საციქველ-ჯამ-ჭურჭელი

ბებოჩემი, ნინო, გვარად პატარაშვილი იყო. დედა-ჩემი ამბობს, ძველებისგან გამიგია, რომ მაგათი გვარი ბატრაშვილები ყოფილაო. თავად სულაც ბადრიშვილად იწერებოდა (მეორე ქმრის გვარზე – ეს კიდევ ცალკე ისტორიაა!). მამაჩემისაგან მსმენია:

„დედასჩემი ლეკია ძირადაო“. არ ვიცი, დანამდვილებით საიდან და როგორ მოვიდა თავის დროზე მათი გვარი ფშავში, მაგრამ ის კი დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ბებოჩემი ნამდვილი გუდის ფშაველი იყო მთელი თავისი სულიერ-მსოფლმხედველობრივი თუ ენობრივ-ეთნოგრაფიული ანატომიით. ისეთი ფშაური სიტყვები და მეტყველება იმისგან, რომ მესმოდა, მარტო უკანა ფშავის მოხუცებში თუ მომისმენია ფოლკლორულ ექსპედიციებში სიარულისას.

„ჩვენა, შვილო, ახადიდანა ვართ წამოსულებიო“, – იტყოდა ხოლმე. ეგეთი იდიომატური გამოთქმაცა ჰქონდა, რამისაგან რომ შეწუხდებოდა: „ვაიმე, ჩემნო ახადელნო, დუშმანთ თუ რა დიდავიაო“. საარაგვოდან ილტოს ხეობაზე, სოფელ ჩაფართაში ერთ-ერთი პირველ ჩამოსახლებულთაგანი იყო მისი მამის, ბერის ოჯახობა. „სალოცავად აონსა ვლოცულობთო“ – მეუბნებოდა. აონი ივრის ხეობაზეა (დაილოცოს!), ახადი არაგვის სათავეებში. რას როგორ აკავშირებდა ამეებს ერთმანეთთან, სამწუხაროდ, ისე ჩავიდა საფლავში, ვერ გავიგე.

მკაცრად ძველი წესებით ცხოვრობდა. ტრადიციების დამცველ-შემნახავი იყო მთელ ჩვენ დიდ ოჯახში. სანამ ცოცხლობდა, ნამდვილი დედა–დედოფალივით იჯდა სახლ-ჯალაფობაში და ყველაფერი იმისი ჭკუა–გონებისა და ნათქვამის გასწვრივ, მიმართულებით ხდებოდა. მორალისტი იყო. ყველაფერზე თავისი სენტენცია მოეძევებოდა. ყველაზე უპირველესად საღვთო ტრადიციებს, ღმერთის, რწმენისა და ხატის წეს–საქმის განუხრელად დაცვას აყენებდა.

ცხოვრების წესიც ასევე მკაცრად ძველებური, პირველყოფილი ჰქონდა. წელან ბებოჩემის ენა-მეტყველება და ეთნოგრაფია ვახსენე. ამ მხრივ ახლაც მომწონს და მენატრება მისი სამზარეულო და საჯამ-ჭურჭლე განყოფილება, იმ ნივთთა და საკეთებელთა სახელ–გამოთქმები. რა თქმა უნდა, რომ უპირატესობას პირწმინდად ხისა და სპილენძის სამზარეულო იარაღებსა და ჯამ–ჭურჭლეულობას ანიჭებდა. თითქმის ყველაფერი, ყველაზე დიდი და მასიური საოჯახო ნივთიდან მოკიდებული სულ უმცირესამდეც კი, ყოველთვის ხის ან სპილენძისა ჰქონდა და ძალიანაც უფრთხილდებოდა. 103 წელიწადი იცოცხლა და თავად, პირადად, სიკვდილამდე მხოლოდ ასეთი ნივთებით სარგებლობდა.

შევეცდები, ზოგი რამ აღვიდგინო. აი, მაგალითად: ვარცლი, ხონა, ხონჩა, ტაბაკი, ცხრილი, საცერი.

ვ ა რ ც ლ ი

ცომს ყოველთვის თავად ვარცლში ზელდა, ვარცლი ხისა იყო, მგონი იფნისა, თუთისა ან ცაცხვისა, ალბათ უფრო ცაცხვისა, რადგან თეთრი ფერის მექრანი ჰქონდა და საოცრად მსუბუქი იყო. ჟამთავითარებისა და მეტის-მეტი ხმარებისაგან ისე იყო გაცრეცილ–გალეული და გაგლუვებული მისი ზედაპირის წახნაგები და წიბოები, რომ სულ ლაპლაპი გაჰქონდა. სიგრძით ერთი მეტრი იქნებოდა, შეიძლება ცოტათი მეტიც, სიგანით – 35–40 სანტიმეტრი, ჩაღრმავება 12–15 სანტიმეტრი ექნებოდა. ერთიანი, მასიური ხისგან გამოთლილ–გამოხვეწილი ჩანდა. ნაბზარ–ნახეთქი არა ჰქონია.

არ ვიცი, რა ტექნოლოგიით აკეთებდნენ ძველი ხელოსნები ამ ნივთებს, ამდენ ხანსა და ტაროსს რომ უძლებდა. მასალაც და ნაკეთობაც, ჩემი აზრით, ალბათ, აუცილებლად მაღალ ტემპერატურაზე გამოხარშული იქნებოდა თავის დროზე. დიდ კეცზე გამომცხვარ მჭადებს ან ფურნიდან გამოყრილ წმინდის პურებს ამ ვარცლშივე ჩააწყობდა და როცა ნამზადი გაცივდებოდა–გამოშრებოდა, ზემოდან საგანგებო ტილოს ნაჭერს გადააფარებდა და საფქვილე კოდის თავზე შემოდგამდა, იქ და ამ წესზე ინახავდა.

ვარცლთან დაკავშირებით ერთი ასეთი ხალხური ლექსი მაქვს განაგონი:

„სუყველაის ყანასა სჯობ
ბერის ყანა მარცვლიანიო,
კოდი პურით მოწვერილი,
სახლი სავსე ვარცლიანიო,
ბარაქიან ოჯახი აქ,
შინ მშიერა არც ვინ არიო“.

ახლა ხ ო ნ ა ზ ე გადავინაცვლოთ.

ზემოთ ვთქვი, ბებოჩემი ნინო დედა–დედოფალივით იჯდა სახლ-ჯალაფობაში-მეთქი. ეგრეც იყო. ოღონდ მაინც თავისთვის, განყენებულად ცხოვრობდა ცალკე ოთახში, ყველაფერი საკუთარი ჰქონდა და მარტოსვე

ეძინა. იმ დროს ძალიან ძველებური, დიდი, პაპაჩემის პაპის მიერ აშენებული სახლი გვედგა, ფართო, მაღალ-ჭერიანი ოთახებით. ყოველ ოთახს თავისი ბუხარი ჰქონდა. ოთახებს წინ გრძელი აივანი ჩაუდიოდა, მთლიანად მუხის მასალით აგებულ-მოპირკეთებული, ულამაზესი ჩუქურთმებით მორთულ-მოხატული. ის სახლი ახლაც კი მესიზმრება ხოლმე. ამას წინათ ლექსითაც გავიხსენე:

„მეც ფშაურ სახლში გავზრდილვარ,
სხვა მადლის იყო მტვირთველი,
დიდი ხნის აშენებული,
დიდ ისტორიის მზიდველი.
მყარი და სქელი კედლები
მიწა-ცას შუა მხიდველი,
დიდსა და ფართე ოთახებს,
თვალს ძლივს ავლებდა მხილველი.
წინ აივან მთელსიგრძივ,
ჩუქურთმით მდიდრად მზირველი,
კოჭ-კოწოლ-კავი მუხისა
გამძლეობაზე მწირველი,
ჭერ-ლამფა მურყნის ფიცრისა,
ძვალივით, გასაკვირველი.
წიფელი იატაკადა,
ერთმანეთზედა მკირველი,
ანჯამა-კარებ-ფანჯარა
წაბლისა – ხეა პირველი.
სახლ იყო მხარ-ბეჭიანი,
როგორც არწივი ფრინველი,
ექვს ბარტყსა გვზრდიდა უბეში,
ექვს ხმა ვგალობდით ნინველი...
დრომ წაიყოლა ისიცა,
ჟამ ჯიუტია, მჟინველი,
ხანდახან სიზმრად ვნახულობ,
ძილში გულ-მარხედ მფშვინველი
თავის თავს სტუმრად ზოგჯერა,
სწორედ იმ სახლშივ მიველი“!..

ბებოჩემის ოთახში, ისევე როგორც ყველა ფშაურ სახლში, ბევრი არაფერი ავეჯი მდგარა. ყველაზე დიდ საოჯახო ნივთს კიდობანი წარმოადგენდა, რომელიც სქელი მუხის ფიცრებისაგან იყო შეკრული და მის გადაადგილებას ორი–სამი კაცი მაინც სჭირდებოდა. წაბლის ხის ტახტი, მუქ შინდისფრად მოლაპლაპე, ლამაზჩუქურთმიანი უკანა მაღალი საზურგით, საშუალო ზომის მაგიდა, უსაზურგო სკამებით („ტაბურეტკები“), წინა მხრიდან ტვიფარ–ნახატებიანი მურყნის ხის ორი კარადა, ერთი საჭმელ–საკუჭნაოებისთვის, მეორე ტანსაცმელ–ჩასაცმელისთვის. და კიდევ ორი სხვა, უბრალო ტახტი („კუშეტკები“). ოთახების კედლებში თახჩები (შეღრმავებული ნიშები თაროებით, ან უთაროებოდ) იყო დაყოლებული. ამ თახჩებში ეწყო სხვადასხვა სახელდახელო ნივთები.

ხ ო ნ ა ვარცლთან ერთად ინახებოდა კიდობნის თავ–საფარებელზე. კარგად არც ის მახსოვს, რა ხისგან იქნებოდა დამზადებული, რუხი–შავიფერის კი იყო, ალბათ მუხისა ან წაბლისა. შეიძლება პანტის ხისაც კი. მრგვალი, ოვალური ფორმა ჰქონდა, მასალა საკმაოდ სქელი იყო, ალბათ 2–3 სანტიმეტრის სისქისა, სიღრმე ხონისა იქნებოდა მტკავლამდე, 20–22 სანტიმეტრი, დიამეტრი – ნახევარი მეტრი შეიძლება მეტიც. ორივე მხრივ ჰორიზონტალურად გაჭრილი მორისაგან დამზადებული ხონა შიგნითა მხრიდან სადად, სუფთად და უხორკლოდ ამოხოწილი იყო. გარედან ლამაზი წრიული მონაცვლე სქელ-წვრილი ხაზებით იყო მოხატული. ამ ხაზებს შორის დაკლალნილი და წყვეტილი ხაზებიც დასდევდა და ხაზების რაღაც განუმეორებელ მხატვრულ კომპოზიციად იკითხებოდა. მიუხედავად მერქნის ასეთი მასიურობისა, ხონა არც თუ ისე მძიმედ გამოიყურებოდა. ეს ალბათ იმიტომ, რომ ჟამთა ვითარებისაგან კარგად გამომშრალი და გაცვეთილ იყო. მასში წყალს არ აყენებდნენ. გარეცხვის შემდეგაც, ეგრევე ცეცხლს მიუმარჯვებდნენ და გამოაშრობდნენ. რაში იყენებდნენ? თითქმის ყველაფერში: პურ-სიმინდ-ფქვილეულობისთვის, ბაღჩა-ბოსტნეულობისთვის, ხილ-ჩირეულობისთვის, ოღონდ ყველაფერი მშრალისა და არა – მალფუჭადისთვის.

არ ვიცი, ჩემო მკითხველო, იცი თუ არა, მაგრამ ასეთ ძველ ნივთებს თავის ანტიკვარულ სილამაზესთან ერთად განსაკუთრებული სუნი და სურნელიც აქვს. ახლაც ცხადად მიღიტინებს ცხვირის ნესტოებში იმ ხონის სუნი, რომელიც რაღაცნაირად მსუბუქი, უბოროტო ობის სუნად აღმექმება. ვხედავ, თითქოს ნაახალწლევია და ბებოჩემის ოთახში ვიმყოფები. ბუხარში ცეცხლი ღუღუნებს. კიდობანზე შემოდგმულ ხონაში კი მსხალ–ვაშლი, თხილ-კაკალი, ჩურჩხელები და სხვადასხვა სანოვაგე აწყვია და ერთი სული მაქვს, მითხრას ხელ–წინდა–საწინდიანმა ბებოჩემმა: მიდი, შვილო, აიღე ე ტაბური („ტაბურეტკა“), მიიდგი კიდობანთანა, ჩამიღე თხილ-კაკალი და დაამტვრიე...

ლექსი ხონაზე? რა ვიცი, ალბათ მაგაზეც იტყოდნენ რაიმეს ენაწყლიანი ფშავლები! სამწუხაროდ, მე არაფერი მსმენია, ან მსმენია და ახლა არ მახსენდება! ამიტომ ამ თავს ისევ ჩემი ერთი პატარა შაირით დავამთავრებ, რომლითაც კვლავ და კვლავ სოფლური ყოფის მონატრებაა გამოთქმული:

„მე ისევ იმ სახლს დავბრუნავ,
იმ თოვლს და ხეთა ფიწალებს,
იმ სიმყუდროვეს საუფლოს,
სულსა და გულს რო მიწვალებს!
სივრცეს გაბურულს ნისლებით,
როგორაც მზერებს მიმცხრალებს,
ეგ მირჩევნია ამ ქალაქს –
თვალზე რო სუ ცრემლს მიცვარებს.
სოფლად თავს თავის ქერქში ვგრძნობ,
მე აქ ვერ გამოვიცვალე,
ღმერთო, ეგ მაინც მისრულე:
ბოლოს მთებშიავ მიმცვალე“!..

(დასასრული შემდეგ ნომერში)